# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 აპრილი, 2006 წელი.

№ 69 (5407)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## გილოცავთ ხარების დღესასწაულს!

დღეს სამების საკათედრო ტაძარში იხსნება ხარების სახელობის ეკლესია



იხ. მე-3 გვ.

## თამაში „განუჭვრეტელ წარსულში" საეჭვო მომავლის გამო





იხ. მე-10-11 გვ.

## თქვენ მოღვაწეობა დაიწყეთ... სულიერ ფასეულობებზე უკომპრომისო შეტევით

იხ. მე-4 გვ.

## ვინ მიაჯაჭვა ამირანი?

იხ. მე-6 გვ.

## ხორცის ზეობით დაკნინებული სული

იხ. მე-7 გვ.

## „მომაქარვები სევდისა, მართ ვითა მუფარახია"...

იხ. მე-12 გვ.

## ადამიანი-კიბორგი — ეს უკვე რეალობაა

იხ. მე-15 გვ.

◉ პრეზიდენტი



# ცხელი გვარჯილით გამთბარი ხელები

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსთავს ეწვია და საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კოლექტივს შეხვდა. მოქმედი ქარხნის ხილვით გახარებულმა პრეზიდენტმა სახელდახელო სიტყვა წარმოთქვა, რუსთაველ მესასუქეებს შრომა და გარჯა შეუქო, საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის ფაქტები დაუსახელა და... ბოლოს, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის ცალმხრივად შეწყვეტის პერიპეტიებზეც ისაუბრა.**

**— „აზოტი“ თქვენ გადაარჩინეთ, ახლა თქვენს პროდუქციაზე რიგები დგას, გასაღების ბაზარი არ გიჭირთ. ასევე იქნება ქართული ღვინის საქმეც. რუსეთის მაგივრად მას რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, უკრაინაში გავიტანთ. ქართული ღვინო საუკეთესო ხარისხის იყო და იქნება, — დასძინა პრეზიდენტმა.**

◉ პარლამენტის თავმჯდომარე

# არც უყვარით, არც ეთმობათ...

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო ოპოზიციის ბოიკოტს ეხმიანება. მისი განცხადებით, საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის ტრიბუნის გამოყენებაზე უარი არ უნდა თქვას.**

— პარლამენტი ყველაზე სწორი ადგილია დიალოგისთვის, სადაც ყველაზე გამჭვირვალედ ხდება საკითხების განხილვა. მე ვერავინ მეტყვის, რომ დღევანდელ პარლამენტში ოპოზიცია თავის სათქმელს და აზრს ვერ აფიქსირებს, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციის მხრიდან ულტიმატუმის ტონით საუბრით, დიალოგი ვერ შედგება.

— პარლამენტი კვლავ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს ფუნქციონირებას, არ შეწყვეტს მუშაობას, მიიღებს კანონებს და რატიფიკაციას გაუკეთებს უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებებს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის განცხადებით, მათ შეხვედრა ჰქონდათ საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებთან ბოიკოტთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა როგორც ბურჯანაძე აცხადებს, ულტიმატუმის პირობები საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან ჯერჯერობით მთლიანად ჩამოყალიბებული არ არის და დღითი დღე იზრდება.

ოპოზიციის ბოიკოტი 31 მარტს უმრავლესობის მიერ ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერებას მოჰყვა. ოპოზიციური ფრაქციების — „დემოკრატიული ფრონტის“, „მრეწველებისა“ და „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენლები 3 აპრილს, პარლამენტის ბიუროს სხდომასაც არ დასწრებიან.

◉ აქტუალური თემა

# უმრავლესობა ოპოზიციას დიპლომატიურ სვლას ვერ მიუხვდა

**ულტიმატუმს, რომელიც კახა კუკავამ მოამზადა, საბოლოოდ მემორანდუმის სახელი დაერქვა და მას სამივე ოპოზიციური ფრაქცია გაეცნო, თუმცა ჯერ ხელმოწერილი არ არის. საბოლოო შეთანხმებამდე ის პარტიების პოლიტიკურმა საბჭოებმა უნდა მოიწონოს.**

მემორანდუმის დასაწყისში ლაპარაკია ყოფილი დეპუტატის ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე. ხაზგასმულია, რომ დამნაშავეები დაუსჯელნი არიან. მეორე აბზაცი სანდრო გირგვლიანის მკვლელობას და შსს სამინისტროში „ზონდერჯგუფების“ არსებობას ეხება. აქაც ხაზგასმულია, რომ დამნაშავეები არ დასჯილან. ამას მოსდევს სამი კონკრეტული მოთხოვნა: საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა, შსს მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია.

ერთი საინტერესო დეტალი: მემორანდუმის პროექტის განხილვისას ოპოზიციური ფრაქციები თავდაპირველად თითქოს შეთანხმდნენ იმაზე, რომ მოთხოვნას შსს მინისტრის გადადგომის შესახებ, პროექტიდან ამოიღებდნენ, ამ გადაწყვეტილების მიზეზად განსხვავებული მოტივები სახელდებოდა, მაგალითად: „დემოკრატიული ფრონტის“ წევრები განმარტავდნენ, რომ მინისტრის გადადგომის მოთხოვნა მანამდე გაჟღერებული თემა იყო, ის უშუალოდ ბოიკოტთან არ იყო მიბმული და ამიტომ ბოიკოტის შეწყვეტის პირობად არ უნდა დასახელებულიყო. თუმცა, იქვე აღნიშნავდნენ, რომ თუ მოხდებოდა შს მინისტრის გადაყენება, ისინი ამას ხელისუფლების მხრიდან კორექტულ ნაბიჯად ჩათვლიდნენ.

„მრეწველებმა“ კი იმთავითვე თქვეს, მემორანდუმში შეუსრულებადი მოთხოვნები არ ჩაიწეროსო.

გაფიცული ოპოზიცია როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ მმართველი პარტია მათ ამ ნაბიჯს დაუფასებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უმრავლესობის წევრებმა განაცხადეს, ოპოზიციას შეეძლო მემორანდუმიდან არ ამოეღო მერაბიშვილის გადადგომის მოთხოვნა, შეუძლიათ თავიდან ჩასვან და კიდევ რამდენიმე მინისტრი დაამატონ, შეუძლიათ მემორანდუმი თავიანთი ფრაქციების კედლებზე გაიკრან. იმიტომ, რომ ეს არასერიოზულია, ულტიმატუმის ენით მათთან საუბარი არ იქნება და ისინი ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევენო.

საპასუხოდ ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, არც გვიფიქრია ტექსტიდან ვანო მერაბიშვილის გადადგომის მოთხოვნის ამოღებაო.

**დავით ზურაბიშვილი, „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე:** რაც შეეხება მერაბიშვილის გადადგომას, ეს მოთხოვნა რჩება და არც არასოდეს ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ოპოზიციას ეს მოთხოვნა მოეხსნას. იმიტომ, რომ ეს უპირობო მოთხოვნაა და ვფიქრობ, ხელისუფლება ვალდებულია ეს შეასრულოს.

პროექტის საბოლოო მომზადებამდე მოთხოვნები შესაძლოა კიდევ შეიცვალოს. ლაპარაკობენ „ახალი მემარჯვენეების“ მიერ მომზადებული მემორანდუმის ვარიანტზე, თუმცა „ახლები“ ამაზე კომენტარს არ აკეთებენ და თავიანთი ლიდერის დავით გამყრელიძის საქართველოში დაბრუნებას ელოდებიან.

მთელ ამ პროცესს უმრავლესობა შორიდან აკვირდება. როგორც აღვნიშნეთ, მათთვის ულტიმატუმის ფორმა მიუღებელია.

**გიგა ბოკერია, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:** გასაგებია, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას რაღაცაზე არ ეთანხმება, მაგრამ ასეთი ულტიმატუმის წამოყენება, რომ თუ ამას არ გააკეთებთ, რასაც მესაჭიროდ ვთვლი, გავიბუტები და აღარ მოვალო, სერიოზულად არ მეჩვენება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ოპოზიცია მონაწილეობდეს, მაგრამ მათი მონაწილეობა არ გულისხმობს იმას, რომ ისინი უმრავლესობა გახდებიან. ეს შეიძლება მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით მოხდეს.

ბოიკოტი გრძელდება. ოპოზიცია არ კამათობს იმაზე, რომ საკომიტეტო მუშაობას არ შეწყვეტს. არ არის გარკვეული ბიუროს სხდომაზე ფრაქციების თავმჯდომარეების დასწრების საკითხი. გაურკვეველია ბოიკოტის ვადაც, ცნობილია, „მრეწველების“ პოზიცია, რომლებიც აცხადებენ, რომ ბოიკოტი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა შეთანხმება ამ საკითხზე ჯერჯერობით მიღწეული არ არის.

**მზია გელენავა**

◉ დავა

# უკანონოდ გადახდილი 60 მილიონი და უგზო-უკვლოდ გამქრალი „ჟ“ ქვეპუნქტი

**რა ვუწოდოთ ამას? — დანაშაულებრივი ლობიზმი, არაკომპეტენტურობა, სახელმწიფო რეკეტი, თუ სამივე ერთად? ამ კითხვებს ფრაქცია მრეწველების წარმომადგენლები მეწარმეებისგან სახელმწიფო ბიუჯეტში უკანონოდ გადახდილი 60 მილიონი ლარის გამო სვამენ.**

2004 წლის 29 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ“. ამავდროულად, შესაბამისი დამატება შევიდა საქართველოს კანონში „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“. კანონში მოსაკრებლების ჩამონათვალს დაემატა „ჟ“ ქვეპუნქტი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის თაობაზე. „ჟ“ ქვეპუნქტი მოქმედებდა სამი თვის მანძილზე. შემდეგ კი, როგორც მრეწველთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, 2005 წლის 25 მარტს ყოვლად გაურკვეველ ვითარებაში ამოიღეს „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონიდან, რის შემდეგაც მეწარმეები, წესით ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის გადასახადიდან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. არადა, მაინც იხდიდნენ, ამ გადასახადის ადმინისტრირებას ახდენდა ფინანსთა სამინისტრო, თვითონ კანონპროექტის შემდგენელი და პოლიტიკის განმსაზღვრელი ამ დარგში არის გარემოს დაცვის სამინისტრო.

2006 წლის 20 თებერვალს მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი „ბუნებრივი მოსაკრებლების საფუძვლების შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე, სადაც უგზო-უკვლოდ გამქრალი „ჟ“ ქვეპუნქტი კვლავ ჩაიდო. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით: — ეტყობა, გარემოს დაცვის სამინისტროში გაარკვიეს, რომ კანონმდებლობაში საშინელი ხარვეზი დაუშვეს, რის გამოც ერთი წლის განმავლობაში მეწარმეებს თანხებს უკანონოდ ახდევინებდნენ. ახლა კი შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტეს, ეს არის წმინდა წყლის დანაშაული, ვინ უნდა აგოს პასუხი ამისთვის, ვისი მითითებით გაქრა „ჟ“ ქვეპუნქტი?..

ეს კითხვები მრეწველებს ჯერჯერობით პასუხგაუცემელი აქვთ. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი უწყებები შეცდომას არ აღიარებენ (რისი იმედიც მრეწველებს არ აქვთძ, მაშინ მეწარმეებს მხოლოდ სასამართლოს გზა რჩებათ. მართალია, 20 თებერვალს პარლამენტში შესული კანონპროექტი უკვე მიღებულია მეორე მოსმენითაც, მაგრამ ბოლომდე დამტკიცების შემთხვევაში, ეს ერთი წლის მანძილზე გადახდილი თანხები მაინც უკანონოდ დარჩება, ვინაიდან უკუქცევითი ძალა კანონს არა აქვს.

მართლაც, „მოსაკრებლის სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონში წერია, რომ დაუშვებელია ამ კანონით გაუთვალისწინებელი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება. მოსაკრებლის სახეების ჩამონათვალშია: საბაჟო მოსაკრებელი, სალიცენზიო, სარეგისტრაციო მოსაკრებელი, სახელმწიფო ბაჟი, მიგრანტთა ინსპექტირების, სატენდერო მოსაკრებელი, სააღსრულებო მოსაკრებელი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების და ა.შ. „პ“ და „რ“ ქვეპუნქტებს შორის „ჟ“ გაურკვეველი მიმართულებით გამქრალა. რაც გადასახადების უკანონობას ცხადყოფს.

— ეს არის კლასიკური ნიმუში ბიზნესზე ზეწოლისა. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ბიზნესმენებზე უკვე იყო მუქარა. ფინანსთა და გარემოს დაცვის სამინისტროები მეწარმეებს აფრთხილებენ და აშინებენ, რომ ხმის ამოღების შემთხვევაში შეუგზავნიან ფინანსურ პოლიციას, ბიზნესს დაუყადაღებენ და ა.შ. — აცხადებს ცაგარეიშვილი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა გოცირიძე უსაფუძვლოს უწოდებს მრეწველთა განცხადებებს. მისი თქმით, გადასახადებსა და მოსაკრებლებს საქართველოში უკანონოდ არავინ იხდის. რაც შეეხება მრეწველთა განცხადებას ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელთა არაპროფესიონალიზმის შესახებ, გოცირიძე ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელები მზად არიან ზურაბ ტყემალაძესა და მისი ფრაქციის წევრებს თავად ჩაუტარონ ტრენინგები და გაარკვიონ პროფესიონალურ საკითხებში.

ეს მომავლის საქმეა. მანამდე კი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე კონკრეტულად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელთან დაკავშირებით კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და აცხადებს, რომ მას ეს კანონი და შესაბამისი მუხლი კარგად არ ახსოვს, ჯერ უნდა გადახედოს და ამ საკითხზე შემდეგ ისაუბრებს. ამდენად, ბატონ გოცირიძეს აღნიშნულ საკითხზე მრეწველებისგან ტრენინგის ჩატარება ნამდვილად არ აწყენდა.

**ლელა ხვადაგიანი**

◉ ინფორმაცია

## კრემლს სააკაშვილის მოშორება სურს

SOS!

**ამერიკელი ექსპერტი არიელ კოენი, რუს პოლიტიკოსებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ კრემლის განზრახვაა სააკაშვილის ხელისუფლებისგან ჩამოშორება და საქართველოში ომის პროვოცირება.**

**„ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ რუსეთისა და ევრაზიის მკვლევარი, არიელ კოენი კრემლისა და კოკოითის ალიანსზე და სამხრეთ ოსეთში შესაძლო ომზე საუბრობს. მისივე თქმით, კრემლიდან მყარი გარანტიების არქონის შემთხვევაში, კოკოითი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს არ შეიტანდა, ამიტომაც ის სამხრეთ ოსეთში დესტაბილიზაციას არ მოერიდება, რაშიც მას მხარს 7 ათას 500 ჩეჩენი მებრძოლიც დაუჭერს.**

**სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ რუს პოლიტიკოსთა გარკვეული წრეები პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაზეც საუბრობენ. „სააკაშვილი არაკონტროლირებადი გახდა, ამიტომაც სასწრაფოდ უნდა მოვთოკოთ. თუ ქართველები ჭკვიანად იქნებიან, შესაძლოა, ნატოში შესვლის ნებაც დავრთოთ, მაგრამ თუ იხმაურებენ, შესაბამის ზომებს მივიღებთ“, — განაცხადა ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა კოენთან საუბრისას.**

**სტატიის ავტორის განცხადებით, რუსეთი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამუშავებამ და ბაქო-ერზრუმის გაზსადენის პერსპექტივამაც გააღიზიანა. ამ გზით თურქმენეთი და ყაზახეთი გაზს უკრაინასა და ევროპას რუსული გაზსადენების გვერდის ავლით მიაწვდიან.**



**სტატიის დასასრულს ამერიკელი ექსპერტი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მთელი თავისი გამოცდილება და ვაშინგტონის დახმარება უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ ცხელ წერტილებში ვითარების დაძაბვა თავიდან აიცილოს.**

## ვინ იწყებს ომს?

**„საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის შესახებ“ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განცხადების პროექტის განხილვა მომავალ კვირამდე გადაიდო.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა სათათბიროს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ აცნობა. მისი თქმით, დოკუმენტის პროექტი დსთ-ს საქმეთა კომიტეტს გაუგზავნა და ის საბჭოს შემდეგ სხდომაზე იქნება განხილული.**

**განცხადების განხილვის ინიციატივით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი ალექსი მიტროფანოვი გამოვიდა. მისი წინადადება იყო, განცხადების პროექტი დეპუტატებს პლენარულ სხდომაზე განეხილათ, თუმცა სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა განაცხადა, რომ დოკუმენტი ჯერ სათათბიროს საბჭომ უნდა განიხილოს.**

**როგორც მიტროფანოვი აღნიშნავს, რუსეთმა დროული და ადეკვატური ზომები უნდა მიიღოს, რათა აფხაზეთში და „სამხრეთ ოსეთში“ ქართული ჯარების შეჭრა არ დაუშვას.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ დღესასწაული

# ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა



**7 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ხარებას დღესასწაულობს: უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა. მას შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმნება როგორც „ჩვენთან არს ღმერთი“. ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი.**

... და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

ანგელოზი წარუდგა ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მომადლებულო, უფალი შენთანაა! კურთხეულ ხარ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაი ესე?“ ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა და აჰა, ესერა შენ მუცლად-ილო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

ამ დღეს არა მხოლოდ ღვთისმშობელს, არამედ მთელ კაცობრიობას ემცნო, რომ სახიერმა ღმერთმა თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარეობით ცოდვის ტყვეობაში მყოფი ადამის მოდგმის გამოხსნა ინება.

მარიამის ძეს ღმერთი დავითის საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტსა და იაკობის სახლზე — ისრაელის თორმეტ ტომზე — მარადიულ სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია ქალწულისგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, — და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც ორსულადაა.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა, მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“ და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

◉ ელიას მთა

# გაიხსნა ხარების მიწისქვეშა ტაძარი

**გუშინ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში მისულმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთი საოცრება ვიხილეთ: სწორედ დღეისთვის, ხარების დღესასწაულისთვის ინება ღმერთმა, რომ დასრულებულიყო საკათედრო ტაძრის მიწისქვეშა სართულში მდებარე მარიამ ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის მოპირკეთება!**

მუშები წამითაც არ წყვეტენ აქ მუშაობას. აპრიალებენ მარმარილოს იატაკს, თეთრად, სპილოსძვლისფრად და ოქროსფრად ანათებენ ტაძრის კედლები, თაღები... მშენებლებს ჭერი ისე მოუფიქრებიათ, რომ მის ცენტრალურ ნაწილში გუმბათის იმიტაცია იქმნება.

სამების საკათედრო ტაძარში მოღვაწე სულიერი მამები დიდხანს ემზადებოდნენ ხარების დღესასწაულის შესახვედრად. ხარების ტაძარში გამობრძანებულ ხარების ხატს, რომელზეც ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი და მთავარანგელოზი გაბრიელია გამოსახული, მომლოცველთა და თაყვანისმცემელთა რიგი უდგას. ტაძარში მოღვაწე მამა თეიმურაზის თქმით, „ხარება არის დასაბამი სიხარულისა. ყველას ვუსურვებ წინსვლას სარწმუნოებაში. დღევანდელი დღე უფლის მოსვლის სიხარულითა და სიყვარულით არის აღმატებული. ამიტომაც ამ მარხვაში ეს სიხარული თევზითაც ხსნილია. დღეს აქ სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აკურთხებს საზეიმო ტრაპეზს და შეასრულებს საზეიმო ლიტურგიას“.

მკითხველს კი შევახსენებთ, რომ საკათედრო ტაძრის სიმაღლე 101 მეტრია, მოცულობა სავესტიბიულო გალერეასთან ერთად 137 ათასი კუბური მეტრი. ინტერიერში განლაგებულია 10 ეკლესია. კომპლექსში შედის ცენტრალური კარიბჭე, ივერიის ღვთისმშობლის და ილია თეზბიტელის სახელობის ეკლესიები.

2005 წლიდან, მთავარი ქველმოქმედის ინიციატივით (რომელიც არ ამხელს ვინაობასძ მიმდინარეობს 11 ჰექტარი მოცულობის ფართობის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები, გალამაზდა გარემო და დედაქალაქს უმშვენიერესი ბაღი შეემატა.

გრძელდება 1600 მეტრი სიგრძის გალავნის, კოშკებისა და მცირე კარიბჭეების მშენებლობა.

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის წიაღში დაფუძნებულია მამათა მონასტრები. ტაძრისა და მონასტრის წინამძღვარია უწმინდესი და უნეტარესი ილია II, წინამძღვრის მოადგილეა არქიმანდრიტი ილია (ნასიძეძ. აქ სისტემატურად მიმდინარეობს ღვთისმსახურება, ლავრის სრულყოფილი ამოქმედებისთვის ტერიტორიაზე საჭიროა, რომ აშენდეს სამონასტრო კომპლექსი, სასულიერო აკადემია, საპატრიარქოს რეზიდენცია და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები.

ალბათ, შორს აღარ არის ის დღე, რომელზეც, როგორც ეს ერთ-ერთ წირვაზე თვით პატრიარქმაც ბრძანა, როცა ეს თორმეტი ტაძარი გაიხსნება, ივერიაც მაშინ გაბრწყინდება!..

მივულოცოთ ერთმანეთს ხარების დღესასწაული.

**ლია ჭილლაძე**

**სურათზე: ასე გამოიყურება ხარების სახელობის ტაძარი.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**



◉ სიტუაცია

# რუსეთში ქართული ღვინის ბაზარი აღარ არის

**არ ვიცი, სხვა ვინმემ ამოღერღა, თუ კარგი იუმორის გრძნობის მქონე რუსებმა საკუთარ თავს თავად მოუფიქრეს, მაგრამ ასეთი ნათქვამი არსებობს: რუსმა თქვა, ოღონდ „გრადუსი“ ჰქონდეს და კაცი თერმომეტრსაც გადაყლაპავსო. ეს ანეკდოტი, რა თქმა უნდა, საწყენად არ გახმაურებულა, უბრალოდ მავანმა ენაკვიმატმა, რუსი ხალხის ალკოჰოლთან ათადან-ბაბამდელი „ძმაკაცობის“ გამო, უწყინრად იხუმრა. ჰოდა, არც მე ვამბობ საწყენად: ალკოჰოლთან მრავალსაუკუნოვანი სიამტკბილობის შემდეგ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, ეტყობა, უზადლო გემოვნება ჩამოუყალიბდა და ამ რამდენიმე დღის წინათ აგვიშარდა, ქართველები უხარისხო და ფალსიფიცირებულ ღვინოს გვასმევთო. ამ მიზეზით კი რუსულ ბაზარზე ქართულ ღვინოს ცხვირს არ აყოფინებენ და მთელი საქართველო თავის კახელგლეხებიან — მეღვინე ბიზნესმენებიან-ხელისუფლებიანად საგონებელშია ჩავარდნილი.**

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა გუშინ, საერთაშორისო პრესცენტრ „ახალი ამბების“ თბილისის ბიუროში გამართული პრესკონფერენცია, რომლის მოთავეც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროსი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი ჯემალ ინაიშვილი იყო. მან თან ქართული ღვინის მსხვილი და წარმატებული მწარმოებლები, კომპანია „თელიანი ველის“ გენერალური დირექტორი არჩილ გეგენავა, „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი გიორგი მარგველაშვილი და კომპანია „ჯი-ვი-ეს“-ის მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი ლევან კობერიძე იახლა და ჟურნალისტებს შექმნილ პრობლემასა და მისი გადაჭრის გზებზე რუსულად იმიტომ გვესაუბრა, პრესკონფერენციის დეტალები რუსული მხარისთვისაც კარგად გასაგები რომ ყოფილიყო.

ჯემალ ინაიშვილის თქმით, ქართული ღვინის რუსული ემბარგო ძალიან რთულ სიტუაციას ქმნის. ღვინო ოდითგანვე იყო ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრობისა და თბილი ურთიერთობების განმსაზღვრელი, დღეს კი დაპირისპირების საგნად იქცაო, მავანთა თქმით, ბრძანა კანონით ერთმანეთთან შეუთავსებელ ორ თანამდებობაზე ერთდროულად მყოფმა ინაიშვილმა, რომელიც რუსულ ბაზარზე ჩვენებური ღვინის აკრძალვის პოლიტიკურ სარჩულზე მიუთითებს.

სავაჭრო პალატის თავმჯდომარე შორს არის იმ აზრისგან, რომ საქართველოში ფალსიფიცირებული ღვინო საერთოდ არ იწარმოება. მათ შორის უხარისხო პროდუქცია რუსეთის ბაზარზეც გადის, მაგრამ ინაიშვილი მოუწოდებს ქართული ღვინის ბარიერის შემქმნელთ, რომ ხარისხიანი და უხარისხო ღვინის ერთმანეთისგან გარჩევა მოხდეს, კარგ ღვინოს ბაზარს ნუ დაუბლოკავთო.

— თუ ეს აკრძალვა შეეხება მხოლოდ ფალსიფიცირებული ღვინის მწარმოებლებს, ჩვენ ამას მივესალმებით და ფალსიფიკატორებთან ბრძოლაში რუსულ მხარესთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ. ეს ჩვენს ინტერესებშიც შედის, — განაცხადა ჯემალ ინაიშვილმა.



ქართული ღვინის რუსეთში გაყიდვის აკრძალვა კრემლის პოლიტიკური ხრიკი რომ არის, ინაიშვილს იმიტომ მიაჩნია, რომ გარდა ქართული და მოლდოვური ღვინისა, ემბარგო არც ერთ ქვეყანას არ შეეხო, საიდანაც რუსულ ბაზარზე ფალსიფიცირებული ღვინო შემოდის.

ამ დღეებში ისიც გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ადგილს ლათინოამერიკული ღვინო დაიკავებს. ინაიშვილი რუსულ მხარეს ეკითხება: რა გარანტია გაქვთ, რომ ამ ქვეყნებიდან უხარისხო და ფალსიფიცირებული ღვინო არ შემოგივათო?

ინაიშვილი ხაზს უსვამს იმასაც, რომ დღეს საქართველოში არც ერთი ღვინის მწარმოებელი კომპანია არ არის, სადაც გარკვეული რაოდენობის რუსული კაპიტალი არ იყოს ჩადებული, ზოგიერთი კომპანია კი მთლიანად რუსული კაპიტალით ფუნქციონირებს. ეს ემბარგო ზარალს არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ მხარესაც მიაყენებსო, — აღნიშნავს სავაჭრო პალატის შეფი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი, რომელიც იმედოვნებს, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება, თუმცა ქართული ღვინისთვის ალტერნატიული ბაზრების მოძებნის აუცილებლობაზეც ლაპარაკობს.

ქართველ მეღვინეებს თავიანთი პროდუქციის გასატანად უკვე რამდენიმე ქვეყანაც აქვთ შეგულებული. ისინი იაპონიის, უკრაინის და რუმინეთის, კიდევ სხვა ქვეყნების ბაზრების წარმატებით ათვისებისთვის უკვე სერიოზულად მუშაობენ.

თუმცა, გარდა ეკონომიკური ზარალისა, რუსეთში ქართული ღვინის აკრძალვა „სახელისა“ და „თავის“ გატეხვის პრობლემასაც ქმნის და ამიტომაც აღნიშნა კომპანია „თბილღვინოს“ გენდირექტორმა გიორგი მარგველაშვილმა, ფინანსურ ზარალს კიდევ მოევლება, რუსეთმა დარტყმა ქართული ღვინის იმიჯსა და რეპუტაციას მიაყენაო.

სწორედ ამ ფინანსური ჩავარდნის აღმოსაფხვრელად და ჩვენებური ღვინის შელახული იმიჯის გასაუმჯობესებლად იმტვრევენ თავს ქართველი მეღვინეები და ხელისუფლების წარმომადგენლები. ჯემალ ინაიშვილს ამისთვის დახმარება თავისი რუსი კოლეგისთვის, ევგენი პრიმაკოვისთვისაც უთხოვია.

გამოსავლის მოძებნა მართლაც საშურია, თორემ რუსული ბაზარი ქართული ღვინისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამ პლაცდარმის დაკარგვა ისედაც წელში გატეხილ ჩვენს ეკონომიკას სიკვდილის პირამდე მიიყვანს. საქართველოში წარმოებული ღვინის 12 პროცენტი ხომ სწორედ რუსულ ბაზარზე იყიდება, ხოლო იმ ღვინიდან, რაც ჩვენი ქვეყნიდან საექსპორტოდ გადის, რუსეთის ბაზარზე 90 პროცენტი ხვდება.

მარტო წლეულს რუსეთში 50 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო გავიდა. ასეთი ბაზრის დაკარგვა, მართლაც დასანანია!

**ჯაბა ხუბუა**

◎ ინფორმაცია

## თუ საზღვარს კარგად გააკონტროლებთ...

წითელი ხიდისა და აეროპორტის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის ახალი ამერიკული პროგრამის ტესტირება დასრულდა.

პროგრამა, რომელიც სასაზღვრო პუნქტების საგანგებო აპარატურით აღჭურვასა და სასაზღვრო კონტროლის სრულყოფას ითვალისწინებს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება.

2 თვის განმავლობაში წითელი ხიდისა და აეროპორტის გამშვებ პუნქტებზე ახალი პროგრამის პილოტური ვერსია მოქმედებდა, რომლის ეფექტურობასა და მომავალში მის საყოველთაო დანერგვაზე დასკვნა საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა უახლოეს მომავალში უნდა გასცეს.

საზღვრის დაცვისა და კონტროლის სამმართველოს უფროსის დავით მახარაძის თქმით, დეპარტამენტს პროგრამის ეფექტურობაზე შენიშვნები არ გააჩნია, მოსაგვარებელია მხოლოდ პროგრამის ტექნიკური დეტალები.

## სცადეთ, იქნებ ბედმა გაგიღიმოთ!

„ქალთა ფონდი საქართველოში“ რეგიონებში მოქმედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის მცირე გრანტების მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს.

კონკურსის თემატიკა გენდერული თანასწორობა, ადვოკატირება და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებაა.

პრიორიტეტი მიენიჭებათ ორგანიზაციებს, რომლებსაც სოფლებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ქალებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

გამარჯვებული პროექტები, რომლებიც ივნისში გამოვლინდება, 500-დან 3 500-მდე დოლარით დაფინანსდებიან.

ХО-ЭИВ-ЭНО

◎ მეცნიერი ხელისუფლებას მიმართავს

# თქვენ მოღვაწეობა დაიწყეთ... სულიერ ფასეულობებზე უკომპრომისო შეტევით,

## ანუ გზა, რომელსაც ტაძართან არ მივყავართ, ვითომ საჭიროა?

*„ვაირეფორმას“ ილია ჭავჭავაძის სახელი დაარქვით. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. და კიდევ — პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო. ქართველი მეცნიერები ლაბორატორიებსა და აუდიტორიებში აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. აწარმოებდნენ კვლევებს, კითხულობდნენ ლექციებს და ზრდიდნენ ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს.*

*როგორ მუშაობდნენ? როგორ ასრულებდნენ თავიანთ საქმეს? აქ უადგილო არ იქნება უკვე ნახსენები სენტენციები გავიმეოროთ: შეფასებაც ხომ საქმეა და თან არაადვილი. განათლების სამინისტროს კომპეტენცია და სიღრმისეული ხედვა კი, ამ შეფასების საქმეში, ფრიად საეჭვოა და მან თავისი მოქმედებით ეს არაერთხელ დაამტკიცა. მე ერთ მაგალითს მოვიყვან. განათლების სამინისტროს გარკვეულობის დონე განათლების კანონში იმდენად დაბალი გამოდგა, რომ მან გარდამავალი პერიოდის შემდგომი პერიოდის კანონის 34-ე მუხლის განხორციელება (უფრო სწორად, ამ მუხლის პირველი პუნქტისა გარდამავალ პერიოდში დაიწყო. ლაპარაკია უნივერსიტეტში უკანონო კონკურსების ჩატარებაზე, რასაც სასამართლო პროცესებიც მოჰყვა. და რაც საერთოდ გამაოგნებელია, სამინისტრომ კანონის ერთი მუხლი (34-ეა ორად გაყო. პირველი პუნქტი ეცნო, რაც კონკურსების ჩატარებას ეხებოდა, მეორე პუნქტი კი საერთოდ არც წაუკითხავს, რადგანაც ის კონკურსების ჩატარებას არჩევით აკადემიურ საბჭოს ავალდებულებდა. აქ ლაპარაკია უმაღლესი განათლების კანონზე, რომლის აღსრულება სამინისტროს არა მარტო მოვალეობა, არამედ სხვათა მიერ მისი შესრულებაც კი მისი საზრუნავი უნდა იყოს.*

*მაგრამ კიდევ კარგი, რომ არსებობს ობიექტური რეალობა, რომელიც საერთოდ არ არის დამოკიდებული არავისზე და არაფერზე, და მათ შორის არც განათლების სამინისტროზე. ეს რეალობა კი ის გახლავთ, რომ ამ ჩვენი „საბჭოთა სისტემაში ჩამოყალიბებელი“ ქართველი მეცნიერების პრესტიჟი მსოფლიო მასშტაბით დღესაც საკმაოდ მაღალია და ისინი მრავლად მოღვაწეობენ უცხოეთის კვლევით ცენტრებშიც.*

*დღეს ჩვენ ქართველი მეცნიერის, პროფესორ თემურ ნანეიშვილის მიმართვას გაგაცნობთ, რომლითაც მან ამასწინანდელი აქციის დროს მიმართა ხელისუფლებას.*

— მე ასეთი გამოსვლების გამოცდილება არა მაქვს. მე მიჩვეული ვარ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში მუშაობას. ამიტომ ძალიან ვღელავ. ჩვენი ხელისუფლების სირცხვილი არის, რომ გვაიძულა ქუჩაში გამოსვლა. მოგესალმებით, საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“, სახელით. ქვეყანაში შექმნილია უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა, როდესაც ჩუმად ყოფნა უკვე დანაშაულის ტოლფასია. ჩვენ ვუერთდებით ჩვენ ქვეყანაში სიკვდილის მანქანის მოქმედებით გამოწვეულ მრავალ უბედურებათა მიმართ გამოთქმულ საერთო პროტესტს.

უნდა მივმართო ხელისუფლებას. საზოგადოება წინა ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ქვეყნის მართვა მხოლოდ იმ იმედით მოგანდოთ თქვენ, რომ საზოგადოებასთან ერთად გვეგონა, ავაშენებდით ქვეყანას, რომელშიც ყოველი ადამიანი ღირსეულ მოქალაქედ იგრძნობდა თავს. ავაშენებდით ქვეყანას, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა იქნებოდა დიალოგი და არა ძალადობა და შანტაჟი, სადაც ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა ცოდნაზე იქნებოდა დაფუძნებული და სადაც პროფესიონალთა ძალისხმევას ვერ დაჩაგრავდა უმეცართა აღზევება. მაგრამ თქვენ დაივიწყეთ თქვენი დაპირება. საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით, ძალადობითა და შანტაჟით, ნეობოლშევიკური მეთოდების გამოყენებით, სრულიად მიუღებელი მოდელის მიხედვით ქმნით სახელმწიფოს.

თქვენ მოღვაწეობა დაიწყეთ ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან სულიერ ფასეულობებზე უკომპრომისო შეტევით. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში უგუნური რეფორმების გატარებით. მეცნიერებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან დიალოგის სანაცვლოდ, თქვენ აირჩიეთ იარლიყების მიკერებისა და შანტაჟის გზა. როგორც ჩანს, თქვენ კარგად გესმით, რომ XXI საუკუნეში მხოლოდ ვაზის ამოძირკვით ვერ მოხერხდება ეროვნული თვითმყოფადობის მოშლა და ბეჯითად შეუდექით მეცნიერებისა და განათლების დანგრევის გზით ჩვენს გარდაქმნას მომსახურე ერად. ანუ წარმატებულად ასრულებთ ქართველი ერის ტომად ჩამოქვეითების მზაკვრულ გეგმას. სწორედ ამ გეგმის მიხედვით, სწავლების ლიბერალიზაციის ფონზე მკვეთრად ამცირებთ სკოლებისა და მასწავლებლების რიცხოვნობას. ბოლონიის პროცესისთვის სრულიად შეუთავსებელი პრინციპებით ატარებთ უნივერსიტეტის რეფორმას. გააუქმეთ უნივერსიტეტის ავტონომია, წესდება და კოლექტიური მართვის არჩევითი ორგანოები, ბაზური დაფინანსება და სამეცნიერო სექტორი. თბილისის უნივერსიტეტი დღეს უნივერსიტეტებისთვის საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლების გარეშეა დარჩენილი და, ფაქტობრივად, უკვე კოლეჯის ტიპის დაწესებულებას წარმოადგენს.

ნიშანდობლივია, რომ ამ ვაირეფორმის გეგმას ილია ჭავჭავაძის



სახელი დაარქვით. თუ საქართველოს საგანძურის გასხვისებას განიზრახავთ, ალბათ ასეთ პროექტს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელს დაარქმევთ. ფინიშის სტადიაზეა მეცნიერების ლიკვიდაციის პროცესი. მეცნიერებათა აკადემიას ჩამოაშორეთ სამეცნიერო ინსტიტუტები. ინსტიტუტები დააფუძნეთ უძრავი ქონების გარეშე და, ფაქტობრივად, მათი საბოლოო ლიკვიდაციის იურიდიული საფუძველი შექმენით. მიღებული გაქვთ მთელი რიგი ინსტიტუტების შენობებიდან გაძევებისა და ქვეყნის მასშტაბით 9000-ზე მეტი მეცნიერის განთავისუფლების გადაწყვეტილება. მეცნიერებაზე „ზრუნვის“ მაგალითია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბიუჯეტიდან სულ სამეცნიერო ინსტიტუტების საბაზო დაფინანსებისთვის გამოყო 3 პროცენტი მთლიანობაში. თქვენ საქართველოს გონიერებას ღირსება შეულახეთ და შიმშილით სასიკვდილოდ გაწირეთ, რაც ქვეყანაში შექმნილი სიკვდილის მანქანის მოქმედების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. თქვენ კარგად გესმით, რომ მეცნიერებისა და განათლების განადგურებით გლობალიზაციის გეგმის იმ ვარიანტს ახორციელებთ, რომელიც ეროვნულობის ლიკვიდაციას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად, განათლების სამინისტროს სახით შექმენით ცენტრალიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული ისეთი ურჩხული, რომლის მსგავსი კომუნისტებმაც კი ვერ შექმნეს. ამ სამინისტროს მიანიჭეთ მისთვის სრულიად უცხო, შეუთავსებადი, მათ შორის პროკურატურის ფუნქციებიც. ცნობილია, რომ ძალაუფლება რყვნის და ზედმეტი ძალაუფლება ზედმეტად რყვნის ადამიანებს. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ამიტომ ეს ორი სამინისტრო ძირეულად უნდა გარდაიქმნას, ხოლო მათმა შემქმნელებმა პასუხი უნდა აგონ (შემქმნელებში უფრო ფართო გაგებას ვგულისხმობ) ქართველი ერის წინაშე.

დაბოლოს, ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს გზების მშენებლობაზე, მაგრამ მან დაივიწყა, რომ გზა, რომელსაც ტაძართან არ მივყავართ, საჭირო არ არის.

**მოამზადა**
**დალი ქვირიამ**

◎ აფსუს!

# ვისი სალაპარაკო გახდა ქართული ღვინო?

**საქართველოს ახლო მომავალში რუსი ექსპერტები ეწვევიან. ქართულმა მხარემ ისინი ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემების ადგილზე გასარკვევად მოიწვია. რუსი დეგუსტატორები შეძლებენ ღვინის წარმოების პროცესზე დაკვირვებას და შემოწმებას.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, საქართველოში არსებული ორი ლაბორატორია („მულტიტესტი“ და „გედიციდი“) საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს და პირველ ეტაპზე, მხოლოდ ამ ლაბორატორიების დასკვნების საფუძველზე უნდა გაიცეს ღვინის საექსპორტო შესაბამისი დოკუმენტაცია. „როგორც რუსეთის მხარე აცხადებს, თუ არის ტექნიკური პრობლემები, ასეთ პრობლემებზე უნდა ისაუბრონ ექსპერტებმა“, — აცხადებს მინისტრი.

მომავალ კვირას კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოსკოვში გაემგზავრება, სადაც მოლაპარაკები, სხვა საკითხებთან ერთად, ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხსაც შეეხება.

* * *

თიბისი ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, ფინანსურად დაეხმაროს ქართული ღვინის კომპანიებს და, ამ მიზნით, 3 თვით გადაუვადოს სესხების გადახდა იმ კლიენტ კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ ღვინის ექსპორტს რუსეთში. ბანკის ეს გადაწყვეტილება განაპირობა ბოლო ხანს ქართული ღვინის კომპანიების წინაშე წარმოქმნილმა პრობლემებმა, რაც მათ რუსეთის მიერ ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვის შედეგად შეექმნათ.



დღეისთვის თიბისი ბანკი წარმოადგენს ქართული საბანკო სექტორის ლიდერ ბანკს, რომლის წილი საბანკო ბაზარზე 30 პროცენტს შეადგენს. იგი აფინანსებს ქართული ღვინის ექსპორტის 50 პროცენტზე მეტს. „დღეს თიბისი ბანკს გააჩნია იმის საშუალება, რომ ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს თავის კლიენტებს, რომლებსაც ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო პრობლემები შეექმნათ“, — აღნიშნავენ ბანკში.

თიბისი ბანკი მზად არის, დააფინანსოს ქართული ღვინის კომპანიების მიერ ალტერნატიული ბაზრების ათვისება, რაც აგრეთვე, გულისხმობს 2006 წლის რთველის დაფინანსებასაც.

* * *

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისიის გენერალური დირექტორის მოადგილეს ფოკიონ ფოკიადისს შეხვდა.**

საუბრის ძირითადი თემა სამეზობლო პოლიტიკისა და ენერგეტიკის საკითხები იყო. მხარეებმა ისაუბრეს, ასევე ევროპის ბაზარზე ქართული ღვინისა და სხვა პროდუქტების გატანის საკითხზე.

როგორც გიორგი ბარამიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, უახლოეს მომავალში საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროპის სტანდარტების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდება.

მისი თქმით, ევროკავშირმა უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებაში, ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია ის, რომ ქართველ მეწარმეებს ევროკავშირის ბაზარი გაეხსნას.

ფოკიონ ფოკიადისის განცხადებით, ამ ეტაპზე ევროკავშირთან ურთიერთობების გეგმის მესამე ეტაპი განიხილება, ხოლო მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, თვის ბოლოს გაიმართება.

ევროკომისიის გენერალური დირექტორის მოადგილის აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია საქართველოს მომავლისთვის, ამიტომ მოლაპარაკებები მაქსიმალურად ეფექტური უნდა იყოს.

**ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა**

# „მივალ აჭარაში, მარა...“

## აქა ამბავი მოულოდნელი მივლინებისა და რატომ შეიცვალა თავდაპირველი გეგმა

**შარშან, აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში რამდენიმე დღე ვსტუმრობდი ხულოს რაიონს. შთაბეჭდილებები მთელი ორი თვის მანძილზე იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. კოლეგები იცინოდნენ, ეს რა უზღვავ-ულევი მასალა ჩამოუტანიაო. ზოგი ხუმრობდა კიდეც, ბოლოსდაბოლოს, ელგუჯა დაბრუნდა აჭარიდან თუ ისევ იქ არისო. აჭარასა და მის ხალხს ყურადღება არასოდეს მოკლებია, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ... წერილები ამ კუთხეზე მაინც დროდადრო იბეჭდება ხოლმე. სწორედ ამ ხარვეზის შევსება სცადა „საქართველოს რესპუბლიკამ“, როცა ჩემს წერილებსა და ჩანახატებს ასე ფართო ასპარეზს აძლევდა.**

მაშინ, როცა ხულოს ვტოვებდი, ვფიქრობდი, რომ ერთ წელიწადზე ადრე ამ მშვენიერ მხარეს ვეღარ ვიხილავდი – რა ვქნათ, ჩვენი გაჭირვებული ყოფა ხშირი მივლინებების საშუალებას არ იძლევა. მაგრამ მოულოდნელობა ხომ თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული! გავიხედე და ჩვენი გაზეთის 22 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია, კალიფორნიაში 62 წლის ჯანის ვულფმა იმშობიარა – მეთორმეტე შვილი, ადამ ჩარლზი შეეძინაო. სხვათა შორის, ამ ქალბატონს სამიოდე წლის წინაც შესძენია ვაჟი, იანი. ჯანი ვულფს 20 შვილიშვილი და რამდენიმე შვილთაშვილიც ჰყოლია.

აი, ბებიაც ასეთი უნდა!

სად კალიფორნია და სად აჭარაო, – იკითხავს სულწასული სენსაციების მოყვარული. ნუ იჩქარებ, ჩემო კარგო! შენ კი არა, წესიერად გაკვირვება და „გახარება“ მეც ვერ მოვასწარი, რომ... ინფორმაციის პუბლიკაციიდან ორიოდე დღეში რედაქციაში გვეწვია ჩვენი გაზეთის მკითხველი თამაზ თევზაძე. მოვიდა და გაზეთ „კომუნისტის“ 1966 წლის 22 დეკემბრის ნომრიდან ამონაჭერი აგვიფრიალა – სხვისი რა გაგკვირვებიათ, როცა „რეკორდსმენი“ დედა ჩვენც, ქართველებსაც გვყოლიაო. ინფორმაციაში ვკითხულობ: **„ხულოს რაიონის სოფელ კვატიას სამედიცინო პუნქტში მიიყვანეს მშობიარე ქალი. მალე მას შეეძინა გოგონა. ბავშვი ნორმალური წონისა იყო და როგორც ყველა ახალშობილი, გაუთავებლად ტიროდა. თითქოს ამ შემთხვევას არ უნდა მიექცია ჩვენი ყურადღება, მაგრამ... გამოირკვა, რომ დედა – ზულეიხი 66 წლისაა, ხოლო მამა, ნური ბერიძე, 79 წლისა, ბავშვს სახელად მერიკო დაარქვეს“.**

ხანდაზმულ მშობიარეთა ისტორიებს მსოფლიო მეცნიერები სწავლობენ. რაშია საქმე, სად უნდა ვეძებოთ ერთეულ გამონაკლისთა მიზეზები? რა განაპიროებს მათ – გარემო, ცხოვრების წესი, კვება, გენი თუ კიდევ სხვა რამ? და თუკი მეცნიერები უამრავ დროს ხარჯავენ ამ ფენომენის ამოხსნაზე, ჩვენ, ჟურნალისტებმა რატომღა უნდა დავიზაროთ, რომ მათ შესახებ მკითხველებს მოვუთხროთ? იცოდა რა მთიანი აჭარისადმი ჩემი განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება, რედაქტორმა „სხვათა შორის“ შემომაპარა, იქნებ წახვიდეთ ხულოში და საჭირო მასალა მოიპოვოთო? აბა, უარს რატომ ვიტყოდი ამ სიამოვნებაზე? მართალია, ცოტა მეეჭვებოდა, რომ ქალბატონი ზულეიხი ვეღარ მიმასპინძლებდა, მაგრამ შვილები, შვილიშვილები ხომ დამხვდებოდნენ? ისიც მეიმედებოდა, რომ მკითხველი ამ კვლევა-ძიების შედეგებს ინტერესით შეხვდებოდა.

ასე აღმოვჩნდი 21 მარტს ბათუმში. იქ ნამდვილი გაზაფხული დამხვდა, თუმცა შემოჯარულ მთებს ჯერაც არ გაეხადა თეთრი სამოსელი. მაგრამ ახლა ბათუმით ტკბობის დრო არა მაქვს, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მივიდე ავტოსადგურში, ხულოსკენ მიმავალ მიკროავტობუსში ჩავჯდე, რათა დღესვე მოვასწრო რაღაც-რაღაცეებში ჩახედვა. ხუმრობა ხომ არ არის, მთელი 88 კილომეტრი მაქვს გასავლელი! ვიღებ ბილეთს, ვჯდები სამარშრუტოში, მაგრამ სინდისი მქენჯნის: აქ, ბათუმში მეგულება ჩემი ადრინდელი მასპინძელი, ხულოს გამგებლის ყოფილი პირველი მოადგილე, ახლა კი აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე ავთანდილ ბოლქვაძე, რომელსაც ადრევე შევპირდი, ბათუმში როცა ჩამოვალ, უეჭველად შეგეხმიანები-მეთქი.

„პიროზის გატეხვას თავის გატეხვა სჯობსო“, – გვასწავლის ბრძენი.

რომ იტყვიან, „შიგ ათიანში მოვარტყი“:

– ნახევარ საათში მანდ გავჩნდები. ხულოში მეც გადაუდებელი საქმეები მაქვს და ერთად წავიდეთ, – მითხრა ტელეფონზე ავთანდილმა.

დათქმულ დროზე ადრე მოვიდა – ახალაგებული სკოლები უნდა დავათვალიეროთ და კომისია მომყავსო.



„აი კიდევ ერთი თემა“, – ჩემსკენ ვითლი ეჩოსავით. „არც ტრანსპორტზე დამჭირდება თავის ტეხვა. კვატიასაც ვნახავ და სხვა სოფლებსაც“.

ერთი სიტყვით, საქმე გაიჩარხა.

და აი, რომან გორგილაძის მიკროავტობუსი უკვე მიგვაქროლებს ხულოსკენ. მიკროავტობუსში კი ჩემსა და ავთანდილ ბოლქვაძის გარდა არიან კომისიის წევრები: განათლების სამინისტროს მრავალი სპეციალისტი, ინჟინერი ნუგზარ ჩხაიძე, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი მამუკა რამიშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი ირაკლი ანანიძე, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრი დავით დოჭვირი. როგორც ბატონმა ავთანდილმა მაცნობა, ხულოში შემოგვიერთდება ზემო აჭარის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზაზა ხალვაში – ჩვენი სასიქადულო პოეტისა და მამულიშვილის ფრიდონ ხალვაშის ვაჟი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ხულოს რაიონის გამგებლის მოადგილეები რევაზ მიძელაძე და ოთარ შაინიძე, სანიტარიული ზედამხედველობის უფროსი რევაზ გოგაძე, სახანძრო სამსახურის უფროსი ლევან დეკანაძე, რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე გურამ ჩოგაძე, მშენებელი ფირმების – „პანორამას“, „ფონისა“ და „სანდასუფთავების“ წარმომადგენლები ამირან ჩოგაძე, ანზორ ბოლქვაძე და მალხაზ აბულაძე.

დათვალიერებით კი უნდა დაგვეთვალიერებინა ბეღლეთის, დიდრიყეთის, წაბლანას, კალოთის, კვატიისა და ყიშლის საბაზო და საშუალო სკოლები, რომელთა მშენებლობა შარშან დაიწყო. მათი პროექტები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აჭარის განათლების სამინისტრომ მოამზადა.

ზემოთ უკვე ვთქვი, მოულოდნელობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე არისმეთქი ჩასაფრებული. არც შევმცდარვარ: ჩემმა მთავარმა მეგზურმა ავთანდილ ბოლქვაძემ დაპირება პირნათლად შეასრულა – ყველა სკოლა მომატარა. **ვფიქრობდი კიდეც, რომ ჩემი რეპორტაჟები და ჩანახატები ამ დიდი და საშვილიშვილო საქმით დამეწყო, მერე კვატიაში ბერიძეების ნაგრამი მომეძებნა, მაგრამ თვალში მეცა უფრო საშური, სასწრაფო და საშიში ვითარება, რისთვისაც უპირველესად უნდა შემოვკრათ განგაშის ზარები. ეს არის ეკომიგრანტთა პრობლემა, რაზეც, სამწუხაროდ, არც ერთ სამთავრობო დონეზე ჯეროვანი მსჯელობა არ შემდგარა.**

თუ რატომ ვფიქრობ ასე, ამაზე დაწვრილებით მომდევნო წერილში მოგითხრობთ.

რაც შეეხება მივლინების „მიზეზს“, მკითხველს მოლოდინს არ გავუცრუებ და დასკვნით წერილში ზულეიხ და ნური ბერიძეების ამბავსაც მოვახსენებ...

**ელგუჯა ლებანიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**თბილისი – ხულო – თბილისი.**

**უცხო თვალით**

# ადამიანის უფლებები მაინც ირღვევა

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა.**

**როგორც გამოკვლევაშია ნათქვამი, გასულ წელს მსოფლიოს 95 ქვეყანაში ამ მიმართულებით პოზიტიური ცვლილებები დაფიქსირდა. ამ მხრივ კი ლათინურამერიკული და კარიბის ზღვის ქვეყნები, ასევე ინდონეზია და უკრაინა გამოირჩეოდა.**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკა კი ბირმამ, ბელორუსმა, ჩრდილოეთ კორეამ, სირიამ, ზიმბაბვემ და რუსეთმა დაიმსახურეს, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებები უხეშად ირღვევა. რაც შეეხება საქართველოს, მოხსენების მიხედვით, ჩვენი ქვეყანა კვლავ განაგრძობს ამბიციური რეფორმების გატარებას, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების შემცირებისკენ არის მიმართული. ამ მხრივ მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა, თუმცა, სერიოზული პრობლემები კვლავ რჩება. როგორც მოხსენების ავტორები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებიან, ოქტომბრის საპარლამენტო შუალედური არჩევნები საერთო ჯამში სამართლიანად ჩატარდა, თუმცა კვლავ დაფიქსირდა საარჩევნო სიების უზუსტობები და საარჩევნო ყუთების მოუწესრიგებლობა. „რელიგიური თავისუფლების ხარისხი გაუმჯობესდა. ეს კი რელიგიური უმცირესობების უფლებათა დარღვევის ფაქტების ინტენსიურ გამოძიებებს უკავშირდება“, – წერია მოხსენებაში. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინასწარდაკავების იზოლატორებში სამართალდამცავების მიერ დაკავებულთა წამებისა და არადაამიანური მოპყრობის აღმოსაფხვრელად. თუმცა, საკმაოდ ხშირია საჩივრები ეჭვმიტანილთა დაკავებისა და ტრანსპორტირებისას ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე. „ძალოვანი სტრუქტურების დაუსჯელობის სინდრომი, განსაკუთრებით კი, თბილისის გარეთ, რეგიონებში, კვლავ აქტუალურია“ – აღნიშნულია დოკუმენტში.**

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

**ითქვა და გათავდა**

# ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას ვერავინ შეაფერხებს

**ბაქოში, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტების – ილჰამ ალიევსა და აჰმედ ნეჯდეტ სეზერს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები დასრულდა.**

მოლაპარაკებისას თურქეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების პერსპექტივები განიხილეს და ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაზეც იმსჯელეს.

ორი ქვეყნის პრეზიდენტმა მოლაპარაკებათა მსვლელობისას გვერდი ვერ აუარეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე ირანის მიერ გამოთქმულ პოზიციას.

ილხამ ალიევი მოლაპარაკებებით კმაყოფილია.

„აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობები, დღეს ძალზე მაღალ დონეზე დგას. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ურთიერთობები პროექტების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის საბოლოო დასრულების შემდეგ უფრო გაღრმავდება და უფრო ნაყოფიერი იქნება“, – განაცხადა ალიევმა.

ამას გარდა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზების მზადყოფნაც გამოთქვა.

„აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო აღნიშნული პროექტის რეალიზებისთვის სრულ მზადყოფნაში არიან და მჯერა, რომ მისი განხორციელებით დიდ წარმატებებს მივაღწევთ. სამ ქვეყანას შორის ამ საკითხზე არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს“, – დასძინა ალიევმა.

თურქეთი აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორია და ამას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც ამტკიცებს. სახელდობრ, მიუხედავად დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით კი აშშ-ის ზეწოლისა, ანკარა სომხეთთან არა თუ ურთიერთობების აღდგენას ცდილობს, არამედ მასთან საზღვარიც კი ჩაკეტა.

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

**ინფორმაცია**

### მძევლად აშშ-ს მოქალაქე აიყვანა

**სპეციალურ დავალებათა მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისელი, ვაზისუბანში მცხოვრები, 53 წლის მურმან ფაილოძე დააკავეს.**

**როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ფაილოძე ეჭვმიტანილია აშშ-ს მოქალაქის ალექსანდრე კრეინის მძევლად ხელში ჩაგდებაში.**

### გატაცებული საქონლის დაბრუნება მოახერხეს

**საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო „ქიზიყის“ სასაზღვრო სექტორ „მლაშე წყლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სამმა შეიარაღებულმა პირმა ორმოცდახუთი სული მსხვილფეხა საქონელი გაიტაცა.**

**ოპერატიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის სიახლოვეს, მესაზღვრეებმა გატაცებული საქონლის დაბრუნება მოახერხეს.**

**ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად ეჭვმიტანილთა გამოსავლენად და დასაკავებლად.**

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

### არ გვინდა ეს კიბო

**ონკოპრევენციის ცენტრი, კომპანია „BP“-ს დაფინანსებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშუტის გასწვრივ მდებარე რაიონებში კიბოს პრევენციის მიზნით სპეციალური ღონისძიებების გატარებას იწყებს.**

**პროექტის პრეზენტაცია ონკოპრევენციის ცენტრის ხელმძღვანელობამ და კომპანია „BP საქართველოს“ წარმომადგენლებმა გუშინ სასტუმრო „თორში“ გამართეს.**

**ღონისძიებას საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ესწრებოდა. ონკოპრევენციის ცენტრის ხელმძღვანელ რემა ღვამიჩავას განცხადებით, პროგრამის „პრევენცია და ადრეული დიაგნოსტიკა - კიბოს კონტროლის ძირითადი ნაბიჯები“ ფარგლებში, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში 10 თვის განმავლობაში 4 000-მდე პაციენტი ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით უფასო გამოკვლევებს ჩაიტარებს.**

**ღვამიჩავას განცხადებით, პროგრამის ფარგლებში გადამზადდება რეგიონებში დასაქმებული 400 ექიმი.**

**პროექტის განსახორციელებლად 78 000 დოლარია გამოყოფილი.**

### იმერეთის 5-მა რაიონმა გვიმტყუნა

**იმერეთის რეგიონის 12-დან 5-მა რაიონმა 2006 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი ვერ შეასრულა.**

**ბაღდადის, ზესტაფონის, სამტრედიის, ტყიბულისა და ჭიათურის რაიონების ბიუჯეტში დეფიციტმა ჯამში 150 ათას ლარს გადააჭარბა.**

**ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზებზე საუბრისას იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ქაჯაიამ აღნიშნა, რომ რამდენიმე რაიონის საკრებულომ, თავის დროზე, არარეალური ბიუჯეტი დაგეგმა. მისივე თქმით, სამტრედიას ბიუჯეტის შესრულების მხრივ პრობლემები რკინიგზის გამო შეექმნა. ქაჯაიას განცხადებით, რკინიგზის რეორგანიზაციამ რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები შეამცირა. „დანარჩენ ოთხ რაიონში ხელფასების გაცემა დაგვიანდა, რამაც საბიუჯეტო დეფიციტი წარმოქმნა“, – აღნიშნა იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა.**

**ინტერპრესნიუსი**

## „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“

# ვინ მიაჯაჭვა ამირანი?

**ზოგიერთივით ურწმუნო თომა როდი ვარ, არაფერი დავიჯერო. მითუმეტეს ქვეყნის პრეზიდენტისა, რომლის ენით სრული სიმართლე ღაღადებს. აბა როგორ არ დავიჯერო, მაგალითად, როცა ამბობს, რომ საქართველო არასდროს ყოფილა ისეთი დამოუკიდებელი, თავისუფალი და აყვავებული ქვეყანა, როგორც ახლა, ნაციონალების მმართველობის პერიოდში, რომ საქართველომ ბოლო წლებში მოპოვებული დემოკრატიული ღირებულებებით გაუსწრო ბევრ ევროპულ ქვეყანას და მთელი მსოფლიოსთვის თითით საჩვენებელი შუქურა გახდა.**

ნათელაშვილი ან ძიძიგური უნდა იყო, რომ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეგეპაროს. მაგათ და ზოგ სხვა ურწმუნოსაც რომ კაცმა მოუსმინოს, უნდა დაიჯეროს, რომ დღევანდელ საქართველოში დიდი უსამართლობა და განუკითხაობაა, ხალხი დამონებული, შეშინებული და დამშეულია. მას კიდევ ოპოზიცია აკავებს, თორემ ისეა აღელვებული, დღევანდელი ხელისუფლება შეიძლება სულაც მოუსავლეთში მოისროლოს.

აბა, ნორმალური ადამიანი, რომელსაც სმენა არ აკლია და მხედველობაც არ ღალატობს, ასეთ ნაბოდვარს დაიჯერებს? მე პირადად, ასეთ რამეს რომ გავიგებ, უხერხულობისგან ფეხის გულები მეწვის და სირცხვილისგან თვალები მიელმდება.

ამას წინათაც, ბადრი პატარკაციშვილმა რომ თქვა, საქართველოში ბიზნესი შეშინებულიაო, ისე შემრცხვა, აღარ ვიცოდი, გაწითლებული ცხვირი სად წამეღო. შე დალოცვილო, საქართველოში, ამ მოლაღანე სუპერდემოკრატიულ ქვეყანაში პატიმრებს არ ეშინიათ — ხან ციხეებში გათხრილი გვირაბებიდან გარბიან, ხან კიდევ ტუსაღმრავალ ბუნტს აწყობენ და შენ რამ შეგაშინა? ჰო, ჰო, მართალს გეუბნები, მე 33 ლარიან პენსიონერს არ მეშინია და მილიონების პატრონი ასე რამ შეგაშინა? შე მამაცხონებულო, ფოთში და ყულევში თუ ჩაგივარდა ტენდერი, შენც ადექი და ეგ რაღაც ტერმინალი ტარიბანაში ან სულაც ტოლნიანში ააშენე, ვინ დაგიშალა?

კაცმა რომ თქვას, ეს საკითხი იმდენად არ მაღელვებს, პატარკაციშვილი თავის მილიონებს სადმე როგორმე დააბანდებს. მე უფრო მეტად მიჯაჭვულმა ამირანმა დამაფიქრა, რაზეც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადა. მისი თქმით, დღეს თურმე საქართველოს ხან ვინ მიაჯაჭვავს კლდეზე და ხან ვინ. ჩვენი ხელისუფლების დიდი მცდელობით, ქვეყანა პერიოდულად თავს აღწევს ტყვეობას, მაგრამ არ ისვენებენ ჩვენი მტრები, რომლებიც კვლავ და კვლავ გამოეკიდებიან ხოლმე თავისუფლად მონავარდე საქართველოს და ისევ ძველ ადგილზე აჯაჭვავენ.

ამ განცხადებამ ცოტა არ იყოს განმაცვიფრა. პრეზიდენტის სიტყვები, რა თქმა უნდა, ვირწმუნე (რა უფლება მქონდა, ეჭვი შემეტანაძ, მაგრამ თავად ფაქტმა შემაძრწუნა: როგორ შეიძლება ისეთ ულტრადემოკრატიულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ვინმემ შებედოს და კლდეზე მიაჯაჭვოს. ჩვენ დღემდე (და არა მარტო ჩვენძ საქართველოს ვიცნობდით როგორც მსოფლიო დემოკრატიულ სივრცეში ლაღად მონავარდე შევარდენს, ახლა კი გვეუბნებიან, რომ ის შეიპყრეს და მიაჯაჭვეს.

ეს ხომ სისასტიკისა და ალოგიკურობის დაუჯერებელი მაგალითია. ვის შეუძლია დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში ასეთი უსამართლობის ჩადენა?

სხვა ვის, თუ არა ისევ და ისევ ჩვენს კეთილ მეზობელ რუსეთს. მას რა თქმა უნდა, არ მოსწონს, რომ მისმა ყოფილმა კოლონიამ თავი აიწყვიტა, უფროს ძმას ეკონომიკური პარამეტრებითაც გაუსწრო, დემოკრატიული ღირებულებებითაც და სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, აღგა და ღვინო დაუწუნა — ემბარგო დაადო და საქართველო კვლავ ისევ კლდეზე მიაბა.

— იყავი მანდ მიჯაჭვული, ვიდრე არ მოვისურვებ, ფეხსაც ვერ გაანძრევო. თან ისიც დააყოლა: ეს ყველაფერი შენს მეტიჩარა და ქარიზმატულ მთავრობას დააბრალე, ეგ რომ ასე არ ყელყელაობდეს და ყოყლოჩინობდეს, თქვენს ღვინოებს გაცილებით უკეთესი გემო ექნებოდაო.

იმათ რომ არ ეთქვათ, ამას თავად ჩვენი პრეზიდენტიც მიხვდა. საქართველოს მთავრობა რომ ეფექტურად მუშაობს, ამას ვერ იტანენ ჩვენი მტრები, გულზე სკდებიან და აღარ იციან, რით გვიხიმანონო — განაცხადა მან. მაგრამ რაც არ უნდა მოიმოქმედონ ახალმა შაჰაბაზებმა და სადაც არ უნდა მიგვაჯაჭვონ, ჩვენს წინსვლას ვერ შეაჩერებენ, მათ ჯიბრზე მალე ნატოშიც შევალთ და ევროკავშირშიც მოვიკალათებთო. ესეც თავად პრეზიდენტმა განაცხადა.

ამან ცოტა არ იყოს შემაფიქრიანა. განა იმიტომ, რომ პრეზიდენტმა იცრუა ან დაიტრაბახა. ხალხი მართლაც ყელთამდეა სავსე მთავრობის მიერ ნაკეთები კეთილი საქმეებით, მაგრამ, როგორც ჩანს, სიფრთხილე მაინც საჭიროა. ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის ამბავი რომ ვიცი, ეგენი მიღწეულს არ დასჯერდებიან, იმდენს იზამენ, საქართველოს მსოფლიოს უპირველეს სახელმწიფოდ გადააქცევენ, რაც, ბუნებრივია, შაჰაბაზებს კიდევ უფრო მოგვიმრავლებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამერიკასაც რომ გაუსწრებ, მერე სად გარბიხარ?

ამაზე ნამდვილად მართებს დაფიქრება ჩვენს ხელისუფლებას. მან მუშაობის ტემპს სასწრაფოდ უნდა მოუკლოს, თორემ ამერიკა რომ ამერიკაა და დღეს მეგობრობას გვეფიცება, ჩვენში მეტოქე თუ დაინახა, ხვალ შეიძლება რუსეთზე დიდ მტაცებლად მოგვევლინოს.

ბატონო პრეზიდენტო, დიდად პატივცემულო პარლამენტარებო და მთავრობის წევრებო, საკუთარი თავი თუ არ გეცოდებათ, ხალხს მაინც გაუწიეთ ანგარიში, ცოტა შეისვენეთ, ნუ გადაიკიდებთ მტრად მთელ დუნიას!

**ოთარ ხუციშვილი**

## ჩვენებურები

# ახლადანთებული „ციცინათელა“ „ვარსკვლავების“ მუქზე

**„ადამიანი, როგორც ცოცხალ ქმნილებათა სახეობა, ჭეშმარიტად მომღერალი არსებაა, ოღონდ სიმღერის ხმას იგი აზრს აქსოვს“, — ეს შესანიშნავი სიტყვები დიდ გერმანელ ჰუმანისტსა და თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებელს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს ეკუთვნის და, ვფიქრობ, სრულ ჭეშმარიტებას გამოხატავენ. სიმღერა ქართველებმაც რომ დიდებულად ვიცით, არც ეს მტკიცება იწვევს კამათს, — ვინაიდან ამის დასტურად მარტო ჩვენი სახელოვანი მომღერლების გვარების ჩამოთვლა იკმარებს — მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა, პაატა ბურჭულაძე...**

***ცოტა ხნის წინათ, ვინც კი ბარსელონის, ესპანური კატალონიის ამ უმშვენიერესი, განუმეორებელი არქიტექტურის მქონე ქალაქის საოპერო თეატრის „ლიცეუს“ აფიშას ნახავდა, ჯუზეპე ვერდის ოპერა „ოტელოს“ შემსრულებელთა შორის ორ ქართულ გვარსაც ამოიკითხავდა: იაგო — ლადო ათანელი, ემილია — ქეთევან ქემოკლიძე.***



სურათზე: ლადო ათანელი, ა.როს-მარბა და ქეთევან ქემოკლიძე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ლიცეუს“ მსმენელი დიდად განებივრებულია მაღალი დონის მომღერლების გამოსვლებით. ამდენად, კიდევ უფრო მეტად სასიახურალოა ის გარემოება, რომ ესპანურმა პრესამ ძალიან მაღალი შეფასება მისცა ამ შესანიშნავ დადგმას (დირიჟორი ა. როს-მარბა, რეჟისორი ვ. დეკერიძ და საქებარი სიტყვები არ დაიშურა შემსრულებელთა, მათ შორის, ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, ლადო ათანელისა და ქეთევან ქემოკლიძის მიმართაც. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ წამყვან პარტიებს ჯუზეპე ვერდის ამ დიდებულ ოპერაში ასრულებდნენ საქვეყნოდ ცნობილი საოპერო მომღერლები — არგენტინელი ხოსე კურა (ოტელოძ და ბულგარელი კრასიმირა სტოიანოვა (დეზდემონაძ.

ლადო ათანელის დებიუტი ბარსელონის საოპერო თეატრ „ლიცეუს“ სცენაზე 1990-2000 წლების სეზონში ასევე ჯ. ვერდის „ბალ-მასკარადში“ რენატოს პარტიის შესრულებით შედგა. „გამაოგნებელი ხმა“, „ექსპრესიული და სრულყოფილი ბარიტონი გასაოცარი პიანოებით“, — აი, რამდენიმე იმ აღფრთოვანებული ეპითეტებიდან, რომლებსაც ესპანური პრესა ამ დღეებში არ იშურებდა ქართველი მომღერლის მისამართით. იაგოს პარტია ლადო ათენელმა თავდაპირველად ქალაქ ჰამბურგის საოპერო თეატრის სცენაზე შეასრულა, სადაც მანამდეც მრავალჯერ უმღერია დიდი წარმატებით. საკმაოდ მკაცრმა გერმანულმა კრიტიკამ მას „ვარსკვლავი“ და „პრემიერის მწვერვალი“ უწოდა. აპრილში კი საგასტროლო გზამ ლადო ათანელს უკვე იაპონიაში ჩაიყვანა, სადაც იაგოს პარტიას დიდი იაპონელი დირიჟორის ს. ოზავას ხელმძღვანელობით შეასრულა. ამას მოჰყვება „ტოსკა“ მიუნჰენში, „ერნანი“ ბერლინის ფილარმონიაში და „დონ კარლოსი“ მეტროპოლიტენოპერაში.

საოპერო ხელოვნების ქართველ მოყვარულთ, ალბათ, ახსოვთ, რომ ლადო ათანელის ერთ-ერთი პირველი დიდი გამარჯვება სწორედ ბარსელონასთანაა დაკავშირებული, სადაც მან ფ. ვინიასის ვოკალისტთა კონკურსში გრან-პრი მოიპოვა. ამას მოჰყვა ასევე გამარჯვებები ბელვედერისა და სხვა საერთაშორისო კონკურსებში, აგრეთვე, უამრავი წარმატებული გამოსვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის საოპერო სცენებზე, რა დროსაც მან მსმენელთა გული დაიპყრო როგორც დიდებული ვოკალური მონაცემებით ასევე უზადო სცენური ოსტატობით. სწორედ მონაცემთა ასეთი სინთეზის დიდებული შედეგია საოპერო ხელოვნების ისეთი დასამახსოვრებელი სცენური სახეები, როგორც ნაბუკო, რენატო, მაკბეტი, ჟერმონი და გასაოცარი სკარპიო, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად თანამედროვე საოპერო სცენაზე სწორედ ლადო ათანელი გვევლინება.

ნამდვილად საამაყოა, რომ ჩვენს თანამემამულეს ესოდენ დიდი წარმატებები აქვს მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სცენებზე, მაგრამ, ვფიქრობ, დამერწმუნებით, რომ არანაკლებ სასიხარულოა, რომ უკვე აღიარებული ვარსკვლავების გვერდით ახალი თაობის ქართველი მომღერლების „ციცინათელებიც“ ინთება! საქმე ის გახლავთ, რომ ბარსელონის „ლიცეუს“ სცენაზე ლადო ათანელთან ერთად „ოტელოში“ მეორე ქართველი, ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ქეთევან ქემოკლიძეც მონაწილეობდა, რომელმაც ემილიას, იაგოს მეუღლის პარტია შეასრულა. სწორედ მისი დახმარებით ხელთ იგდებს იაგო დეზდემონასთვის საბედისწერო ცხვირსახოცს. აქვე იმასაც დავძენ, რომ ემილიას პარტია დიდი არ არის, მაგრამ საყურადღებო ის გახლავთ, რომ ესპანურ კრიტიკას შეუმჩნეველი არ დარჩენია ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი. სპეციალისტები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ემილიას მცირედ მუსიკალურ ფრაზებში ქეთევან ქემოკლიძემ კარგად წარმოაჩინა საკუთარი ვოკალური და სცენური შესაძლებლობები, ასევე ხაზს უსვამენ იმას, რომ მან მსმენელს თავი დაამახსოვრა დიდი მომღერლების გარემოცვაშიც კი.

ქეთევან ქემოკლიძე ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია (პედაგოგი — პროფესორი მ. კარიაულიძ, მაგრამ იგი უკვე რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი და პრიზიორია, ასევე ტულუზის კონკურსის გრან-პრის მფლობელი. თავისი ოსტატობის სრულყოფას ქეთევან ქემოკლიძე ამჟამად „ლა სკალას“ აკადემიაში განაგრძობს და, მიუხედავად იმისა, რომ მილანში იგი არც თუ დიდი ხნის წინათ ჩავიდა, მან უკვე მონაწილეობა მიიღო სახელოვანი თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში „სევილიელი დალაქი“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“.

...საოპერო ხელოვნების მოყვარულებს ჯერაც კარგად ახსოვთ ის სასიამოვნო განცდები, რომლებიც ლადო ათანელის შარშანდელმა ივნისში გამართულმა კონცერტმა მიანიჭა. ამიტომ, ვფიქრობ, მრავალი მუსიკის ტრფიალის იმედს გამოვთქვამ, რომ ახლო მომავალში კიდევ არაერთხელ გვექნება როგორც უკვე სახელმოხვეჭილი, ასევე „ახლადანათებული“ ვარსკვლავების ისევ თბილისში მოსმენით დატკბობის საშუალება.

**ოთარ ტურაბელიძე**

**სურათზე: ლადო ათანელი, ა.როს-მარბა და ქეთევან ქემოკლიძე.**

## ინფორმაცია

### ნარკომანიაზე იმსჯელეს

**ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრის „ახალი გზის“ და საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით, ომბუდსმენის ოფისში გუშინ ნარკომანიის პრობლემებთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა.**

**როგორც შეხვედრის ორგანიზატორებმა განაცხადეს, სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 250 000-მდე ნარკოტიკის მომხმარებელი და ნარკომანია.**

**შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებისათვის უკეთესი იქნება თუ ნარკოტიკების მოხმარება განიხილება, როგორც ჯანდაცვის და სოციალური პრობლემა და არა როგორც კრიმინალი. ასეთ შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულებს მიეცემათ საშუალება თავი დააღწიონ წამალდამოკიდებულებას. გარდა ამისა, ამით შემცირდება საზოგადოებაში ინფექციების გავრცელების რისკიც.**

**— თუ ამ ადამიანებს ციხეში კი არ გამოვკეტავთ, არამედ საზოგადოებაში მათ დაბრუნებას უზრუნველვყოფთ, ამით საზოგადოებაც და სახელმწიფოც მოგებული დარჩება. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, ნარკოტიკების მოხმარების გამო სისხლის პასუხისმგებლობის გაუქმება, — აცხადებენ შეხვედრის ორგანიზატორები.**

**მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.**

**ინტერპრესნიუსი**



◎ ექსკლუზივი

# სამშობლოს სიყვარული, რომელის სანუკვარეთაც ართმევს ყელი...

## რატომ დააკავეს ქართველი კინოდოკუმენტალისტები აფხაზეთში?

*როდესაც თეა შარია გავიცანი, უცნაური გრძნობა დამეუფლა: ერთი მხრივ, ეს იყო სიამაყე იმის გამო, რომ ეს სათნო, ლურჯთვალა გოგონა ქართველია, რომ ის ბედავდა იმას, რასაც ბევრი ვაჟკაციც ვერ გაბედავს: ჩადიოდა აფხაზეთში და იკვლევდა იქაურ კულტურის ძეგლებს. სიამაყეს თან ახლდა გულისტკივილი, რომ ვილაცამ შეძლო მასში მტრის დანახვა!*

*ქართველი კინოდოკუმენტალისტები, თეა შარია და ტარიელ სოხაძე, აფხაზეთის ტერიტორიაზე დააკავეს ამა წლის 1 მარტს, ამ ფაქტმა მთელი ქართული საზოგადოებრიობა აღაშფოთა. თეა შარიას შესახებ ჩვენ უკვე გიამბეთ. დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ტარიელ სოხაძესთან, რომელიც თეას კოლეგა და თანამოაზრეა:*

**— როგორ დაგაკავეს?**

— დაგვაკავეს სოხუმთან ახლოს, მოქვის ტაძარი გადავიღეთ და იქიდან ვბრუნდებოდით. ბრალად გვედებოდა საზღვრის უკანონო გადაკვეთა, ჯაშუშური საქმიანობა და თვით ტაძრების გაძარცვაც კი. საბედნიეროდ, ყველა ეს ბრალდება უარყოფილ იქნა და დავამტკიცეთ, რომ მართლები ვართ, რომ მხოლოდ ჩვენს პროფესიულ ვალს ვიხდიდით.

**— მაინც, რა გაძლევდათ ყველაზე დიდ იმედს იმ დღეებში?**

— ვიცოდით, რომ ჩვენს ამბავს ვილაც მაინც გაახმაურებდა. 6 მარტამდე მართლაც იყო უიმედობის მომენტი. ექვსში კი ჩვენთან მოვიდნენ გაეროს წარმომადგენლები.

საქმეში ჩაერივნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. თანდათან გაჩნდა იმედი, რომ იმ გაურკვეველ მდგომარეობას თავს დავაღწევდით. ამის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა ჩვენი გათავისუფლება 25 მარტამდე.

**— მთელი საქართველო განიცდიდა ამ სამწუხარო ამბავს. თუ გრძნობდით იქ ამ მხარდაჭერას?**

— თავიდან მთელი 5 დღის მანძილზე გრძელდებოდა დაკითხვები. ერთ-ერთი დაკითხვის დროს მითხრეს, რომ თბილისში დაიწყო სტუდენტური მოძრაობა, რომ მთელი ქართული საზოგადოება მოითხოვს ჩვენს გათავისუფლებას. ამანაც დიდი სტიმული მოგვცა. თავისთავად მხარში გვედგნენ ახლობლები, ოჯახის წევრები. განსაკუთრებით ვღარდობდი დედის ჯანმრთელობაზე, რაც შეეხება მამა-



ჩემს, ის ლოგინადაც კი ჩავარდა, ისე განიცდიდა ჩემს მდგომარეობას.

**— გქონდათ თუ არა განცდა იმისა, რომ რისკავდით?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ გაცნობიერებული გვქონდა, რაზეც მივდიოდით, მაგრამ როდესაც იცი, რომ კეთილ საქმეზე მიდიხარ, რომ იქ მშობლიური ეკლესია-მონასტრები გელოდებიან, ყველაფერი ადვილდება. ეს არის სამშობლოს სიყვარული, როდესაც სანაცვლოდ არაფერს ელი. ჩვენ მეტს ვერაფერს გავაკეთებდით აფხაზეთში, ვაკეთებდით იმას, რაც შეგვეძლო. ბედნიერებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვასწარით და გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი — „ბედია“. ქართულ საზოგადოებას დავანახეთ ამ ტაძრის ახლანდელი მდგომარეობა.

სხვათა შორის, მაცნობეს, რომ ჩვენთან შეხვედრას აპირებდა თვითონ პრეზიდენტი. ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. იმედია, რომ ვინმე მაინც დაგვიჭერს მხარს და ყურადღებას მოგვაქცევს — ჩვენ ხომ ქართულ ეკლესია-მონასტრებს ვიკვლევთ.

**დარწმუნებული ვარ, თეა შარია და ტარიელ სოხაძე კვლავაც გააგრძელებენ თავიანთ მამულიშვილურ საქმეს...**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ინფორმაცია

## თუ „ბორჯომიც“ დაგვიწუნეს...

**რუსეთის ბაზარზე ქართულ „ბორჯომს“ პრობლემები არ შექმნია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მინისა და მინერალური წყლების ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი ჯაფარიძემ განუცხადა. მისი თქმით, ბორჯომი უპრობლემოდ შედის რუსეთის ბაზარზე და არც არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით.**

**„ბორჯომის იმპორტთან დაკავშირებით, არანაირი ინფორმაცია არ არის და თავად ნუ ავტეხავთ ამ თემაზე აჟიოტაჟს, რომ რუსეთს ამ პროდუქციის აკრძალვა ძალით ვაფიქრებინოთ“, — განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.**

**ინტერპრესნიუსი**



◎ აფორიაქებული განწყობით

# ხორცის ზეობით დაკნინებული სული

**ერთი უბედურება მჭირს:**

**ზეპირად ვიცი ქართული ანბანის ოცდაცამეტივე ასო-ბგერა.**

**შემიძლია ნებისმიერი წარწერის უშეცდომოდ წაკითხვა.**

**აფორიაქების მიზეზიც ეს არის.**

**შევავლებ თვალს:**

**„იმერული ოდა“;**

**„გურული ფაცხა“;**

**„მეგრული ჯარგვალი“.**

**რესტორნები:**

**სამწვადეები;**

**სახინკლეები;**

**სახაჭაპურეები;**

**სახაშეები.**

**ერთი სიტყვით:**

**სავსე კუჭი, გამოცარიელებული გული.**

უხერხული, მაგრამ მაინც არადამთრგუნველი სახელები.

პატარ-პატარა უხერხულობები, მაგრამ მაინც ასე თუ ისე შესაგუებელი სახელები.

მერე:

„იმერეთი“;

„კახეთი“;

„კოლხეთი“.

ეს უკვე ცოტა შორს წასული უპატივცემლობაა ჯერ ისტორიული მხარეების, მერე მთლიანი საქართველოსადმი.

რა გზები, რომელი კუთხეები!

შუაგულ ქალაქში რესტორანი „მარკო პოლო“.

ისტორიული პიროვნება.

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ეს კაცი ქართველად არ დაბადებულა. არც ქართული საქმეები უკეთებია.

იტალიელი იყო და თავისი ქვეყნისთვის ილვწოდა. საქმეს მაინც ზოგადს, კაცობრიულს აკეთებდა — ყველასთვის საჭირო და სასარგებლოს.

ყოველ შემთხვევაში არაერთი ერისთვის იმდენი გააკეთა, რომ ცუდი არ იქნებოდა, რესტორანზე უფრო მნიშვნელოვან დაწესებულებას ეწეროს მისი სახელი და გვარი.

მისი ნამოქმედარი, მადლობა ღმერთს, არ ექვემდებარება პრივატიზებას, მით უმეტეს, ვილაცისთვის რამდენიმეწლიანი მართვის უფლებით გადაცემას.

მის სამშობლოში აზრადაც არავის მოუვა ასეთი რამ, რადგან იქ კარგად იციან:

სულიერ ღირებულებათა ფასი;

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა აკიდოებთან მისი გამოცალკევების აუცილებლობა.

არც მათ ღირებულებებს ცვლიან დროის რხევებთან შეფარდებით, რადგან ასეთი რაღაცეები ფასდაუდებლები არიან საერთოდ.

ვის უნდა ვასწავლო ახლა მე ეს?

არც არავის.




სულ უეშმაკო ხერხი ვიხმარე, შორიდან მოვუარე, სათქმელს პირდაპირ არ ვეცი, როგორც კორიდაზე გამოგდებული ხარი წითელი ფართლის ნაჭერს.

პირდაპირ ხსენება ვერ შევბედე.

„ფიროსმანი“.

რესტორნები ნამდვილად არ სძულებია იმ სულკურთხეულს.

ცხოვრების, შემოქმედებითი წვის მეტი წილი გაუტარებია იქ.

სადღაც, რომელიღაც პატარა დუქნის კედელზე ფუნჯის ერთი მოსმით გაცილებით მეტი გაუკეთებია და დაუტოვებია ერისთვის, ვიდრე დიდებისა და კიდევ რაღაცის მაძიებელ დღევანდელ პოლიტიკოსთა მთელ დასტას, სახელმწიფო დიდმოხელეთა კრებულს, მაღალი, ბოხი ხმის მქონე ზოგიერთ მეცნიერს — ოცდაათიდან რომელიმე ერთი აკადემიის წევრს მაინც.

ამიტომაც მეჩვენება მიუტევებელ ცოდვად ნებისმიერი რანგისა თუ დონის სასადილო დაწესებულებისთვის ფიროსმანობის მძიმე ტვირთის აკიდება.

ეს მარტო ამ სულიერებისგან დაცლილი მატერიალური ქონების მეპატრონეთა თუ „ახალქართულად“ მენეჯერებად მონათლული ადამიანების დანაშაული არ არის.

სწორედ დანაშაული.

არა — ბრალი.

ნორმალურ საზოგადოებაში არსებობს მორალური დანაშაულიც, ისეთი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის არც ერთ მუხლში არ არის ნახსენები. ამიტომაც სასამართლო ძალით არ ისჯება, თუმცა...

გამორიცხული არ არის უზენაესი სჯიდეს ყოველ წუთს, ყოველ წამს, ისე, რომ თვითონ შემცოდველმაც ვერაფერი იგრძნოს უფლის წინაშე პირადად წარდგომამდე.

უფალმა მომაგონა!

ახლახან საქართველოს პარლამენტში სულ გრიალ-გრიალით ჩაიარა ერთი გახმაურებული სახელისა და გვარის მქონე კანონმდებლის ქმედებათა განჩხრეკამ.

ოსტატმა ქოთანს ყური არ მიაბა, სადაც სურდა.

მართალიაო, ბრძანა თემიდამაც.

ცოდვა-მადლის ამწონავი სასწორი მისთვის ამ გადაწყვეტილების გამო თავზე არავის გადაუმტვრევია, რადგან საყოველთაოდ ცნობილ ნახატშიც კი მეტად საშიში და შეუიარაღებელი კაცისთვის მოსარიდებელი მახვილი უჭირავს.

კანონშემოქმედი კანონშემოქმედი ორგანოდან წავიდა.

არა, თემიდის მახვილს არ დაუფრთხია.

ალბათ, ახლა ასე იყო საჭირო.

სახელის მიჩქმალვა სჯობდა სახრავის დაკარგვას.

ის კი წავიდა, მაგრამ კვალი დარჩა.

უკეთური კვალი!

საბაჟო ტერმინალი „ოპიზა“!

„ოპიზა“ — ერთ დროს უდიდესი სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი მრავალტანჯული ტაოს მიწაზე.

ათასობით წლების მანძილზე დიდქართველთა ხატი და სალოცავი, დღემდე სანანებელი და სათაყვანებელი.

ეს უკვე არ არის პოზა, იერ-სახე — მოდასაყოლილთა მიერ „პიარად“ მონათლული.

მკრეხელობაა!

კიდევ:

ყოველ წუთს მზად ვარ ოცდაოთხი საათი სადავოდ და საკამათოდ სიტყვით, ნაწერით, კონკრეტული საქმით, თუმცა არა მგონია ვინმე იოლად წამომეტოტოს არც ისე სანდო ორგანიზაციისთვის ისეთი სახელის დანათვლის მართებულობის დასამტკიცებლად, როგორიცაა საუკუნეების წინ არა მხოლოდ მტრის მოძლიერებით საქართველოსთვის სამუდამოდ მოჭრილი მკერდის — ტაოს თავზე წამოფოფრილი „ოშკი“...

შავშეთში, ფიჭვის ულელტეხილად წოდებული გადასასვლელის დასაწყისთან მხარში გამშალა წყაროს პირზე წამოსკუპებული ერთსართულიანი შენობის თავზე ლათინურ შრიფტით წამომართულმა რესტორნის სახელმა „ლაზეთი“.

გამშალა და მაშინვე წარსულში რაღაც ძალიან მშობლიურს, აწ უკვე გაუცხოებულს მიმაკრა.

სულით.

სხეულით.

იგივე სიტყვა ჭინჭარზე მწარედ დამსუსხავდა სადღაც ოჩხამურის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს გზების პირზე დანახული...

... და კიდევ:

„ოშკი“.

სოიოსგან რძის ფხვნილის დამამზადებელი სააქციო თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბედია“.

რა არის ეს?

აღარ არის ღმერთი?

ცოტა განზეც გავდგეთ, გინდა უკან გადავდგათ ერთი-ორი ნაბიჯი.

ერთიანი საქართველოსთვის საკუთარი სისხლ-ხორცის გამწირველი გაერთიანებული ქვეყნის პირველი მეფე ბაგრატ მესამე ტაოში მიიცვალა, ფანასკერტის ციხეში.

დიდი მეფის ფასდაუდებელი ღვაწლის კარგად მცნობმა თანამედროვეებმა იმ დროისთვის საკვირველი რამ შესძლეს — კურთხეული მეფის ცხედარს ერთიანი საქართველო შემოალოცვინეს, რათა მაინცდამაინც მისივე ნებით აგებულ ბედიის ტაძარში დაეკრძალათ.

ერთი დიდი მიზნით:

ყველა ავისმოსურნისთვის უნდა ეჩვენებინათ ახლადშედუღაბებული ქვეყნის სიმაღლე, განი და სიგრძე.

რაღაც მარტივი სიმბოლიკა არ იყო ეს.

სახელმწიფო სიმბოლიკას არ ვგულისხმობ, რადგან ამ საქმის მოამაგე ბრძენთა გმირობის ტოლფასი ქმედება ნებისმიერ სახელმწიფო სიმბოლიკაზე აღმატი იყო.

იმ დროისთვის მაინც.

ფორმით.

შინაარსით...

...და ახლა გადამთიელის ხელით მიტაცებულ მიწაზე ობლად მიტოვებული ბედია — სოიოსგან რძის ფხვნილის დამამზადებელი საწარმოს სახელად დამცრობილი.

მაინც ვფიქრობ: კიდევ კარგად ვართ გადარჩენილები.

ჯერჯერობით არსად მომიკრავს თვალი:

„ლუდის ბარი „შოთა რუსთაველი“;

„სახაჭაპურე „თამარ დედოფალი“;

„სახაშე „დავით აღმაშენებელი“.

მართლაც ბედი ყოფილა ამ ქვეყნად ყველაფერი.

არა მხოლოდ უფლის ნება!

ისე, სხვათა შორის ხორცის ზეობისას უპირველესად სული კნინდება.

მერე ყველაფერი ძალიან იოლია.

ვინ რას მეკითხება ან ამაზე მეტის რისი გამკეთებელი ვარ, მაგრამ მაინც...

უფალო!

„შეუნდე ბნელცოდვილთ!“

ამინ!

**რობერტ ძერია**

# მომავალი ეროვნულ ტრადიციებზე შექმნილ ლიტერატურას ექნება

## ესაუბრება აზა აკობია

*პროფესიით მუსიკოსია. დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება.*

*მისი საბავშვო ლექსები ქვეყნდებოდა ჟურნალ „დილაში“, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“*

1. რას ფიქრობთ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას ფიქრობთ ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?



●მრავალფეროვანია ლიტერატურული სპექტრი, რაც საქართველოში მწერლობის ახალ იერ-სახეზე და ეპოქის მაღალმხატვრული ასახვის ახალ პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

●არავითარ შემთხვევაში. გამართლებული არ არის... მომავალში მკითხველი ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე შექმნილ ნაწარმოებებს ეყოლება.

●ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე განხორციელებული გლობალური შეტევა, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო წლებში.

●ქართული კლასიკური მწერლობის ბრწყინვალების ხაზგასასმელად ვაჟას, გალაკტიონის და გამსახურდიას სახელებიც საკმარისია.

ტრადიციულმა კლასიკურმა მწერლობამ სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსადმი ერთგულება მასწავლა.

სამაგიდო წიგნია გალაკტიონის პოეზია.

●მწერალს არ უნდა ესწავლებოდეს ენის სიწმინდე.

●ვმუშაობ საბავშვო პოეზიაზე. მალე გამოვა ლექსების ახალი კრებული.

ჩაიწერა
**თამარ შაიშმელაშვილმა**

---

**აზა აკობია**

# ლექსთა კონა

### ზაფხული

რა ნათელი დღეა,
რა შრიალა ტყეა.
მორბის წყარო ანკარა,
ზაფხულია თაკარა.

წყალში ათასფერებად
ცხრათვალა მზე იცინის,
ღრუბლებს ვხედავ,
მზესთან ერთად ბანაობენ ისინიც.

### მკერავი ზღარბი

ზღარბუნიას ვთხოვე,
შემიკეროს კაბა,
ეს ამდენი ნემსები
ტყვილადა აქვს აბა?

### რვაფეხა

რატომ ტირის რვაფეხა? —
ფაჩუჩები დაეხა!

უი, უი საცოდავს
საქმე ცუდად ჰქონია,
რვა ფაჩუჩის შეძენა
თქვენ იოლი გგონიათ?

### წვიმა მოდის

ცელქი წვიმა მღერის ასე:
ღრუბლებია წვიმით სავსე!
წვიმით მოვრწყავ მინდვრებს, ბაღებს,
წვიმით ვრეცხავ ქუჩებს, სახლებს.

იცით, როცა მოვრწყავ ბაღებს,
ბაღი ბევრ ხილს მისცემს ბაღებს!

და ჯეჯილის ლორთქო ყანას
წვიმა უვლის განდაგანას!

რომ დაპურდეს ეს ჯეჯილი,
ხორბალს ფქვავდეს ეს წისქვილი,
ბევრი, ბევრი იყოს ფქვილი
და ნამცხვრები ტკბილზე ტკბილი!

ჩამოირბენს ცელქი წვიმა,
დააპურებს მარგალიტებს,
იებსა და ვარდის ბუჩქებს,
რომ ამშვენებს ლამაზ ქუჩებს.

იქით სახლზე,
აქეთ სახლზე,
გეგონება დოლის ხმაზე
სიცოცხლით და ლხენით სავსე
ცეკვავს წვიმა სახურავზე!

### მეოცნებე ლეკვი

წამოგორდა მწვანე მოლზე
ჩვენი ლეკვი დიდყურა,
თავქვეშ თათი ამოიდო,
ღრუბლებს დიდხანს უყურა.

ღრუბლები კი ნება-ნება
სიოს ფოთლებს ატანენ
და სურათებს ზღაპრულ ფუნჯით
ნაირ-ნაირს ხატავენ.

ეს ლამაზი სურათები
მალზე ართობს პატარას,
აგერ, მწყემსი ერეკება
უზარმაზარ ცხვრის ფარას.

ლეკვმა თვალი მილულა და
როცა კვლავ გაახილა,
უწინდელზე საოცარი,
სხვა სურათი იხილა!

მიბაჯბაჯებს თეთრი დათვი,
ზურგზე ფუთა ჰკიდია,
და პატარა დათუნები
მის კვალდაკვალ მიდიან.

სად მიდიან დათუნები,
ნეტავ საით მიდიან?
ეს კი ლეკვმა აღარ იცის,
ცა ხომ მალზე დიდია.

ბელები კი ზევით, ზევით,
ზევით მზისკენ მიდიან,
დღე კი ისე ნათელია,
დღე კი ისე მშვიდია...

თქვენთან მინდა მეც თამაში!
ღრუბლებს უყეფს პაწია,
მაგრამ ბელებს ცაში მავალთ
მან ხმა ვერ მიაწია.

ისინი ხომ შორს არიან,
ცა ხომ მალზე დიდია,
ბელები კი უკვე სულ შორს,
ჰოი, რა შორს მიდიან!

### ჩიტუნები

უფროსი და ეუბნება
პაწაწინა ნანას:
— ალბათ, დღესაც იზარმაცე,
თქმა არ უნდა ამას!

ხვალინდელი გაკვეთილი
ისწავლე თუ არა?
ორჯერ ორი რამდენია,
აბა, მითხარ ჩქარა!

ხის ტოტებზე ჩიტუნები
ჩურჩულებენ წყნარად:
— ნანა მუდამ საკენკს გვიყრის,
მივეშველოთ ჩქარა!

თქვენ თუ გინდათ დაიჯერეთ,
თუ არ გინდათ — არა,
ფანჯარაზე ზუსტად ოთხი
ჩიტი ჩამომჯდარა...

### გაზაფხულდა

გაზაფხულზე როცა დათბა,
გაიღვიძა მურა დათვმა...
გაახილა ფართოდ თვალი,
— არსადაა ზამთრის კვალი!

### ძილის დროა

დაიძინეს ჩიტუნებმა,
დაიძინეს ბარტყებმა,
უკვე დროა, დაიძინონ
პაწაწინა ბავშვებმა.

მოკაშკაშე ცხრათვალა მზე
ზღვაში ჩუმად ჩავიდა,
იქ თევზებთან დაიძინა, —
ტკბილ სიზმრებში წავიდა...

რახანია ფუღუროში
დაიძინეს ციყვებმა,
მხოლოდ წყარო არ ისვენებს,
გზას კისკისით მიჰყვება.

ცაზე ცურავს ბადრი მთვარე,
მოუხურავს ღრუბელი,
ქარი რტოზე ქანაობს და
მთვარეს ნანას უმღერის.

დაიძინეს ჩიტუნებმა,
დაიძინეს ბარტყებმა,
მშვიდად, მშვიდად დაიძინონ
პაწაწინა ბავშვებმა...

### ვის რა უყვარს

დათუნია ღრუნჩას
უყვარს ტკბილი თაფლი.
ციყვუნიას გირჩი,
კაკალი და წაბლი.

ფისოს უყვარს მილი,
წრუწუნას კი თხილი,
მურას უყვარს მკალი,
ჩიტუნას კი ბალი.

ხმაწკრიალა წვიმა
მტვრიან ქუჩებს რეცხავს,
ყვავს ჩხავილი უყვარს,
ჭიკჭიკი კი მერცხალს.

პაწაწინა მწყემსი
სალამურზე უკრავს,
ფუტკარს ყვავილები,
გოჭს კი ლაფი უყვარს.

### ნაკადული

მოლიკლიკე ნაკადულო,
ხმაწკრიალა ნაკადულო,
მეგობრობას ჩემთან ერთად
ნეტავ რატომ არ კადრულობ?

რა ხანია გეხვეწები,
ცოტა ხანი დამიცადო,
რა იქნება, გაჩერება
თუნდაც ერთი წუთით სცადო?

— ზღვას ხომ უნდა შევუსრულო
დიდი ხნის დანაპირები,
რა ხანია მელოდება
შორეული ნაპირები...

---

**ახალი ფოლკლორი**

## ეჰ, რა თაობა დაბერდა...

ვახუშტი კოტეტიშვილის
*„ჩემი წუთისოფელი“*
*რომ წავიკითხე*

ეჰ, რა თაობა დაბერდა,
რა გულის ცეცხლი დანელდა,
დრო იყო ცაში დაფრენდა,
გზებზე სუფრებსაც აფენდა,
ბევრი, ბევრი რამ გაბედა,
იკაჟა და იაბედა.
მუდამ სიკეთეს აზნევდა,
აფთარი იყო აფთრებთან,
ქარს აუღლებდა აფრებთან,
არცროდის ვისმე დანებდა,
ზილს მღერდა, ბანს აბანებდა,
დამწყვეტი იყო საბლებთა,
დაუნდობელი მდაბლებთან,
მერე კი სუნთქვა გაძნელდა,
თვით სიყვარულიც დაძველდა,
დღის ხარჯზე ღამე გაგრძელდა,
გულში ტკივილი გაძგერდა,
მერე მერანი დაფეთდა,
მერე ცხოვრებაც აფეთქდა,
მზე ნელინელა დაბნელდა,
ირგვლივ სიკვდილი გაბევრდა,
ეჰ, რა თაობა დაბერდა,
რა გულის ცეცხლი დანელდა...

**მგელიკა წიკლაური,**
გარდაბანი

---

**ინფორმაცია**

## ქართველები კინოს იღებენ... უქართველებოდ

ქართველი კინემატოგრაფისტები კიევში ახალ ფილმს – „რუსული ენის მასწავლებელს“ იღებენ.

მთავარი გმირის, ჯარისკაცის როლს, რომელმაც ჩეჩნეთის ომის დროს ტყვეობას გაუძლო და შურისმაძიებლად გადაიქცა, გახმაურებული რუსული ფილმების - „დღის“ და „ღამის გუშაგის“ ვარსკვლავი, კონსტანტინე ხაბენსკი შეასრულებს.

რუსული კინოს ვარსკვლავის ფილმში მოხვედრა სცენარის ავტორთან და რეჟისორთან ალეკო ცაბაძესთან მეგობრობამ განაპირობა.

როგორც ფილმის პროდიუსერი, ლევან კორინთელი აცხადებს, „მეგობრობის ხათრით“ ხაბენსკის ჰონორარი ქართულ ფილმში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე „დღისა“ და „ღამის გუშაგში“. თუმცა რასაკვირველია, მას როლიც ძალიან მოეწონა, – აღნიშნა კორინთელმა.

ფილმში ქართველი მსახიობები არ თამაშობენ. ხაბენსკის პარტნიორობას სამი უკრაინელი მსახიობი მამაკაცი უწევს.

მოქმედება მოსკოვში ვითარდება. მეგაპოლისში ერთმანეთს ხვდება ყოფილი ჯარისკაცი და რუსული ენის ყოფილი მასწავლებელი, რომელსაც ომმა ოჯახი წაართვა. მათი ტრაგედია არავის აინტერესებს, ერთი პრაქტიკანტი იურისტის გარდა, რომელსაც სერიოზულად თითქმის არავინ აღიქვამს. როგორც ავტორები აცხადებენ, ეს გარემოება ფილმს დეტექტივიდან სოციალურ დრამის ჟანრში გადაჰყავს.

კითხვას, რაში დასჭირდათ ქართველებს ასეთი სახელწოდების ფილმის გადაღება უკრაინაში ზაზა კორინთელი შემდეგნაირად ხსნის – „ნარინჯისფერი რევოლუცია არაფერ შუაშია, უბრალოდ, კიევში გადაღება უფრო იაფია, ვიდრე მოსკოვში“

პრემიერა სექტემბერში თბილისში, ბათუმში, კიევსა და მოსკოვში გაიმართება. კორინთელი დარწმუნებულია, რომ „რუსული ენის მასწავლებელი“ რუსეთშიც პოპულარული გახდება, საერთაშორისო ფესტივალებზეც და ევროპულ კინოგაქირავებაშიც.

ΧΙ-ეიβ-ენი

## მილორად პავიჩი



## წითელი წიგნი

### ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ

**ხაზარული პოლემიკა** – მოვლენა, რომელსაც ქრისტიანული წყაროები მიაკუთვნებენ 861 წელს, კონსტანტინე სოლუნელის, ანუ წმინდა კირილეს✝ ცხოვრების შესაბამისად, რომელი ცხოვრებაც დაწერილია IX საუკუნეში და შემონახულია ეგრეთ წოდებული მოსკოვის სასულიერო აკადემიის ხელნაწერთა შემადგენლობაში და ვლადისლავ გრამატიკოსის 1469 წლის ვერსიაში. ამრიგად, სწორედ იმ 861 წელს ბიზანტიის იმპერატორს ხაზართაგან▽ ელჩები ეწვივნენ და მოახსენეს: „ჩვენ მუდამჟამს ოდენ ერთი ღმერთი ვიცოდით, რომელიც ყველას თავს დასცქერის და იმას ვეთაყვანებით, ამასთანავე, აღმოსავლეთისკენ პირმიქცეულნი, სხვა ჩვენს წარმართულ ადათ-წესებსაც ვიცავთ. ებრაელნი კი ჩაგვციებიან, ჩვენი სარწმუნოება და ჩვენი წეს-ჩვეულებანი მიიღეთო, ხოლო სარკინოზნი მშვიდობასა და მრავალ ნაირ-ნაირ საბოძვარს გვთავაზობენ და გვეუბნებიან: „ჩვენი სარწმუნოება ბევრად უკეთესია, ვიდრე სხვა ხალხებისაო“. ამიტომაც, გვახსოვს რა ჩვენი ძველი მეგობრობა და სიყვარული, მოგმართავთ, რამეთუ თქვენ (ბერძნები) დიდი ხალხი ხართ და თქვენი იმპერატორული ძალაუფლება უფლისმიერია, და ვითხოვთ თქვენს რჩევა-დათათბირებას. გამოგვიგზავნეთ თქვენი კითხულნი კაცნი და უკეთუ დავა-პაექრობაში ისინი ებრაელთ და სარკინოზთ დაჯაბნიან, თქვენს სარწმუნოებაზედ მოვიქცევით“.

როს ბერძენი იმპერატორი დაეკითხა კირილეს, ხაზარებთან წახვალ თუ არაო, მან მიუგო, მზად ვარ, რომ იქით მიმავალ გზას ტანშიშველი და ფეხშიშველი დავემწყემსოო. დაუბმანუსის✡ აზრით, კირილეს ამით იმის თქმა სურდა, რომ სამგზავროდ გასამზადებლად იმდენივე დრო სჭირდებოდა, რამდენიც საჭიროა ცარგრადიდან ყირიმამდე ფეხით გასავლელად, რადგანაც კირილე სიზმრის ამბავში მაშინ ჯერ კიდევ უწიგნური იყო და არ იცოდა, როგორ უნდა გაეხსნა სიზმარი შიგნიდან, ანუ არ შეეძლო იმ დროს გაღვიძება, როცა თავად ეწადა. მაგრამ მაინც უკან არ დაუხევია, გზად, ხერსონესში, ებრაული ისწავლა და ებრაული გრამატიკა ბერძნულად თარგმნა, მომავალი პოლემიკისთვის შეიმზადა თავი. თავის ძმასთან მეთოდესთან✝ ერთად კონსტანტინემ განვლო მეოტისის ტბა და კავკასიის მთების კასპიის ჭიშკარი, აქ კი ხაკანის მაცნე შეხვდათ, რომელიც იმათ შესაგებებლად გამოეგზავნათ. მან კონსტანტინე ფილოსოფოსს ჰკითხა, ლაპარაკის დროს წინ წიგნი რატომ გიჭირავსო, ხაზართ. პირიქით, მთელი თავიანთი სიბრძნე გულმკერდიდან ამოაქვთ, თითქოს წინწინ გადაეყლაპოთო. კონსტანტინემ მიუგო, უწიგნოდ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შიშველიო, შიშველ კაცს კი, აბა, ვინ დაუჯერებს, რომ ბევრი ტანსაცმელი აქვსო? ხაზარი მაცნე კირილესა და მეთოდეს შესაგებებლად ხაზართა თავქალაქ ითილიდან იყო დუნაის სარკელში გამოგზავნილი, საიდანაც ჩამოვიდა ხერსონესში. ბიზანტიელ მოციქულთ იგი კასპიის ზღვაზედ მდებარე სემენდერში გაუძღვა, სადაც ხაკანის საზაფხულო სატახტო იყო. სწორედ აქ გაიმართა პოლემიკა. ებრაელნი და სარკინოზნი რწმუნებულნი უკვე ადგილზედ იყვნენ და, კითხვა რომ გაისმა, ვახშამს რა წოდებულებით დაესწრებითო, კონსტანტინემ მიუგო: „პაპაჩემი დიდი და სახელგანთქმული კაცი იყო, მეფეს გვერდით ედგა, მაგრამ იმის მერე, რაც დიდებაზედ უარი თქვა, გააძევეს, და უცხო მხარეში გადახვეწილი გალატაკდა. მე სწორედ იქა ვარ დაბადებული, და ძველი მამა-პაპური ღირსების ძებნაში ვერ წარვემატე: მე ხომ ადამის ძე ვარ, უფრო ზუსტად კი, შვილიშვილი“.

– თქვენ *სამებას* განადიდებთ, – უთხრა ხაკანმა ვახშმობისას, როცა ერთ-ერთი სმური წარმოთქვა, – ჩვენ კი ერთიან ღმერთს, როგორაც წიგნებში წერენ. რატომ არის აგრე?

ფილოსოფოსმა ამაზედ მიუგო:

– წიგნები *სიტყვასა* და *სულს* ქადაგებენ. უკეთუ ერთი ვინმე პატივს მოგაგებს შენ, ხოლო შენს სიტყვასა და შენს სულს არცრად მიიჩნევს, ხოლო მეორე სრულად *სამებას* მიაგებს პატივს, ამ ორიდან რომელი უფრო გაფასებს, რას იტყვი?

ამის პასუხად პოლემიკის ებრაელმა მონაწილემ ჰკითხა:

– მაშ, მითხარი, ვითარ ძალუძს დედაკაცს გვამსა შიგან დატევა, მით უმეტეს, შობა ღვთისა, რომლის ცქერაც კი არ შეგიძლიათ თქვენ?

ხოლო ფილოსოფოსმა ხაკანსა და იმის პირველ მრჩეველზედ მიუთითა და უთხრა:

– უკეთუ ვინმე იტყვის, პირველ მრჩეველს არ ძალუძს ხაკანის ნდობის მოპოვებაო, და იგივე იტყვის, ამის უკანასკნელ მსახურს არა მარტო ეს შეუძლია, არამედ თავის ბატონს პატივსაც დასდებსო, მაშინ მითხარით, რა უნდა დავარქვათ ესეგვარ კაცს: გიჟი თუ ჭკუათმყოფელი?

აქ პოლემიკაში სარკინოზნი ჩაერთვნენ და კონსტანტინე ფილოსოფოსს იმ ერთი წეს-ჩვეულების თაობაზედ დაეკითხნენ, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სამარაში გასცნობოდა სარკინოზთა ხალიფის კარზედ. ლაპარაკი იყო იმაზედ, რომ სარკინოზთ ჩვეულებად ჰქონდათ უწმინდურის გამოსახვა იმ სახლების გარეთა კედლებზედ, სადაც ქრისტიანები ცხოვრობდნენ. სუყოველ ქრისტიანულ კარზედ შეიძლებოდა ეშმაკის სახის ხილვა. და სარკინოზთ, რომელნიც უკვე კარგა ხანი იყო, რაც კონსტანტინეს მოწამვლას ცდილობდნენ, ჰკითხეს:

– შეგიძლია, ფილოსოფოსო, მიხვედრა, ეს რას ნიშნავს?

და მან თქვა:

– მე დემონის სახესა ვჭვრეტ და, ვგონებ, აქ, ამ სახლში, ქრისტიანები ცხოვრობენ, ხოლო რადგანაც დემონებს ქრისტიანებთან ერთად ცხოვრების ძალა არ შესწევთ, გარეთ გარბიან. იქ კი, სადაც ეგევითარი გამოსახულებანი არც კარებზეა და არც კედლებზედ, ისინი შიგნით არიან, ადამიანებთან ერთად...

მეორე ქრისტიანულმა წყარომ ხაზარული პოლემიკის შესახებ ჩვენამდე ძალზედ შერყვნილი სახით მოაღწია – როგორც X საუკუნეში კიეველთა ნათლისღების ანდრეზმა. ამ ანდრეზის მიღმა, რომელშიც სამი რელიგიის ირგვლივ გამართული დავის სამი მონაწილიდან წარმოდგენილია ერთ-ერთი, სახელდობრ კონსტანტინე ფილოსოფოსი – კირილე (თუმცა ის მთელი ასი წლით ადრე ცხოვრობდა), შესაძლებელია რამე საბუთის დანახვა, რომელიც თავდაპირველად ხაზარულ პოლემიკაზედ მეტყველებდა. უკეთუ ჩამოვაშორებდით გვიანდელ დანაშრევებსა და როგორც X, ისე შემდგომ საუკუნეთა ჩანართ-ჩანამატებს, მაშინ ცნობა ხაზარული პოლემიკის შესახებ დაახლოებით ასეთი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო:

ერთი ხაზარი ხაკანი, ფრიად ილბლიანი მებრძოლი პაჭანიგთა და ბერძენთა წინააღმდეგ, რომელთაც ხერსონესი წაართვა (ქერჩი, ყირიმში რომ არის), აბჯარ-აბგარს შეელია და საგრობა-ომიანობით დაღლილი განაპირდა, მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. და იმედნი ცოლის ყოლა მოინდომა, რამდენი მებრძოლიც ბრძოლის ველზედ ჰყავდა დაკარგული. „ცოლმრავალი კაცი იყო იგი, – ამბობს ამ ანდრეზის ერთ-ერთი ვერსია, 1772 წელს ვენეციაში სერბულ ენაზედ გამოქვეყნებული, – და, რადგან ყველა სარწმუნოების ცოლის ყოლა ეწადა, ის არა მარტო თაყვანსა სცემდა სულ სხვადასხვა კერპთ, არამედ სურდა, რომ ცოლთა და ხარჭა-თანამწოლთა ტრფიალებისა გამო თავადაც სხვადასხვა რჯულის აღმსარებელი ყოფილიყო“. ამ ამბავმა იმის საბაბი მისცა სულ სხვადასხვა უცხოქვეყნელთ (ბერძენთ, არაბთ, ებრაელთ), რომ ყველას თავისი მოციქული გაეგზავნა ხაკანთან, რა არი რაც შეიძლება მალე მოექციათ იგი თავიანთ სარწმუნოებაზედ. ხაკანის კარზედ მიმდინარე პოლეკმიკაში, ებრაელებთან და სარკინოზებთან შედარებით, – გვიამბობს ეს წყარო, – რამდენადმე მეტად წარემატა კონსტანტინე ფილოსოფოსი, რომელიც ბერძენ იმპერატორთ გამოგზავნეს. თუმცა, ხაკანმა ვერა და ვერ გადაწყვიტა საბოლოოდ გადასაწყვეტი, და მანამ ყოყმანობდა, სანამ საქმეში ერთი იმისი ნათესავი ქალი არ ჩაერია, რომელშიც ჩვენთვის მესამე წყაროდან ცნობილი ხაზარი სეფექელის ატეჰის▽ ამოცნობა შეიძლება. ამ ნათესავის კაცთ ხაკანი დაიყოლიეს და ზოგმა ებრაელებთან გააგზავნინა თავი, ზოგმაც ბერძნებთან და სარკინოზეებთან, რათა ადგილობრივ ენახათ, ვისი მოძღვრება რას წარმოადგენდა. და როს ეს „ქალისეული“ ელჩობა უკან დაბრუნდა, ქრისტიანობა ყოვლის უფრო სამჯობინარ სარწმუნოებად წარმოჩნდა, ელჩნი კი ხაკანს გამოუტყდნენ, ის შენი ნათესავი ქალი, ვისაც ჩვენ ვემსახურებით, უკვე კარგა ხანია, რაც გაქრისტიანდაო.

მესამე წყარო, რომელიც ხაზერული პოლემიკის ქრისტიანულ გააზრებას მოწმობს – დაუბმანუსი, – თვლის, რომ ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ხაკანი. ამრიგად, ბედნიერება ებრაელთა მოციქულისკენ შებრუნდა, მეტადრე იმის მერე, რაც ხაკანმა შეიტყო, რომ ქრისტიანები ებრაელებივით ძველ აღთქმას სცემდნენ პატივს. როცა ეს კონსტანტინემაც დაადასტურა, ხაკანმა სრულად დაუჭირა მხარი პოლემიკაში მონაწილე რომანიოტს, რომელიც საბერძნეთიდან ხაზარებთან იყო გადმოსული და ახლა მგზნებარედ იცავდა იუდაიზმს.

– ჩვენ სამთაგან, სიზმართა წარმთქმელ-ამხსნელთაგან, – უთხრა ამ რომანიოტმა ხაკანს, – მხოლოდ მე, რაბინი, არ წარმოვადგენ ხაზართათვის საშიშროებას. იმიტომ რომ ებრაელთა უკან არც ხალიფი დგას თავისი მწვანეაფრებიანი ხომალდებით და არც ბერძენი ბასილევსი თავისი ჯვარაღმართული ჯარითურთ. კონსტანტინე სოლუნელი თან ხელშუბიან მხედართ მოიყოლებს, მე კი, ებრაელი რაბინი, ოდენ თალესს მოვიტან სალოცავად...

აგრე უგნობდა რაბინი, რომლის ნაუბარიც ჭკუაში დაუჯდა ხაკანს და ის იყო, ამას დავუჭერ მხარსაო, გაიფიქრა, რომ პაექრობაში სეფექალი ატეჰი▽ ჩაერთო და კიდევ ერთხელ შეუცვალა გეზი პოლემიკას. რაც სეფექალმა ატეჰმა ებრაელ მონაწილეს უთხრა და რასაც ხაზარულ პოლემიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრე ჟღერდა:

*– შენ უბნობ, ვისაც სიმდიდრე სწყურის, პირი ჩრდილოეთისკენ ქნასო, ხოლო ვისაც სიბრძნე სწყურის – სამხრეთისკენო! გარნა რად მეუბნები მაგ ტკბილსა და ბრძნულ სიტყვებს აქ, ჩრდილოეთში, იმის მაგივრად, რომ სამხრეთში, შენს მამა-პაპათა მიწა-წყალზედ დამტკბარიყავი ს ი ბ რ ძ ნ ი თ ? რად არ მიდიხარ იქ, სადაც ნათელი თავის კვერცხთ დებს, სადაც საუკუნენი საუკუნეთ ეხებიან, რად არა სვამ იქ მკვდარი ზღვის მჟავე წვიმას და რად არა კოცნი ქვიშას, იერუსალიმის წყაროთაგან წყლის მაგივრად რომ მოედინება მაგრად დაჭიმული ოქრომკედის მსგავს ალმაცერ ღვარად? ამის მაგივრად დამდგარხარ და მიყვები, რომ სიზმარში ბნელ ლამესა ვხედავ და ოდენ შენს ცხადში ძალმიძს მცირეოდენი მთვარის შუქის პოვნა. რად მეუბნები მაგას?*

*კიდევ ერთი კვირა დაილია და გავიდა ყუაზედ. ამ კვირას თავისი ყოვლის უფრო საზეიმო დღე შემოეხარჯა, რომელზედაც შენ იძახი, ეგ პალესტინაში იწყებაო, და რომელსაც ეს კვირა ბეჯითად უფრთხილდებოდა დღევანდლამდე. გარნა აწ ამ დღის ჯერიც დადგა. კვირას არა და არ ეთმობა ეს დღე, ნაწილ-ნაწილ იმეტებს. აიღე შენი თალესი, წარიტანე შენი შაბათი და წადი. მიადექ ს ი ბ რ ძ ნ ე ს და იმას უთხარი, რაც ჩემთვის უნდა გეთქვა. იქ უფრორე მეტად წარემატები. ოღონდ ერთი რამ არ დაგავიწყდეს: ვისაც ციხესიმაგრის დაპყრობა უნდა, ჯერ საკუთარი სული უნდა დაიპყროს...*

*გარნა სულ ტყუილად გელაპარაკები ყოველივე ამას, რამეთუ თვალნი პირსა შიგან გაქვს და რისამე ხილვა ოდენ იმის შემდეგ ძალგიძს, როს ამეტყველდები. მე კი აი რას ვგონებ: ან ანდაზა არ გივარგა, ვერ მოაწყე, ან არცვინ გელოდება სამხრეთში, რამეთუ იქ ვიღაც სხვას ელოდებიან. არადა სხვანაირად როგორ გავიგოთ, როს აქ აღმოჩნდი, ჩრდილოეთში, ჩემ გვერდით?*

სეფექალ ატეჰის ამ სიტყვების გაგონებამ ხაკანი გამოაფხიზლა, და მან რაბინს უთხრა, მსმენია, ებრაელნი თავადვე აღიარებენ, ღმერთმა უარგვყო და მთელ ქვეყნიერებაზედ დაგვქსაქსაო.

– თქვენ კი, თქვენს რჯულზედ გსურთ ჩვენი მოქცევა, რა არი უბედურებაში შეგვიამხანაგოთ, რათა, თქვენი არ იყოს. ჩვენც, ხაზარნიც, დაგვსაჯოს ღმერთმა, და მთელ ქვეყნიერებაზედ მიმოგვფანტოს?

აგრე განუდგა ხაკანი ებრაელთ და კვალად აღიარა კონსტანტინე ფილოსოფოსის საბუთიანობა ყოვლის უფრო სარწმუნოდ. თავის კარისკაცებთან ერთად მოიქცა იგი ქრისტიანობაზედ, ხოლო ბერძენ იმპერატორს უსტარი გაუგზავნა, რომლის ტექსტიც მოყვანილია კირილეს ცხოვრებაში და გვაუწყებს შემდეგს:

„შენ ისეთი კაცი გამოგვიგზავნე, დიდო ბატონო, რომელმან სიტყვებითაც და საქმეებითაც გვიჩვენა, რაშია ქრისტიანული სარწმუნოების ნათელი, და დავრწმუნდით, რომ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, და თავიანთი ნებით განათვლა ებრძანათ ყოველთა ჩვენთა კაცთ...“

სხვა წყარო გვეუბნება, რომ დათანხმებით კი დასთანხმებია ხაკანი კონსტანტინე ფილოსოფოსის საბუთიანობას, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გადაუწყვეტია ბერძენთა წინააღმდეგ გალაშქრება, იმის მაგივრად, რომ იმათი სარწმუნოების აღმსარებლობა ეღიარებინა. და უთქვამს: „სჯულს მოწყალებასავით კი არ ითხოვენ, მახვილით მოიპოვებენო“. იგი ხერსონესიდან დასხმია თავს ბერძენთ, და ლაშქრობის იღბლიანად გასრულების შემდგომ ბერძენი იმპერატორისგან მოუთხოვია, ცოლად ერთ-ერთი სეფექალი გამომაყოლეო. ბერძენ იმპერატორს ერთადერთი პირობა წამოუყენებია – ხაზართა ხაკანი ქრისტიანი უნდა გამხდარიყო. ცარგრადის ფრიად გასაკვირად ხაკანი ამაზედ ყაბულს გამხდარა. აგრე განათლულან ხაზარნი.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

**(გაგრძელება იქნება)**

---

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 51-68.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# თამაში „განუჭვრეტელ წარსულში“

## პასუხი ბატონ ჩოჩიევს ოკეანის გაღმიდან

**2006 წლის 27 მარტს სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ მეშვეობით გააკეთა ექსკურსი საქართველოს ისტორიაში, გამოთქვა მთელი რიგი თეზისები, რომლებმაც უაღრესად მძაფრი რეაქცია გამოიწვია იმ პირთა შორის, ამ საკითხით რომ არიან დაინტერესებულები. ჩოჩიევის ქართველი კოლეგები ცდილობენ თავი აარიდონ ისტორიულ თემებზე ლაპარაკს და აცხადებენ, რომ პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოხელეებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ბაზით და არა ამა თუ იმ ისტორიული ინტერპრეტაციებით. სამხრეთ ოსეთის პრემიერის მიერ წამოჭრილ საკითხებს „რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის თხოვნით, თავის სტატიაში გაუკეთა კომენტარი პოლიტოლოგიისა და ისტორიის პროფესორმა, კავკასიის საკითხთა სპეციალისტმა, კალგარის უნივერსიტეტთან არსებული სამხედრო-სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის წარმომადგენელმა ენდრიუ ანდერსენმა.**

* * *

*„მამა ყოველთვის მეუბნებოდა: „პირველ რიგში არქივები გაანადგურე!“*
*ა. შვარცი, „მოკვდეს დრაკონი“.*



ამ რამდენიმე ხნის წინათ, **ედუარდ კოკოითიმ,** საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე ერთი გოჯი მიწის — ამჟამად თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად“ წოდებული რეგიონის მეთაურმა ედუარდ კოკოითიმ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ცდილობს, ეს ტერიტორია შეიყვანოს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას სადღეისოდ აკონტროლებენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები „სამხრეთ ოსეთის არმიის“ სახით და მათ მხარს უჭერენ რუსი „მშვიდობისმყოფლები“. ასეთი ინიციატივის საფუძვლად კოკოითიმ მოიტანა რაღაც იდუმალებით მოცული „ისტორიული დოკუმენტი 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთის შესვლის შესახებ“.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის „ლიდერის“ ასეთი გამოსვლის შემდეგ, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ **გიორგი ვოლსკიმ ყველას** შეახსენა, თუ ვის შეიძლება ეხებოდეს კოკოითის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 1774 წელს არ არსებობდა არანაირი მითური „ერთიანი ოსეთი“, ან რომელიმე სხვა ოსეთი საქართველოს ტერიტორიაზე. ბატონ ვოლსკის ასეთმა განცხადებამ, როგორც ჩანს, კოკოითის მომხრეთა დიდი განრისხება გამოიწვია. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა **ბორის ჩოჩიევმა** ამას ძალზე საინტერესო პასუხი გასცა, რომელიც გაავრცელა „რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტომ შემდეგი სათაურით: „სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა განახორციელა „უწიგნურობის ლიკვიდაცია სამამულო ისტორიაში“.

უწიგნურობის ლიკვიდაცია (ეს ტერმინი დამკვიდრდა საბჭოეთში XX საუკუნის 20-იან წლებში), რა თქმა უნდა, ღირსეული და საჭირო საქმეა. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მომრავლდნენ ისტორიულად უწიგნური ადამიანები. ამის მიზეზია ტენდენცია, რომელიც დაისახა გასული საუკუნის შუა წლებში მთელ რიგ ქვეყნებში. ამ ტენდენციის თანახმად, ისტორიის სწავლება ყველა სასწავლებელში მნიშვნელოვნად შეიკვეცა, ზოგიერთი პროგრამებიდან კი საერთოდაც ამოიღეს. ვინც ამ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა, ეს იმით განმარტა, რომ ისტორია, თურმე, ძალზე მოწყვეტილი ყოფილა რეალური სინამდვილისგან, და ამიტომაც, მისი შესწავლისთვის არ ღირს დროის და სახსრების ხარჯვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით „გაუმართლათ“ საქართველოს და იმ სხვა ხალხების ისტორიებს, რომლებსაც წილად ხვდათ სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის „ბედნიერება“: დასავლეთში მათი ისტორია ამოიღეს ნებისმიერი პროგრამებიდან, რადგან, მიაჩნდათ, რომ ეს ქვეყნები ვერასდროს ვეღარ დააღწევდნენ თავს რუსეთს, ხოლო მათ თუ აღარ ექნებოდათ მომავალი როგორც ერებს, მაშინ, მათი წარსულის შესწავლა და გახსენებაც კი აღარ იქნებოდა საჭირო. სსრ კავშირში კი მიაჩნდათ, რომ ხალხების მიერ თავიანთი ისტორიების ცოდნა შეუქმნიდა საფრთხეს „ურღვევი კავშირის“ მონოლითურობას. ყოველივე ამის შედეგად, მივიღეთ ისტორიულად ნაკლებად განათლებული, ზოგჯერ კი, აბსოლუტურად უწიგნური პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების და საზოგადოების რიგითი წევრების რამდენიმე თაობა. ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი ძალზე მომრავლდნენ ისეთი ავტორები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ ვირტუალურ წარსულს, სარგებლობენ რა იმით, რომ რეალური წარსულის შესახებ პრაქტიკულად თითქმის არაფერი იციან არც საზოგადოებამ და არც მისმა ბელადებმა. ერთი სიტყვით, წარსული „განუჭვრეტელი“ გახდა.



ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონ ვოლსკის მიმართ გამოთქმული საყვედური, რომ იგი ისტორიულად უწიგნური ყოფილა, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან, მის მიერ ნათქვამი სიტყვები მთლიანად შეესაბამება ჭეშმარიტებას. 1774 წელს რუკაზე არ არსებობდა არა მარტო ბატონ კოკოითის და ექსპანსიონისტური პროპაგანდის სხვა რუპორების მიერ ასე ხშირად ნახსენები „ერთიანი ოსეთი“, არამედ საერთოდ, ოსეთი, როგორც ასეთი. ოსური ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ დიდი კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, მაგრამ ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოსების უმრავლესობა ემორჩილებოდა ყაბარდოელ ფეოდალებს, მათი მიწებიც, შესაბამისად, ყაბარდოს ნაწილს შეადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ფორმალურად ემორჩილებოდა ყირიმელ ხანებს — ოსმალეთის იმპერიის ვასალებს. ამჟამინდელი თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ტერიტორია კი შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში და არასდროს არ იყო გამოყოფილი შიდა ქართლის ოლქიდან. ერთი სიტყვით, მათ არასდროს არ უცხოვრიათ განცალკევებულად აღმოსავლეთ საქართველოსგან. ამას ამტკიცებენ წარსულის ყველა სერიოზული ისტორიკოსები და ეს არავისთვის არ არის სადავო, გარდა, ღმერთმა უწყის, საიდან გამოჩენილი ამ ბოლო წლების „ისტორიკოსებისგან“, თუმცა, მათაც ვერ დაუდასტურებიათ თავიანთი „რევოლუციური“ შეხედულებები ვერანაირი მტკიცებულებებით. მაგრამ, პოლიტიკურ ავანტიურისტებს განა რაიმე მტკიცებულებები სჭირდებათ?

მაინც, რა შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, და რა დოკუმენტების საფუძველზე მოხდა ეს? ამ კითხვაზე პასუხის პოვნა ადვილად შეიძლება 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის არქივებში, რომელიც დასრულდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავით. ამ ზავმა დაადგინა რუსეთის საზღვრები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანის გასწვრივ. იგი ითვალისწინებდა ოსმალეთის იმპერიისგან ყირიმის სახანოს ჩამოშორებას, რომელიც დამოუკიდებლად გამოცხადდა, და რუსეთისთვის საზღვაო სანაპიროს ნაწილის დათმობას ქერჩის, ენიკალეს, კინბურნის ციხე-სიმაგრეების ჩათვლით; რუსეთის შემადგენლობაში დიდი და მცირე ყაბარდოს შენარჩუნებას, რუსებს ექნებოდათ უფლება სავაჭრო ხომალდებით შეუფერხებლივ გასულიყვნენ შავ ზღვაში და შავი ზღვის სრუტეებში; ექნებოდა ავტონომია მოლდავეთს და ვალახეთს, და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ გადაეცემოდა.

ამრიგად, არანაირ ოსეთზე — არც ერთიანზე და არც ორად გაყოფილზე, ლაპარაკი არ არის. არის დიდი და მცირე ყაბარდო, რომელშიც, როგორც უკვე ითქვა, შედიოდა ოსებით დასახლებული მიწების ნაწილიც. ასე რომ, უწიგნურობის ლიკვიდაციის გაკვეთილების ჩატარება საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, მეტი რომ არ ვთქვათ, ზედმეტია. ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: რა გაკვეთილი მისცა ბატონმა ჩოჩიევმა ქართველ ოპონენტს? თუ გადავხედავთ ბორის ჩოჩიევის ბიოგრაფიას მის ოფიციალურ საიტზე, შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ სად და როდის გაეცნო იგი ასე დეტალურად საქართველოს და ოსი ხალხის ისტორიას. ამ ერთი გოჯი თვითაღიარებული ტერიტორიის „ვიცე-პრემიერმა“ თავისი კარიერა დაიწყო მუშად და საოლქო კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შემდეგ მუშაობდა ალკკ საოლქო კომიტეტში, პარალელურად ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ამის შემდეგ კი — სსრ კავშირის დაშლამდე — იგი პარტიულ მოღვაწეობას ეწეოდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის აპარატში. ამ საქმიანობის არც ერთი ზემოაღნიშნული სფერო არ ითვალისწინებდა და არც მოითხოვდა ისტორიის ღრმა ცოდნას — მით უმეტეს, საქართველოს ისტორიის. თანაც, ასეთი მუშაობისას, ადამიანს ძალზე მცირე დრო უნდა ჰქონოდა ისტორიის შესასწავლად. მაგრამ... ყველაფერი ხდება. მოდით, ვიფიქროთ, რომ ბატონი ჩოჩიევი პოულობდა დროს და ისტორიას თვითონ დაეწაფა. თანაც, იმდენად ღრმად და დეტალურად შეისწავლა, რომ ახლა სხვებსაც ასწავლის. მაინც, რაში შეიძლება გაგვანათლოს ჩოჩიევმა ჩვენ? ბატონი ჩოჩიევი ჩვენს დამოძღვრას იწყებს **ს. რობაქიძის** — 1917 წელს გამოცემული საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორის ციტატით, რომლის თანახმადაც, „ოსეთი არ არის საქართველოს ნამდვილი ნაწილი“. რთულია სათანადოდ შევაფასოთ საუკუნის წინათ დაწერილი პროვინციული სასკოლო სახელმძღვანელოდან მოყვანილი ეს ციტატა, რომელიც ამოგლეჯილია კონტექსტიდან. მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიის შესახებ ფუნდამენტურ ნაშრომებს, მაგალითად, **ვ. ალენის, დ. ლანგის,** ან თვით **პ. იოსელიანის,** ან თვალს მაინც გადავავლებთ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკებს 1801 წლამდე რუსეთთან ამ ქვეყნის შეერთებამდე და მისი შეერთების შემდეგ, მერწმუნეთ, ვერ ნახავთ ვერანაირ „სამხრეთ ოსეთს“ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. თანაც, 1801 წლისთვის საქართველოს სახელმწიფოს განლაგება და თბილისის გუბერნიის ადმინისტრაციული საზღვრები გადიოდა დაახლოებით იქვე, სადაც 1918 წლის შემდეგ გაიარა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვარმა, 1921 წლის შემდეგ კი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა. აქვე გადის თანამედროვე ოფიციალურად აღიარებული საქართველოს საზღვარიც. საზღვრის ოდნავი გადაადგილება შეინიშნებოდა მხოლოდ დვალეთ-თუალიაში, რომლის უმეტესი ნაწილიც, ბოლოს და ბოლოს, მოხვდა ჯერ თერგის ოლქის, მოგვიანებით კი გორსკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ ამ ტერიტორიებზე დღევანდელი საქართველო პრეტენზიას არ აცხადებს. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ წარსულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები და რუკები ძალზე უშლიან ხელს იმათ, ვისაც სურს შექმნას ახალი წარსული ისტორიის ხელახლა გადაწერის გზით, მაგრამ, მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს და რუკებს გაანადგურებენ მთელს რუსეთში, ისინი შენარჩუნებული იქნება მსოფლიოს სხვა კუთხეებში...

# „ღვინის ბლოკადა“ — ექსპერტთა პროგნოზი

**რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობამ 5 აპრილს გაამკაცრა სანქციები საქართველოში და მოლდავეთში ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელთა მიმართ. რუსეთის ფედერაციაში ღვინისა და ღვინომასალების შეტანაზე უკვე არსებულ აკრძალვას რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ დაუმატა მოლდავეთიდან და საქართველოდან კონიაკისა და შამპანური ღვინოების შეტანის აკრძალვაც.**

რუსეთში მათი მიწოდების მოცულობა წელიწადში 75 მილიონ დოლარს აღწევს. ქართველი და მოლდაველი მეღვინეები აპირებენ სასამართლოში გაასაჩივრონ რუსეთის ხელისუფლების მოქმედება.

„ალკოჰოლიანი პროდუქციის შეტანისა და რეალიზაციის შესახებ“ წერილში, რომელიც გაეგზავნა ფედერალურ საბაჟო სამსახურს, ონიშჩენკო კვლავ უსვამს ხაზს მოლდავეთიდან და საქართველოდან მოწოდებული პროდუქციის დაბალ ხარისხს.

სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს 126 ღვინის ქარხანა. ქართული ღვინოების ექსპორტს რუსეთში ახორციელებს 80 მეღვინეობის კომპანია. ქართული ღვინოები საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 33 ქვეყანაში, მაგრამ ექსპორტის 80 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორების მიზნით, ქართველმა მწარმოებლებმა დაიწყეს გასაღების ახალი ბაზრების ძებნა — ამისთვის საქართველო ეცდება მუშაობას ბალტიისპირეთის და შუა აზიის მიმართულებებით. მაგრამ, ექსპერტთა მტკიცებით, იქ შეუძლებელი იქნება უახლოეს წლებში ისეთი მოცულობის მიღწევა, როგორსაც რუსეთის ფედერაციაში გზავნიდნენ.

პოლიტიკურ ტექნოლოგიათა ცენტრის გენერალური დირექტორის ალექსეი მაკარკინის აზრით, საქართველოს მიერ სარჩელის აღძვრა რუსეთის მხარისთვის მოულოდნელი იყო, რადგან, ამით საფრთხე შეექმნება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს. „თუ სასამართლო შედგება და იგი მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ, დიდი ეჭვის ქვეშ დადგება საქართველოს და მოლდავეთის, როგორც იმპორტიორი ქვეყნების რეპუტაცია“, — განაცხადა მაკარკინმა. მისივე თქმით, თუ დამარცხდება რუსეთი, მაშინ, „ამით ზიანი მიადგება რუსეთის რეპუტაციას“.

REGNUM

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საეჭვო მომავლის გამო

**(მეათე გვერდიდან)**

შემდეგ ბატონი ჩოჩიევი გვთავაზობს ერთ ძველ ჰიპოთეზას ქართველების წარმოშობის შესახებ, რომლის თანახმადაც, მათი წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიიდან მოსულან. რა თქმა უნდა, ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება – ისევე, როგორც ბალტების, გერმანელებისა და სლავების ინდოეთიდან მოსვლის შესახებ ვარაუდს. მაგრამ ეს მართლაც ასეც თუ იყო, უკვე ძალზე დიდი დროა გასული და ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. საინტერესოდ მიგვაჩნია ფრაზაც, რომელიც ბატონმა ჩოჩიევმა მოიტანა 1917 წელს დაბეჭდილი რომელიღაც გაზეთიდან: ახლო აღმოსავლეთიდან მოსულ ქართველებს ალანებმა გაუზიარეს კულტურა და შეასწავლეს სამხედრო საქმე. საინტერესოა სწორედ იმიტომ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველთა წინაპრები ისტორიამდელი მიგრანტები იყვნენ, იმ პერიოდში „ალანებზე" ლაპარაკი, მეტი რომ არ ვთქვათ, არაპროფესიულად მიგვაჩნია ისტორიის თვალსაზრისით. ყველასათვის ცნობილია, რომ ოსების ჰიპოთეზური წინაპრებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში იმ დროს სახლობდნენ არა ალანები, არამედ სკვითები და სარმატები. ეს ტომები მაშინ, ჩრდილოეთი კავკასიის გარდა, აკონტროლებდნენ ასევე თანამედროვე სამხრეთ რუსეთის მნიშვნელოვან ნაწილს და მთელ უკრაინას (იქნებ, ოსეთისთვის უკრაინის თუნდაც ის ოლქებიც შეეერთებინათ, რომელთა მოსახლეობაც ახლა იანუკოვიჩს უჭერს მხარს?ძ. და სკვითებიც, მართალია, ჩასახლდნენ სამხრეთ კავკასიაში სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, მაგრამ მათ არასდროს არ გაუკონტროლებიათ რაიმე ტერიტორიები კავკასიის დიდი ქედის სამხრეთ ნაწილში. და საერთოდ, ხალხების გადასახლება მსოფლიოში გამუდმებით ხდებოდა, მაგრამ ტერიტორიაზე ამა თუ იმ ტომის წარმომადგენელთა ყოფნა როდი ნიშნავდა იმას, რომ ეს ტომები გაბატონებულიყვნენ აღნიშნულ მიწებზე. ასეა თუ ისე, ძველი ქართული სახელმწიფოები კოლხეთი და ივერია სამხრეთ კავკასიაში არსებობდნენ, რასაც ჯერ კიდევ რომაელი ისტორიკოსები ადასტურებდნენ, რომლებმაც საკმაოდ დაწვრილებით აღწერეს მათი საზღვრები და ისიც აღნიშნეს, რომ მეზობლად ბინადრობდნენ სხვა ქართველი ტომები, რომლებიც, არ შედიოდნენ ქართულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში. ძველ მემატიანეთაგან არავინ არ წერს, რომ არსებობდა რაიმე სკვითური სახელმწიფო წარმონაქმნი ამჟამინდელი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროისთვის იყო ივერიის ნაწილი. შემდეგ ჩოჩიევი კვლავ მოძღვრავს მკითხველს, შეახსენებს რა ოსების როლს საქართველოს ისტორიაში – ადრეული შუასაუკუნეებიდან XVIII საუკუნის დამლევამდე. მოდით, ნუ ჩავუღრმავდებით ჩოჩიევის მიერ მოყვანილი იმ ქართველი მხედართმთავრებისა და რიგითი მეომრების ბიოგრაფიებს, რომელთა გმიროების წყალობითაც საქართველო გახდა ზესახელმწიფო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, აგრეთვე, რომელთა თავდადებამაც გადაარჩინა საქართველო უფრო მოგვიანებით, ამ ქვეყნის ისტორიის ტრაგიკულ მომენტებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და თვით ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, როგორც იტყვიან, ბეწვზე ეკიდა. საქართველოს ამა თუ იმ ეროვნული გმირის ეთნიკური წარმომავლობით სპეკულირება სიმდაბლეა, ხოლო ის, რომ სამასივე არაგველი ერთი ხელის დაკვრით ოსებად შერაცხეს, – კიდევ უფრო მეტი, სისულელეა. ალბათ, ქართველ გმირთა შორის მრავლად იყვნენ ოსური წარმომავლობის ადამიანები და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან, კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე ჩამოსახლებული ოსები დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოებრიობის ორგანული ნაწილი ხდებოდნენ. საქართველოს გმირთა შორის სხვა წარმოშობის ადამიანებიც იყვნენ: ქურთები, არაბები, ყივჩაღები, თათრები, იტალიელები და თვით სკანდინაველებიც კი. მაგრამ განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ თამარ მეფის ჯარებში მეომარი ვიკინგების რაზმების ყოფნის გამო, შვედეთს დღეს ეკუთვნის საქართველოს ტერიტორიის რაღაც ნაწილი? დამეთანხმეთ, რომ არა.



მახსენდება პოლონეთის ამღორძინებლის, მარშალ **პილსუდსკის** ერთ-ერთი სიტყვა, რომელიც მან 1920 წელს წარმოთქვა. მარშალი იხსენებს პოლონელი ხალხის ბრძოლებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ გერმანული, ებრაული, უნგრული, უკრაინული, ლიტვური, თათრული და სხვა წარმოშობის ხალხები, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი ყველა იყვნენ შვილები პოლონეთის, ქვეყნისა, რომელიც მათ უნდა უმადლოდეს თავის არსებობას. განა არ შეიძლება იგივე ფრაზა მივაკუთვნოთ საქართველოს სხვადასხვა ერის შვილებს, მათ შორის, ოსებსაც, რომელთათვის საქართველო გახდა სამშობლო და რომლისთვისაც ისინი ხშირად სიცოცხლესაც კი სწირავდნენ? მაგრამ ბატონ ჩოჩიევის მიმართ შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინოთ: ამ ადამიანის ბრალი ნამდვილად არ არის ის, რომ საბჭოურ პერიოდში კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერების მომზადების პროგრამებში არ შეჰქონდათ პილსუდსკის და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრების სიტყვები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე: ისტორიიდან ჩანს, რომ თანამედროვე ოსების წინაპრები თავიანთ შვილებს გზავნიდნენ საქართველოში იმისთვის, რომ ერთგულად ემსახურათ, დაეცვათ და განემტკიცებინათ იგი. რატომ ხდება, რომ იმავე გმირების თანამედროვე შთამომავლები ასე გააფთრებით იბრძვიან იმავე საქართველოს დაშლისთვის?

ბატონი ჩოჩიევი კიდევ ერთ „ისტორიულ" განცხადებას აკეთებს: „საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამს რუსეთთან შეერთება მოხდა ნებაყოფლობით, სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლაც უბრალო ხალხის სურვილი იყო, თუმცა, დღევანდელი „პატრიოტები" ამას „ანექსიას" უწოდებენ". ვერ დაგეთანხმებით, პატივცემულო ბორის, იქნებ, მაინც გაცნობოდით თქვენი სამშობლოს ისტორიის საფუძვლებს. არადა, ჩოჩიევს ეს რომ გაეკეთებინა, შეიტყობდა, რომ რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, როცა ჯერ ასაოხრებლად შეატოვა ხელში ირანს აღმოსავლეთი საქართველო, შემდეგ კი დაიპყრო დასუსტებული სამეფო. შეიტყობდა იმასაც, თუ რა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის იმპერიას დასავლეთ საქართველოს პატარ-პატარა წარმონაქმნები. შეიტყობდა, რომ მოხდა არა ერთი სახალხო აჯანყება და ქართველების გადასახლება ციმბირში. და ბოლოს, იმასაც გაიგებდა, რომ საბჭოთა რუსეთი 1921 წელს დაესხა თავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ ამ ორ ქვეყანას შორის დადებული იყო საზავო ხელშეკრულება; გაიგებდა, რომ ქართველთა ჯარები და სახალხო მოლაშქრეები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველი მხრიდან შემოჭრილ წითელ ურდოებს და ქემალისტური თურქეთის ჯარებს. დიახ, სანამ ამას არ გაიგებს, ჩოჩიევს, ალბათ, ძალზე გაუჭირდება „ისტორიაში უწიგნურობის ლიკვიდაციის" გაკვეთილების გამართვა.

და ბოლოს, ბატონი ჩოჩიევი უკვე საქართველოს უახლეს ისტორიაზე გადადის. იხსენებს რა, წარსულის ქართველ განმანათლებლებს, ჩოჩიევი წერს, რომ ისინი „კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლო დამპყრობლურ ომებს განახორციელებდა უცხო მიწებზე და ეცდებოდა იქაური ხალხების თავისუფლების დათრგუნვას, საუკუნეობრივი შულის გაღვივებას". როცა ამას ვკითხულობთ, გაკვირვება გვეუფლება: ვის წინააღმდეგ აწარმოებს თანამედროვე საქართველო დამპყრობლურ ომს? ვისი თავისუფლების დათრგუნვა სურს? ნებისმიერ შემთხვევაში, ესეც, რა თქმა უნდა, პარალელურ სამყაროებში ხდება, რადგან 1989 წლიდან დაწყებული, საქართველო ჩათრეული იყო რამდენიმე ომში, მათ შორის, სამოქალაქოშიც, მაგრამ ყველა ეს დაპირისპირება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა და არა მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ჩოჩიევი წერს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველომ დაამკვიდრა ფაშისტური ლოზუნგი – „საქართველო ქართველებისთვის!" და აუმხედრდა ისტორიულად ერთგულ ოსებს. ეს ლოზუნგი, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ხოლმე ანტიქართული ისტერიის დროს ზოგიერთი ქვეყნების გაზეთების ფურცლები და ტელევიზია რომ წალეკა, უსაფუძვლოა მივიჩნიოთ ოფიციალურად და განვაცხადოთ, თითქოს მას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებდეს. დიახ, ეს ლოზუნგი გამოთქვა ფანატიკოსების ან პროვოკატორების (რაც უფრო სარწმუნოაძ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, მსგავსად ლოზუნგისა „რუსეთი რუსებისთვის!" სადღეისოდ სულ უფრო ხშირად რომ ისმის თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში, რომელთანაც მიერთებასაც ცდილობენ „სამხრეთ ოსეთის" ბელადები ქართული ტერიტორიის სტრატეგიულად მნიშვნე-



ლოვან ნაწილთან ერთად. ამავე დროს, ჩოჩიევს ავიწყდება ის, რომ სწორედ მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებმა (1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი შეიქმნა გორის და დუშეთის მაზრების, აგრეთვე, რაჭის და შოროპანის მაზრების ტერიტორიებისგანძ უღალატეს ისტორიულ ერთგულებას, უკანონოდ წამოჭრეს „ავტონომიის სტატუსი", ამის შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ გადიოდნენ საქართველოს შემადგენლობიდან. ბუნებრივია, რომ ამ და მრავალი სხვა პროვოკაციის შემდეგ მოხდა სისხლისღვრა, რადგან საქართველო ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა, როგორც ამას გააკეთებდა ნებისმიერი სახელმწიფო ნებისმიერ დროს.

**(იბეჭდება შემოკლებით).**

**REGNUM**

**საინფორმაციო სააგენტო.**



## მოკლედ

**იტალიაში არჩევნების წინ სპეცსამსახურებმა აღკვეთეს ტერორისტული აქტები მეტროსა და ეკლესიაში. „ახლა მე შემიძლია განვაცხადო, რომ დაგეგმილი იყო ტერორისტული აქტების განხორციელება და მათი აღკვეთა მოხერხდა ჩვენი უშიშროების აპარატის ოპერატიული მოქმედების წყალობით", – განაცხადა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა. როგორც მან თქვა, ტერორისტული გამოხდომების მომზადებაში შვიდი კაცი მონაწილეობდა.**

* * *

**ერაყის ქალაქ ნეჯეფში, შიიტთა სალაფლაოს შესასვლელთან აფეთქდა დანაღმული ავტომობილი, რის შედეგადაც 20 კაცი დაიღუპა. დაჭრილები უახლოეს საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ექიმები არ გამორიცხავენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს, რადგან მრავალი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია.**

* * *

**ლატვიის სეიმმა უარყო კონსტიტუციის შესწორება, რომელიც მოამზადა „ერთიან ლატვიაში ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის" გაერთიანებამ. კანონპროექტი ეგრეთ წოდებულ „არამოქალაქეებს" აძლევდა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის, აგრეთვე, სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლებას.**

* * *

**ერაყში დააკავეს „ალ-ყაიდას" ადგილობრივი ქვეგანაყოფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაპატიმრებული მუჰამედ უბაიდი მეთაურობდა მოთარეშეებს ბაბილის პროვინციაში. ეს ადამიანი ასევე არის მთავარი ეჭვმიტანილი იტალიელი ჟურნალისტების ჯულიანა სგრენას და ენცო ბალდონის გატაცებაში. მუჰამედ უბაიდი დააკავეს ჯერ კიდევ 7 მარტს და მას შემდეგ ელოდებოდნენ დნმ-ს ტესტების შედეგს.**

* * *

**დაბალკალორიული დიეტა თვით იმ ადამიანებშიც კი, რომლებიც არ უჩივიან ჭარბწონიანობას, იწვევს ნივთიერებათა ცვლის და ორგანიზმის ქიმიის შეცვლას. ეს კი ხელს უწყობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას", წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".**

* * *

**ისრაელის ხელისუფლებამ დააკავა პალესტინის ავტონომიის იერუსალიმის საკითხთა მინისტრი ჰალედ აბუ არაფი, რომელიც რადიკალური მოძრაობის ჰამასის წევრია. მინისტრი და მისი პირადი მცველები დააპატიმრეს იერუსალიმის ერთ-ერთ გარეუბანში. ჰალედ აბუ არაფი იქ აპირებდა თავისი წარმომადგენლობის ოფისის გახსნას.**

* * *

**Tiktaalik roseae-ად წოდებული არსება-ტეტრაპოდი, რომელიც დედამიწაზე ბინადრობდა დაახლოებით 383 მილიონი წლის წინ, რაღაცით წააგავს ფარფლებიან ნიანგს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს არსება იყო რაღაც საშუალო რგოლი თევზებსა და ხმელეთის ხერხემლიანთა შორის.**

* * *

**პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მომხრეებმა ვერ შეძლეს მორიგების მიღწევა „რეგიონალების" კოალიციასთან. საბოლოო ანგარიშით, „ჩვენმა უკრაინამ" დაუჭირა მხარი კოალიციის შექმნას იულია ტიმოშენკოს ბლოკთან და ალექსანდრე მოროზის სოცპარტიასთან.**

* * *

**დიდ ბრიტანეთში დაფიქსირდა ფრინველის გრიპის პირველი შემთხვევა. ადამიანისთვის საშიში H5N1 ვირუსის შტამი აღმოუჩინეს შოტლანდიაში, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირთან მდებარე ქალაქ ანსტრატერის მახლობლად ნაპოვნ მკვდარ გედს. როგორც რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროში მიაჩნიათ, აპრილის დამლევამდე ფრინველის გრიპი რუსეთამდეც მიაღწევს.**

◎ ადამიანი დროში

# „მომაქარვები სევდისა, მართ ვითა მუფარახია“...

***ადამის მოდგმის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ქართველებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაუწყიათ და VII–VI სს-ში უკვე კოლხეთში, „ჰეკატეს ბაღში“ მოყვანილი სამკურნალო მცენარეებით არჩენდნენ ავადმყოფებს. რაოდენ ამაყები ვართ თუნდაც იმით, რომ მსოფლიო მედიცინის ისტორია „უძველესი კოლხური მედიცინით“ იწყება და მადლზარაქიანმა ჩვენმა მიწა-წყალმა და ქართველთა ნიჭიერებამ დიდი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.***

***ჩვენდა საბედნიეროდ, ნიჭიერი და კვალიფიციური ექიმები დღესაც ბევრი ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ისინი მრავლად არიან საქართველოს ამერ-იმერში, რაიონების მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში ჩუმად, უპრეტენზიოდ დგანან და ჰიპოკრატეს ფიცს ერთგულებენ.***

***ვინ დათვლის, მათ გონიერებას და მარჯვენას რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია, რამდენი ავადმყოფობა დაუმარცხებია.***

***კახეთში საგარეჯოს რაიონული საავადმყოფო ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური კადრებით, სიახლეების დანერგვითა და პაციენტთა მაღალ დონეზე მომსახურებით. როგორც ყველა, ასევე ქირურგიული განყოფილებაც გამოცდილი ექიმებით არის დაკომპლექტებული, მათ იმედზე არა მარტო რაიონის მოსახლეობაა, არამედ კახეთის გზატკეცილზე მომხდარ ავტოავარიებში მოყოლილებსაც ისინი უნარჩუნებენ სიცოცხლეს.***

***ვესაუბრებით სს საგარეჯოს რაისაავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების ქირურგსა და რაიონკოლოგს ვაჟა თევზაძეს.***



**— ბატონო ვაჟა, თქვენს სამუშაო კაბინეტთან პაციენტთა სიმრავლეა, მათთან გასაუბრებისას იგრძნობა, როგორ უყვარხართ და ეიმედებით. მოსწონთ თქვენი ტაქტი, თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მათ მიმართ და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმი. საინტერესოა, თბილისელი კაცი როგორ მოხვდით საგარეჯოში და როგორ შემორჩით აქაურობას?**

— 1977 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 126-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე სამედიცინო ინსტიტუტის (დღევანდელი სამედიცინო უნივერსიტეტისძ სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1983 წელს ქირურგ-ონკოლოგის სპეციალობით. 1983-84 წლებში ინტერნატურის კურსი გავიარე სწორედ აქ, ამ საავადმყოფოს ბაზაზე. შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მოსკოვის 57-ე საავადმყოფოში ვიმუშავე ქირურგად. 1985 წლიდან კვლავ საგარეჯოს რაისაავადმყოფოს ექიმი გახლავართ დღემდე. მუშაობის პარალელურად 1989-1993 წლებში ვსწავლობდი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში ონკოლოგიის სპეციალობის დაუსწრებელ განყოფილებაზე და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მეორადი ნაღვლის მჟავეების და ჰელიკობაქტერია პილორის როლი ექსპერიმენტულ გასტრობლასტომოგენეზში. ამ განხრით ეს იყო პირველი დისერტაცია საქართველოში.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც საგარეჯოში ვარ, ამ პერიოდში ვიმუშავე რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში, მთავარ ექიმად, სს-ის აღმასრულებელ დირექტორად. შემიყვარდა აქაურობა, შევეგუე მედპერსონალს და ასე შემოვრჩი საგარეჯოს.

**— წარმატებული საექიმო საქმიანობისთვის პროფესინალიზმთან ერთად საჭიროა სათანადო ინვენტარი, უახლესი აპარატურა, საოპერაციო მასალები, პირობები. ამ მხრივ როგორ არის თქვენთან საქმე?**

— რაიონის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. მუშაობს საჭირო სამკურნალო საშუალებებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფილი უფასო სასწრაფო დახმარება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რაიონის ხელმძღვანელობისა და სოციალური დახმარების ფონდის ხელშეწყობით ქირურგიულ განყოფილებაში მეორედ ტარდება რემონტი. პალატებში ახალი ინვენტარია, გადახალისებულია რეანიმაციული განყოფილება, უზრუნველყოფილი ვართ საოპერაციო მასალებით. ახალი ინვენტარითა და აპარატურით არის აღჭურვილი ტრავმატოლოგიური კაბინეტიც. ასე რომ, ნორმალური სამუშაო პირობები გვაქვს.

ამ ათიოდე წლის წინათ, შუქი რომ გვენატრებოდა, მაშინ, ერთმა ამერიკელმა სტუმრად მყოფმა ექიმმა ნახა ჩვენი ერთ-ერთი ოპერაცია და ბოლოს გაკვირვებულმა ინატრა: ნეტა ჩვენს დამწყებ ექიმებს თქვენი მუშაობა აჩვენა, რომ მიეჩვიონ აპარატურის გარეშე ოპერაციების წარმატებით ჩატარებასო.

**— თქვენი პირველი ოპერაცია თუ გახსოვთ?**

— ყოველთვის მემახსოვრება. ინსტიტუტში VI კურსზე ვსწავლობდი. ჩემი პროფესორის გიგი ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით ჩავატარე ოპერაცია — კუჭის ფიტობეზუარი, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

**— თქვენ ბრძანდებით რაიონკოლოგიც. როგორია სტატისტიკა?**

— დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ონკოდაავადებათა აღმნუსხველი სტატისტიკა შემაშფოთებელია, აქედან გამომდინარე არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა ჩვენს რაიონშიც. ადამიანებზე უარყოფით გავლენას ახდენს ხშირი სტრესი, დარღვეული ნივთიერებათა ცვლა, ტრავმები, დაჟეჟილობები, ცხოველური ცხიმების დიდი რაოდენობით მიღება, ეკოლოგიურად არასრულფასოვანი საკვები, მემკვიდრეობითი ფაქტორი. ჩვენს ქვეყანაში გავლილმა ათწლიანმა სიდუხჭირემ, დანგრეულმა ეკონომიკამ, უმუშევრობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ავადმყოფი უსახსრობის გამო დროულად ვერ იტარებს გამოკვლევებს და ექიმთან უკვე ავადმყოფობის მძიმე ფორმით მიდის. ზოგჯერ თუ უძლურები ვართ, ხშირად შედეგიანი ოპერაციებიც გვაქვს.

მსოფლიო ფარმაკოლოგიაში ონკოლოგიური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის უამრავი ახალი პრეპარატი არსებობს. ვიყენებთ ევროპისა და აშშ-ს მეცნიერთა მიერ შექმნილ მედიკამენტებს, რომლებიც დაავადების პროგრესირებას თრგუნავენ. სიძვირის გამო ბევრ პრეპარატს ავადმყოფები ვერ ყიდულობენ. ჯერჯერობით ამ ვერაგ დაავადებას სრულად ვერ ვამარცხებთ.

**— თქვენზე ამბობენ, რომ ზედმიწევნით იცით თითოეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გაქვთ ინდივიდუალური მიდგომით შერჩეული მკურნალობის თქვენეული კურსი, რომელიც საშუალებას გაძლევთ ავადმყოფის მოსარჩენად უფრო ეფექტიანი გზები გამონახოთ. პაციენტებისადმი ასეთი გულითადი დამოკიდებულება მხოლოდ ინსტიტუტში ისწავლეთ, თუ ოჯახიდანაც მოგდგამთ?**

— ექიმების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. დედაჩემი, მერი ჩომახიძე, სტომატოლოგი იყო. მამაჩემი, ბენიამინ თევზაძე, ფიზიოლოგი გახლდათ, ივანე ბერიტაშვილის მოწაფე იყო და ამით ამაყობდა. მუშაობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ და გახლდათ ამავე კათედრის დოცენტი. მყავს და, ნუნუ, ბიოლოგი, ხოლო ძმა, გოგი თევზაძე, საპენსიო ფონდის წამყვანი ინჟინერ-სპეციალისტია.

საგარეჯოს რაიონში ქირურგ ვაჟა თევზაძეს უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს. მის მიერ ჩატარებული წარმატებული ოპერაციების რიცხვი, დიდი ხანია, ათასს გასცდა. უამრავი ადამიანი გამოაჯანმრთელა და სიცოცხლე გაუხანგრძლივა. მისი პროფესიონალიზმი და ტაქტი მუფარახს ჰგავს. მუფარახი კი ისტორიულ საქართველოში სევდა-ნაღველის უკუმყრელი წამალი ყოფილა. „ვეფხისტყაოსანში“ როსტევან მეფე თინათინს ეუბნება: „შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია, მომაქარვები სევდისა, მართ ვითა მუფარახია“...

ბრძენი სულხან-საბაც, ალბათ, ასეთ ექიმებს უწოდებდა „სნეულთ მლხენელებს“.

გარეჯელთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე საიმედო ადამიანის ხელშია.

**ლეილა არჩემაშვილი**

◎ დედამიწის დიაგნოზი

# როდესაც ჰყვავის გვიმრა

***ბიოფიზიკოსი ვიქტორ ინიუშინი ამ ქვეყანაზე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც წინასწარმეტყველებს მიწისძვრებს 100 პროცენტთან მიახლოვებული უტყუარობით.***

***ჯერ კიდევ 2004 წლის აპრილში მან გააფრთხილა ტაილანდის მაღალჩინოსნები მოსალოდნელ სტიქიაზე, მაგრამ მას არ დაუჯერეს. ამის შედეგად მსოფლიოს დასატირებელი გაუხდა იმ საშინელი ცუნამის ასი ათასობით მსხვერპლი.***

***პროფესორმა ვიქტორ ინიუშინმა, უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის გამგემ, ჟურნალისტები მიიყვანა „სკივრთან“, საიდანაც სადენებია გამოშვერილი. აქ მოთავსებულია ბიომასა, რომლის სადღეღამისო რყევას ხელსაწყოები იწერენ. როგორც კი მრუდი პიკები მკვეთრად ახტებიან — ნიშნავს, რომ ხმელეთის რომელიღაც უბანი შეირყევა.***

## კატასტროფას ბიომასა წინასწარმეტყველებს

**ბიომასა დაქუცმაცებული მუხუდო, ქერის, ვაშლის, მუხის, ფიჭვის, ჩვეულებრივი ჩამიჩის თესლია, ბაყაყის კუნთები, სოკოს სპორებისა და ბაქტერიების კოლონიებია.**

მას შესწევს ელექტროსიგნალების გამოცემის უნარი, როდესაც სადღაც, პლანეტის შიგნით დაგროვდება კრიტიკული დაძაბულობა, სტიქიას რომ მოასწავებს.

ყველას ხომ გაგიგიათ: მიწისძვრის წინ ცხოველები მოუსვენრად არიან — გველები სოროებიდან ძვრებიან, ჯეირნების დამფრთხალი ჯოგი სადღაც გარბის, ძრებიან ობობები და ტარანტულები...

ვერავინ მეცნიერებიდან ვერა და ვერ გამოიცნო გარეული ცხოველების „ბარომეტრული“ საიდუმლოებანი, და მხოლოდ ბიოფიზიკოსმა ინიუშინმა თავისი ბიოპლაზმის თეორიის დახმარებით ამოხსნა ეს ფენომენი.

ნივთიერების მყარი, თხევადი და გაზისებური მდგომარეობის გარდა არის თურმე მეოთხეც — პლაზმა. ესაა დამუხტული ელემენტარული ნაწილაკები. პლანეტაც ცოცხალი არსებაა და ასევე აღვსილია პლაზმით, თუმცა სწავლულნი მას გეოპლაზმას უწოდებენ. ასე რომ, გეო და ბიოპლაზმა ერთმანეთთან იმდენად არის დაკავშირებული, რომ, როდესაც დედამიწის წიაღში გროვდება ძაბვები, ის მაშინვე ვრცელდება მთელს ცოცხალ პლაზმაზე და ნებისმიერი ორგანიზმი უბედურების წინ გამოსცემს სიგნალს SOS.



კლასიკური სეისმოლოგია მიწისძვრებს უკავშირებს ამ რეგიონში მიწის ქერქის რღვევებსა და დაძაბვებს. ინიუშინი ამტკიცებს, რომ გეოპლაზმის მეშვეობით დედამიწის მთელი წიაღი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

მომავალი მიწისძვრა სადღაც გვატემალაში სიგნალებს გადმოსცემს ალმა-ატაშიც და პლანეტის ბევრ სხვა წერტილებშიც. ფლობს რა რეფლექსოთერაპიის მეთოდს, ექიმი ავადმყოფობას ცნობს სხეულზე წერტილების მიხედვით კარგა ხნით ადრე მისი პათოლოგიურ გამოვლინებამდე. დედამიწის „დაავადებების“ ბიოპროგნოზირების არსი ისეთივეა — გაზომვები გეოაქტიურ წერტილებში „ბურთულის“ მთელს ზედაპირზე.

ინიუშინის თეორია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბრწყინვალედ დადასტურდა პრაქტიკით.

## სწავლული პიროსის გამარჯვებები

**სამწუხაროდ, პროფესორის გაფრთხილებებს თითქმის ყველგან აგდებით უყურებდნენ. მიზეზი კი ისაა, რომ სეისმურად საშიშ ზონებში განლაგებულია კლასიკური სეისმოლოგიის ლაბორატორიები. მათი ხელსაწყოები, ასობით მილიონი რომ ღირს, ხოლო იაპონიაში — მილიარდობით დოლარი — ასევე რალაცას ზომავენ. მაგრამ მიწისძვრების პროგნოზირება სეისმოლოგებმა მაინც ვერ ისწავლეს.**

ინსტიტუტის ყაზახი ბიოფიზიკოსების ბიოპროგნოზირების სისტემა წელიწადში რაღაც ნახევარი მილიონი დოლარი ჯდება. ხოლო ინიუშინისა და მისი კოლეგების გრძელვადიანი პროგნოზირების უტყუარება 95 პროცენტია, ოპერატიული პროგნოზები კი ალმა-ატის მიხედვით 98 პროცენტი. დამთხვევის ციფრები უბრალოდ დაუჯერებელია! მითუ მეტეს ამდენადვე მიუღებელი გონებაშეზღუდულ და უმწეო პროფესიონალებისთვის.

2001 წლის იანვარში იწინასწარმეტყველეს მიწისძვრა სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში, 100 ათასი სიცოცხლე რომ შეიწირა. მხოლოდ მეცნიერის ამ მწარე „გამარჯვების“ შემდეგ ინდოეთის პრეზიდენტმა ბრძანა, სასწრაფოდ მიეწვიათ ინიუშინი, ბიოგადამწოდი კი დელიში დადგეს. კიდევ ერთი, მეოთხე ბიოგადამწოდი (ალმა-ატის, აღმოსავლეთ ყაზახურისა და ინდურის შემდეგძ დააყენეს კალიფორნიაში, გუბერნატორ შვარცენეგერის გამჭრიახობის წყალობით. როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს თანამშრომლობისკენ იხრებიან თურქმენეთსა და ირანშიც. კარგია, მაგრამ ცოტაა. პროფესორი იმაზე ოცნებობს, რომ მისი ბიოგადამწოდების ქსელმა მოიცვას მთელი პლანეტა. მაშინ შესაძლებელი გახდებოდა უბედურების პროგნოზირების ლოკალიზება და იმის გაგება, თუ, სახელდობრ, საიდან მოუწევთ ხალხის ევაკუირება.

სამწუხარო შესაგნებია, თუ კიდევ რამდენი ასეული ათასობით მსხვერპლია საჭირო, რათა შევიარაღდეთ უკვე მზამზარეული მეთოდებით. მაგრამ სასიხარულოა, რომ ეს მეთოდი შექმნილია, აპრობირებულია და ელოდება თავის ჟამს, როცა სტიქიებით შეფერთხილი კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს გამოფხიზლდება.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრები კაცობრიობის ისტორიაში (დაღუპულთა რიცხვი - ათასობით ადამიანი).**

*სპარსეთი*
*856 წ. დეკემბერი*
*200 ათასი კაცი.*

*სპარსეთი*
*893 წ. მარტი*
*150 ათასი კაცი.*

*სირია*
*1138 წ. აგვისტო*
*230 ათასი კაცი.*

*ჩინეთი*
*1556 წ. იანვარი*
*830 ათასი კაცი.*

*ჩინეთი*
*1920 წ. დეკემბერი*
*200 ათასი კაცი.*

*ჩინეთი*
*1927 წ. მაისი*
*200 ათასი კაცი.*

*ჩინეთი*
*1976 წ. ივლისი*
*242 ათასი კაცი.*

*ინდონეზია*
*2004 წ. დეკემბერი*
*150 ათასი კაცი.*



## ხელბურთი

# ეს რა გუნდი ჰყოლიათ!

**ბოსნია-ჰერცეგოვინის ქალაქ ვოგოშჩაში მიმდინარეობს ევროპის მე-4 „ჩელენჯ ტროფი“, რომელშიც ქალთა რვა გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრებაზე ნასესხები ფულით გამგზავრებული საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ალბანელებთან, ფარერელებთან და ინგლისელებთან ერთად მოხვდა.**

პირველ ტურში ჩვენმა ქალებმა ალბანელებს მოუგეს 61:1 (!ძ. ფარერებმა ასევე დიდი ანგარიშით (54:8ძ ინგლისის ნაკრები გაანადგურა. მეორე ტურში საქართველოს გუნდი სწორედ ბრიტანელებს ხვდება. წარმატების შემთხვევაში ნახევარფინალისკენ გაიკვლევს გზას.

A ჯგუფში ბოსნიის, კვიპროსის, ესტონეთის და სომხეთის წარმომადგენლები გამოდიან.

## ჩოგბურთი

# საქართველო — სამხრეთ აფრიკა




**თბილისის სპორტის სასახლეში დღეს იწყება დევისის თასის გათამაშება, რომელიც სამ დღეს გასტანს. ერთმანეთს ხვდებიან ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის წარმომადგენლები — საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის გუნდები. სტუმრებს წყვილებში უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ვესლი მუდი მეთაურობს. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე დაიცავს.**

დღეს, 13 საათიდან, ორი ორთაბრძოლა გაიმართება ერთეულთა თანრიგში. ხვალ, 16 საათზე, წყვილთა პაექრობა დაიწყება, ზეგ, 13 საათიდან, კვლავ ერთეულთა თანრიგში მოასპარეზე ჩოგბურთელები გამოვლენ კორტზე.

## ჭადრაკი

# ოთხი ქართველი – ლიდერთა შორის

**თურქეთის კურორტი კუშადაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. შეჯიბრებაში 96 მანდილოსანი და 138 მამაკაცი მონაწილეობს, მათ შორის 17 საქართველოს წარმომადგენელია.**



პირველ ორ ტურში წარმატებას მიაღწიეს ლელა ჯავახიშვილმა, სალომე მელიამ, ზვიად იზორიამ და გიგა ყაჭეიშვილმა, რომლებსაც ორორი ქულა აქვთ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოიპოვეს ნანა ძაგნიძემ, მაია ლომინეიშვილმა, ბაადურ ჯობავამ და დავით არუთინიანმა.

გუშინ მესამე ტურში ჯავახიშვილი და მელია თეთრი ფიგურებით, შესაბამისად, პოლონელ იოანა დვორაკოვსკას და უკრაინელ მარია მუზიჩუკს ხვდებოდნენ, ხოლო იზორია და ყაჭეიშვილი შავი ფიგურებით — მოლდოველ დმიტრი სვეტეშკინსა და რუმინელ ალინ ბერესკუს. პარტიები ჩვენი გაზეთის დაბეჭდვის მომენტისთვის დამთავრებული არ იყო.

## უყურე შენ!

# ფეხბურთი მობილური ტელეფონებისთვის

**კომპანიამ Electronic Arts, სპორტული კომპიუტერული თამაშების მთავარმა მწარმოებელმა, გამოაცხადა, რომ ახალი თამაში, მიძღვნილი ფეხბურთში მოახლოვებული მსოფლიო ჩემპიონატისადმი 2006 FIFA World Cup, პირველად შეიძლება ჩაიტვირთოს მობილურ ტელეფონებში.**

მოთამაშეებს ურჩევენ, აირჩიონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასული 32 გუნდიდან ერთ-ერთი და იბრძოლონ ვირტუალური თასისთვის.

ევროპაში ახალი თამაშის მობილურებში ჩატვირთვა აპრილში შეიძლება, ხოლო დანარჩენ კონტინენტებზე თანდათან გავრცელდება.

## ჩემპიონთა ლიგა



# ესპანური „დუბლი“

**XXI საუკუნის დასაწყისში პარიზი უკვე მასპინძლობდა ესპანურ ფინალს („რეალი“ — „ვალენსია“ 3:0ძ. სავსებით შესაძლებელია, იგივე წლეულსაც მოხდეს — ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი ხომ 17 მაისს ისევ საფრანგეთის დედაქალაქის „სენ დენის“ სტადიონზეა დანიშნული.**

„ვილიარეალის“ მსგავსად, ნახევარფინალში თავი გათამაშების მთავარმა ფავორიტმა — „ბარსელონამაც“ ისახელა, რომელმაც შინ საპასუხო რაუნდი „ბენფიკას“ 2:0 მოუგო (პირველი შეხვედრა — 0:0ძ. მართალია, სეზონის განმავლობაში მიკროჩავარდნა ვერც კატალონიელებმა აიცილეს (ზედიზედ სამი ფრე და ერთადერთი, ისიც პენალტიდან გატანილი გოლი წინა სამ თამაშში), მაგრამ ისტორიულ მეზობლებთან იმდენი კი მოახერხეს, რომ სენსაცია არ მომხდარიყო. მასპინძლები არც დებიუტშივე მომხდარმა ფაქტმა დააბრკოლა, როცა მორეტომ რონალდინიოს დარტყმული პენალტი მოიგერია. მალე „გაუჩომ“ შეცდომა გამოასწორა და ეტოოს გარჯა დაუფასა — 1:0, საბოლოო წერტილი კი უკანასკნელ წუთზე კამერუნელმა ბომბარდირმა დასვა — 2:0. ეს გამარჯვება გარკვეულწილად დეკოს მიღებულმა გაფრთხილებამ გააფერმკრთალა, რის გამოც იგი „მილანთან“ პირველ დუელს გამოტოვებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, „არსენალის“ წინაღობა დაუძლეველი აღმოჩნდა ფაბიო კაპელოს გუნდისთვის, რომელსაც დელ პიერო, კამორანეზი, ვიეირა და ძებინა აკლდნენ — 0:0 (პირველი მატჩი — 0:2ძ. მეტიც — თუკი „დელე ალპიზე“ ვინმეს უნდა ეხეირა, ეს უპირველესად „მეთოფეებზე“, — ანრიზე, ფაბრეგასზე და ლიუნგბერგზე ითქმის, მაგრამ ბუფონი ამჯერად შეუვალი გახლდათ. ნიშანდობლივია, რომ „იუვენტუსის“ კაპიტულაცია დოკუმენტურად მას შემდეგ გაფორმდა, რაც მინდვრიდან ნედველი გააძევეს.



## ორბიტაზეა

### ვინ მოარიგებს მეზობლებს?

**ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა (უეფაძ მზადყოფნა გამოთქვა შუამავლად გამოვიდეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციათა შორის, რომლებიც ვერ მორიგდნენ, თუსად უნდა გაიმართოს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ამ ქვეყნების ნაკრებების მონაწილეობით (კენჭისყრამ ხომ ისინი ერთ ქვეჯგუფში მოახვედრაძ.**

როგორც ამბობენ, სომხები მზად არიან, მიიღონ აზერბაიჯანელები ერევანში და თავადაც ჩავიდნენ ბაქოში.

აზერბაიჯანელები წინააღმდეგნი არიან ბაქოში მატჩის გამართვისა და მოითხოვენ ნეიტრალურ მოედანზე მის გამართვას.

— ჩვენ გვესმის, რომ არსებობს პრობლემები უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, — განაცხადა უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა ლარს-კრისტერ უილსონმა ერევანში მოგზაურობის დროს, — მან თქვა, რომ არის სპეციალური კომისიის შექმნის ალბათობა, რომელიც შეისწავლის სიტუაციას და იზრუნებს პრობლემების გადაჭრისთვის.

### ბრაზილია ეპატიჟება



**ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ფეხბურთში ბრაზილიას იმედი აქვს, რომ სწორედ მას შეხვდება 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. საკუთარი ქვეყნის ამ მისწრაფებას მხარი დაუჭირა ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულა და სილვამ ადგილობრივი ფეხბურთის თავკაცებთან შეხვედრაზე.**

„64 წლის შემდეგ ბრაზილია მზადაა შეესაბამებოდეს მსოფლიო თასის გამართვის მოთხოვნებს და იმსახურებს კიდევაც ამას“, — თქვა პრეზიდენტმა.

როტაციის წესების მიხედვით, მორიგი ჩემპიონატი 2010 წელს გაიმართება სამხრეთ აფრიკაში, შემდეგ კი უკვე სამხრეთ ამერიკის ჯერი დადგება.

ხუთი ჩემპიონატის მოგების მიუხედავად, ბრაზილიაში მუნდიალი მხოლოდ ერთხელ — 1950 წელს გაიმართა, როცა ფინალში ურუგვაისთან დამარცხდა — 1:2.

### ცუდი არაფერი წარმოიდგინოთ

**დიახ, რაღაც პორნოგრაფიული მომენტი არ გეგონოთ. რაღა არ გადახდებათ ხოლმე სპორტული ღონისძიებების მომსახურეთ. ჩილეში სტადიონზე ბურთების მომწოდებელ ბიჭს კბილები ჩაუნგრიეს ფეხიდან გამძვრალი ბუცით. კენიაში მარათონელთა თანმხლებ მწვრთნელს ერთჯერადი შპრიცებით სავსე მანქანა დაეჯახა, რაგბში ფიჯის ნაკრების დაბნეულმა ექიმმა კი საკუთარ ყავის ჭიქაში ჩაიყარა მთელი გუნდისთვის განკუთვნილი საფაღარათო აბები.**

ეს ქალიშვილი კი აშშ კალათბურთის სტუდენტური ლიგის მატჩზე შესვენებისას ჯგუფთან ერთად ცეკვით მხარს უჭერდა ტეხასის სამხრეთის უნივერსიტეტის გუნდს. ერთ-ერთი აკრობატული ეტიუდის შესრულებისას ოთხივე კიდურზე დაეცა და ეს ჭაბუკი მათი გუნდის თაყვანისმცემელს წამოსაყენებლად ეხმარება.



## სულთათანა

# იგი გულნატკენი დაგვემშვიდობა



გივი ნოდია (შუაში) დილმის ბაზაზე.

**დღეს 2006 წლის 7 აპრილია, ხარება...**

**ვისთვის საზეიმო, ვისთვის სევდიანი დღე...**

წელიწადი შესრულდა 2005 წლის 7 აპრილის ავადმოსაგონარი დღიდან, როცა სამუდამოდ დაგვემშვიდობა ქართული ფეხბურთის მშვენება, გამორჩეული ფორვარდი, მეტოქეთა მეკარეების რისხვა, მუდამ მომღიმარი და კეთილი კაცი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **გივი ნოდია,** ასე ნაადრევად — 57 წლის ასაკში...

რომელი ერთი ჩამოვთვალო — ვოვა მარღანია, შოთა იამანიძე, ავთანდილ (ბასაძ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, გოჩა გავაშელი, ვიტალი დარასელია, თამაზ სტეფანია, მიხეილ და მიშიკო მესხები, ფირუზ რეხვიაშვილი, გივი ჩოხელი, ზაურ კალოევი, ედუარდ (სულიკოძ თორაძე, გურამ პეტრიაშვილი, კახი ასათიანი, მალხაზ შერგელაშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი, გურამ ცხოვრებოვი, დავით ყიფიანი... თუ ვინმე გამომრჩა, მეპატიოს — ნათელი ხსოვნა მათ; ეს მარტო ფეხბურთელები, აღარ ვლაპარაკობ სხვა სპორტსმენებზე, ძალიან გამიგრძელდება ჩვენგან წასულების სია.

ღმერთო! დიდხანს აცოცხლე ყველა, ვისაც დღეს (!ძ სიცოცხლე სწყურია, ყველა, ვინც სიკეთეს თესავს, ვინც ჩვენი ბედკრული საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტია და გული შესტკივა მის ბედზე, ვინც ქართულ საქმეს აკეთებს...

გივი ნოდია გულნატკენი წავიდა ამქვეყნიდან... გვიყვარდეს ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს, გული არავის ვატკინოთ...

ჯერ იყო და — მიშა მესხის გარდაცვალებამ დაასვა დაღი ჩემს ჯანმრთელობას (ინფარქტის დიაგნოზიძ, შემდეგ სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, გივი ნოდია. გულთან ახლოს მივიტანე ზურაბ საკანდელიძისა და მიშიკო ძორძიას გარდაცვალება, რამდენს გაუძლებს კიდევ ჩემი ავადმყოფი გული... ასე იცის გამორჩეული და გამორჩენილი ადამიანების მიმართ განსაკუთრებულმა სიყვარულმა და პატივისცემამ.

ახლო ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებდა გივი ნოდიასთან...

გახარება და გამრავლება მინდა ვუსურვო გივის ოჯახს, მის მეუღლეს — ქალბატონ ირინეს, შვილებს — თამუნას და ალექსანდრეს, ძმას — ლევან ნოდიას.

გივი ნოდიას სახელი უკვდავია. მისი ღვაწლი და დამსახურება სამუდამოდ ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

**ვაჟა ჭიაურელი,**
**სპორტის დამსახურებული მუშაკი, „საპატიო რკინიგზელი“, ღირსების ორდენის კავალერი.**

◎ მეზობლებთან

## სტანისლავ გოვორუხინი:

# „ნამდვილი ლიტერატურა გვჭირდება!“



**ცნობილ რუს კინორეჟისორს სტანისლავ გოვორუხინს 70 წელი შეუსრულდა. ცნობილიო, ვთქვით, მაგრამ ვშიშობთ, რომ მასობრივი ქართველი მკითხველისთვის ის ნაკლებცნობილია, მეტადრე ახალგაზრდებისთვის. ეგ კია, რომ მის „კალამს“ ეკუთვნის ისეთი საბჭოური ტელესერიალი, როგორიც იყო „შეხვედრის ადგილის შეცვლა არ შეიძლება“ — ერთ დროს ძალიან პოპულარული, მით უფრო, რომ მთავარ როლს (კაპიტანი ჟეგლოვი) ვლადიმერ ვისოცკი ასრულებდა...**

**გაზეთმა „Аргументы и факты“ მთელი გვერდი მიუძღვნა ამ თარიღს. ჩვენი ყურადღება პუბლიკაციის რამდენიმე ადგილმა მიიპყრო. სიტყვა — იუბილარს:**

— ბელორუსიას კარგად ვიცნობ. იქ კოლოსალური ცვლილებები მოხდა. მათთან ვერ ნახავთ ვერაფერს იმ ყველაზე მეტ საზიზღრობიდან, რაც ჩვენთან არის, — იქ არ არიან მიუსაფარნი, არ არის ასეთი დამნაშავეობა. იქ ყველა ქარხანა მუშაობს, სოფელი ძირიან-ფესვიანად არ მოთხრილა და არც გალოთებულა. ბელორუსებს არც ნავთობი აქვთ, არც გაზი, მაგრამ ჩვენზე უკეთესად ცხოვრობენ! უბრალოდ, ცხოვრების დონე მოსკოვისას კი არა, რომელიღაც კისლოდშჩენსკისას უნდა შეუდარო. ამიტომაც მიიღო ლუკაშენკომ 82 პროცენტი, თუმცა დასავლეთს ძალიან უნდოდა, რომ იქ მეორე მაიდანი მომხდარიყო...

...კულტურა გვჭირდება! კიდევ რა? ნამდვილი ლიტერატურა გვჭირდება! წარსულის დიდი სულიერი პედაგოგები — ჟიულ ვერნი, მარკ ტვენი, გინდა არკადი გაიდარი უკვე აღარ მონაწილეობენ აღზრდაში: წიგნებს ხომ თანამედროვე ბავშვები არ კითხულობენ! და ბოლო წლებში არ გამოჩნდნენ ახალი დანიელ დეფო, მით უფრო ტურგენევი ან ჩეხოვი...

...ნამდვილი კინემატოგრაფი გვინდა, რომელიც ადამიანში ცხოველურ ინსტინქტებს კი არა, ამაღლებულ, კეთილშობილურ გრძნობებს აღვიძებს... თანამედროვე რუსეთული ფილმები, სამწუხაროდ, ამერიკულზე გაცილებით უზნეოა. დღეს ბავშვები არ თამაშობენ უილისის, სტალონეს ან შვარცენეგერის გმირებს — თუმცა მათი პერსონაჟები ყოველთვის ბოროტებას, ბანდიტებს ებრძვიან და მუდამ იმარჯვებენ... ვის ხვდებიან ბანაკებში, „ორლიონოკი“ იქნება თუ „არტეკი“, როგორც გმირ კოსმონავტებს? იმ მსახიობებს, რომლებმაც ოთხი ნაძირალა ითამაშეს სურათში „ბუმერი“. აი, რა არის კატასტროფა!..

◎ ცხრა მთას იქით

# ესტონეთში რასიზმიაო, — ჩაასკვნეს ევროპაში

**ბალტიისპირეთის ქვეყნებში რუსულენოვნებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ — ის, რაც აშკარა იყო, ევროპამ მხოლოდ ახლახან აღიარა: ევროსაბჭომ გაავრცელა მოხსენება ესტონეთში რუსთა მდგომარეობაზე. დოკუმენტის ავტორები შეძრწუნებულნი არიან: არაესტონელებს პრაქტიკულად არა აქვთ საზოგადოებაში ინტეგრირების შანსები. ევროპელებს შოკი დამართა იმან, რომ ესტონეთში 140 ათას რუსულენოვანს აქამდე არ აქვს მოქალაქეობა.**

ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ესტონურ ენაში გამოცდის ჩაბარებაზე უკიდურესად მკვეთრი მოთხოვნები. ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში (ადგილობრივ კილოზე ერთი სიტყვისაც არმცოდნე ემიგრანტებით სავსეში) ასეთ სიტუაციას მთავრობის გადადგომა მოჰყვებოდა.



ევროსაბჭომ ზუსტი სიტყვით მონათლა ის, რაც ესტონეთში ხდება — რასიზმი. ბალტიისპირელთ დაბეჯითებით ურჩიეს, რომ რაც შეიძლება მალე მიიღონ ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონი და შექმნან რასიზმთან ბრძოლის სპეციალური ორგანო.

**ჩვენი შენიშვნა:** ჰაი დედასა! ვინმეს თუ წარმოუდგენია მსგავსი რამ საქართველოში — ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საზოგადოებაში ინტეგრების შანსების უქონლობა, არაქართულენოვანთათვის მოქალაქეობის არქონა და ქართულ ენაში უმკაცრესი გამოცდების მოწყობა. საერთოდ — რასიზმი ჩვენში! კარგი იქნებოდა „Комсомолка“-ს, ამ ბოლო ხანებში რომ სულ საქართველოს ქირდვაშია, მოფიქრებოდა პარალელის გავლება!..

◎ ეკოლოგია

# კი, დაიჭირეთ, ოღონდ არ ჭამოთ

**ხაბაროვსკის მხარის გუბერნატორმა მოხსნა მდინარე ამურში თევზჭერის აკრძალვა. ეს მოულოდნელობად იქცა სამხარეო ბუნების სამინისტროსთვის, რამდენადაც მდინარიდან ამოყვანილ კარჩხანებში აღმოჩენილია მომატებული შემცველობა არა მხოლოდ ბენზოლის, არამედ ვერცხლისწყლის. სანიტარიული ექიმები გვაფრთხილებენ, რომ ამ თევზის ჭამა დაუშვებელია. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ამურისა და მისი შენაკადის, სუნგარის წყლის, ყინულისა და ფსკერზე დანალექების სინჯების შედეგები.**

ამასობაში ჩინელებმა დაიწყეს სუნგარის გადამკეტავი დამბის დაშლა. იმათ რომ ჰკითხო, უბედურებამ ჩაიარა (ჩინეთში, მდინარესთან ახლოს მყოფი ქიმიური ქარხნის ახლახან მომხდარი აფეთქება იგულისხმება, როცა ტოქსიკური ჩანადენები ამურისკენ დაიძრა — **რედ.**). ხაბაროვსკში კი ახალ „შხამიან ტალღას“ ელიან და სასმელ წყალს ბოთლებით ყიდულობენ...

◎ ჯანმრთელობა

# კიდევ რამე ართროზის შესახებ



***— ოსტეოართროზის განვითარების რისკის ფაქტორებად ხანდაზმულობის გარდა, მიიჩნევენ სახსრების მეტისმეტად დატვირთვას, ტრავმებს, ჭარბ წონას, გენეტიკურ ფაქტორებს.***

**— რა იწვევს ტკივილს?**

— ოსტეოართროზის დროს ირღვევა მიმოცვლითი პროცესები ხრტილში, რომელიც სახსარში ამორტიზატორის როლს ასრულებს, მძლავრობს დაშლა, რის შედეგადაც ხრტილი კარგავს ელასტიურობას და სიმტკიცეს, თხელდება. ამას კი მოსდევს სახსრის ზედაპირების გაზრდილი ხახუნი მათი დეფორმაცია და ტკივილები, რომელიც დაძაბვის დროსაც იჩენს თავს და მშვიდ მდგომარეობაშიც.

**— რა შეიძლება ვიღონოთ?**

— ოსტეოართროზის დიაგნოზის დასადასტურებლად აუცილებელია საექიმო გამოკვლევის ჩატარება, დიაგნოზის დასმის შემდეგ კი შესაბამისი მკურნალობა უნდა ჩაიტაროთ.

ძალზე ეფექტურია ქონდროქსიდის მალამოს გამოყენება, რომელიც მარტო ტკივილებს კი არ ხსნის, არამედ ხრტილში მიმდინარე მიმოქცევის პროცესებზეც ზემოქმედებს. ამუხრუჭებს ხრტილოვანი ქსოვილის დაშლას, ხელს უწყობს მის აღდგენას: ქონდროქსიდი მოქმედებს უშუალოდ დაზიანებულ სახსარზე, მას ტკივილგამაყუჩებელი და ანთებისსაწინააღმდეგო თვისებებიც გააჩნია და ოსტეოართროზის პროგრესირების შენელებაც შეუძლია.

სწორი და თანმიმდევრული მკურნალობის შემთხვევაში (ქონდროქსიდის დღეში 2-3-ჯერ შეზელვა მტკივანი სახსრის თავზე) ქსოვილები საჭირო სასარგებლო ელემენტებს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს სახსრის ხრტილის მექანიკური თვისებების გაუმჯობესებას და საშუალებას მოგცემთ გააგრძელოთ აქტიური ცხოვრება.

# საუკეთესო დიეტა ისრაელში



**მოულოდნელი შედეგი გამოიღო გამოკვლევამ, რომელიც მოაწყვეს საავადმყოფო სალაროს „კლალიტ“ სპეციალისტებმა ბენ-გურიონის უნივერსიტეტის კვების საერთაშორისო ცენტრის დიეტოლოგებთან ერთად: ისრაელური კვება ყველაზე ჯანმრთელი გამოდგა. მთავარია, რომ გამოკვლევა დიაბეტითა და სიმსუქნით დაავადებულ ადამიანებთან მიმდინარეობდა.**

30-დან 60 წლამდე ასაკის 259 ავადმყოფი მთელი წლის განმავლობაში გადიოდა მკურნალობის კურსს დიეტოლოგებთან. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს. თითოეული მათგანი კვების რაციონზე სხვადასხვა რჩევას ღებულობდა: ერთი ჯგუფი იკვებებოდა დიეტოლოგთა ამერიკული ასოციაციის რეკომენდაციების შესაბამისად, მეორე „იჯდა“ ხმელთაშუაზღვის დიეტაზე, მესამე კი — ისრაელურზე, რომელიც აუცილებლად შეიცავდა ჰუმუსს, თხინას და თვით ზეთისხილის ზეთში სწრაფი ჩაშვებით შემწვარ ფარაფელს.

ერთი წლის შემდეგ ყველა ავადმყოფს, ისრაელურად რომ იკვებებოდა, აღენიშნებოდა სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის დონის დაწევა, წონის, წელის და თეძოების მოცულობის შემცირება, არტერიული წნევის დაწევა, თანაც „კარგი“ ქოლესტერინის დონის აწევა.

# ზოგი რამ ჩაიზე



**ნამდვილი ნედლეულისგან ჩაის წარმოება მხოლოდ „ჩაითმცოდნე“ ქვეყნებს შეუძლიათ: ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, შრი-ლანკა, იაპონია, საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი (კრასნოდარის მხარე). ეს ნიშნავს, რომ ჩაი აშშ-იდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან ან აზიიდან ჩაის რეექსპორტია (რაც აუცილებლად ცუდს არ ნიშნავს), ან ნაყალბია. ყველაზე გონივრული იქნება, თუ მოვერიდებით ჩაის ყიდვას „არაჩაიური“ ქვეყნებიდან.**

### *როგორ დავაყენოთ სწორად?*

**** დავაყენოთ მხოლოდ ახლახან ადუღებული ახალი წყლისგან;***

**** არ ავადუღოთ უკვე დაყენებული ჩაი;***

**** უკეთესია, თუ მდუღარეთი შემთბარ თხელ ფაიფურის ფინჯნებში ჩავისხამთ;***

**** ოპტიმალური თანაფარდობა: ორ ფინჯან მდუღარეზე — ერთი პატარა კოვზი მშრალი ჩაი; ან — ყოველ ჭიქა წყალზე არანაკლებ ერთი პატარა კოვზი ჩაი, პლუს ერთი პატარა კოვზიც მთელ ჩაიდანზე;***

**** წყალს უშუალოდ ჩაის ვუმატებთ და არა ისე, რომ ჯერ ფინჯნებში ვასხამთ;***

**** მწვანე ჩაის მიწოდება ლიმონით ან რძით მიღებული არ არის.***

# მამაკაცთა სიამაყე

**როგორც ერთხელ უკვე ვიუწყებოდით, საუბარია ბიოგენურ პრეპარატზე „კეთილი ვაჟკაცი“. სექსოლოგიის საკითხებში საერთაშორისო სიმპოზიუმზე იმპოტენციის წინააღმდეგ ყველაზე მაღალეფექტიან საშუალებად მიიჩნიეს.**

**** 1 ტაბლეტის მოქმედების ხანგრძლივობა 120 საათია (ამჟამად ცნობილი ანალოგებისა — მხოლოდ 6-8 საათი).***

**** არა ჰორმონულია, მიჩვევა არ იცის;***

**** არ უმატებს სისხლის წნევას;***

**** „გამოყენებადია“ როგორც სტიმულატორი, აგრეთვე სქესობრივი დისფუნქციების მკურნალობის კურსში.***



ა) ერექტილური დისფუნქციისას (ერექციული უკმარობა);

ბ) უდროო და ნაადრევი ეიაკულაციისას (თესლის დანთხევისას);

გ) ლიბიდოს (სქესობრივი სწრაფვის) არქონისას;

დ) წინამდებარე ჯირკვლის მოშლისას.

„კეთილ ვაჟკაცს“ აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი. მოსკოვური ტელეფონია (095) 603-26-37; რამდენიმე გამოხმაურება: „დღისით 60 წლისა, საღამოს 20-ისა ვხდები“ (იაპონური გაზეთიდან); „კეთილი ვაჟკაცი“ გახლავთ ქალთა სიამოვნება, მამაკაცთა სიამაყე და საკუთარი ჩინებულობის გრძნობა“ (პეკინის გაზეთიდან „მსოფლიოს გარშემო“); „ეს არის საიდუმლო ბირთვული იარაღი, რომელსაც განქორწინებათა კოეფიციენტის დაწევის უნარი შესწევს“ (ომანის გაზეთი „საფინან-

დაიჯერეთ!

# ადამიანი-კიბორგი — ეს უკვე რეალობაა

სამოცდაათიან წლებში ფანტასტიკური ფილმების ჰიტად იქცა სატელევიზიო ფილმი „ადამიანი ექვს მილიონ დოლარად“, სადაც ცნობილი მსახიობის ლი მეიჯორსის გმირმა სტივ ოსტინმა იმით გაითქვა სახელი, რომ მას ექიმებმა ხელოვნური ფეხი, მარჯვენა ხელი და თვალი დაუყენეს. ასე შეიქმნა ადამიანი-კიბორგი. ამ ფილმიდან ერთ-ერთი გმირის გამონათქვამი კი ფრთიან ფრაზად იქცა — ჩვენ შეგვიძლია იგი ავადგინოთ. ჩვენ გვაქვს ტექნოლოგიები“.

ოცდამეერთე საუკუნეში ბევრი ფანტასტიკური ფილმის სიუჟეტი რეალობად იქცა და ახლა საოცრებას არ წარმოადგენს. მათ შორისაა ადამიანი-კიბორგებიც. ამის დასტურია რამდენიმე დღის წინათ სან-ფრანცისკოში გამართული კონფერენცია „ექსპერიმენტალური ბიოლოგია 2006“, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 12 ათასი დელეგატი დაესწრო. კონფერენციის ერთ-ერთ სიმპოზიუმს — „ადამიანი 6 მილიარდ დოლარად“ ლაიტმოტივად გასდევდა, რომ ფანტასტიკა რეალობად იქცა. ახლა საოცრებას არ წარმოადგენს ელექტრონული ხელი, ფეხი, თვალი და ადამიანის სხვა ორგანოები.

## ფეხი

კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის დოქტორმა ჰომაიუნ კაზერუნიმ შექმნა რობოტიზირებული მისამაგრებელი, კომპიუტერით მოძრაობაში მომყვანი ფეხი, რომლის „პატრონსაც“ შეუძლია ამ ფეხზე დაყრდნობით გადაიტანოს 90 კგ. ტვირთი იგივე ძალისხმევით, თითქოსდა 4,4 კგ. გადააქვს. ეს მართლაც სენსაციაა.

დოქტორი კაზერუნი უფრო მეტ შესაძლებლობას უწინასწარმეტყველებს ეკზოჩონჩხს, მაგალითად მოხუცსა და სუსტ ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ იყვნენ უფრო მობილიზებულნი. კაზერუნის გამოგონებით დაინტერესდნენ სამხედრო უწყებებიც — ამ გამოგონების წყალობით ჯარისკაცებს სიმძიმეების შორ მანძილზე გადატანის შესაძლებლობა შეექმნებათ. კიბორგ-ჯარისკაცები ზეადამიანურ ძალას მიიღებენ.

ამგვარი კომბინირებული ხელსაწყო სახელწოდებით „კომბინირებული დამხმარე კიდური“ (Hybrid Assistive Limb - HAL) წარმოადგინეს ტოკიოში იაპონელმა ალპინისტებმა. ექსპედიციას აგვისტოში გადაწყვეტილი აქვს შვეიცარიაში 4164 მეტრი სიმაღლის მთა ბრაიტხორნი დალაშქროს. ექსპედიციის შემადგენლობაში იქნებიან 43 წლის სეიჯი უსიდა, რომელმაც 1993 წელს ავტოკატასტროფაში ფეხი დაკარგა და მისი თანამემამულე 16 წლის კიოგა იდე, რომელიც დაბადებიდან კუნთის დისტროფიითაა დაავადებული. ორივე „მთასვლელი“ ხელოვნური-ელექტრონული კიდურების დახმარებით აპირებს მწვერვალზე ასვლას.

იაპონური კომპანიის Cyberdyne-სა და ცუკუბას უნივერსიტეტის მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა სპეციალური კიდურები, რომლის დახმარებითაც ინვალიდებს შესაძლებლობა აქვთ სხვათა დახმარების გარეშე ავიდნენ კიბეებზე, ციცაბო რელიეფზე და ა. შ.

## ხელები

დოქტორმა უილიამ კრელიუსმა და მისმა ჯგუფმა რუტგერსის უნივერსიტეტიდან შექმნეს ბიონური ხელი Dextra, რომელიც ადამიანის ნერვული სისტემისა და კომპიუტერის საშუალებით ჩვეულებრივად ამოძრავებს მექანიკურ თითებს. Dextra სტანდარტული პლასტიკური ბუდეა, რომლის ფოსოებშიც ჩამონტაჟებულია მექანიკური თითები. ადამიანი-კიბორგი ამ თითებს ისე ამოძრავებს, თითქოს იგი ნამდვილი იყო. ხელოვნური ხელის საშუალებით ჩვეულებრივად უკრავენ ფორტეპიანოზე, მუშაობენ კომპიუტერის კლავიატურაზე. „კიბერხელზე“ მრავალ ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა.



## თვალები

სტენფორდის უნივერსიტეტის ოფთალმოლოგიის განყოფილების მეცნიერებმა დოქტორ დანიელ პალანკერის ხელმძღვანელობით შექმნეს ბიონური თვალი. თვალის „რეტინალური პროთეზი“ შედგება საფულის ზომის გადასატანი კომპიუტერის პროცესორისაგან, თვალის იმპლანტირებული ბატარეისგან, სამმილიმეტრიანი (ბრინჯის მარცვლის ნახევარი ზომაძ სხივმგრძნობიარე ჩიპისგან, ბადურასგან და ციცქნა ვიდეოკამერისგან, რომელიც სპეციალურ სათვალეზეა დამაგრებული.

ეს სისტემა განკუთვნილია ისეთი ოპერაციებისთვის, რომელსაც ასრულებს თვალის ფოტორეცეპტორები. უმთავრესად თვალის ბადურადაზიანებული ადამიანები. ამ აპარატით შეიარაღებული ადამიანები არჩევენ სახეს, გამოსახულებებს, კითხულობენ მსხვილი შრიფტით ნაბეჭდ ტექსტს. ახალი „თვალის“ გამოცდა-გამოყენება დაიწყება 2007 წლის მიწურულს.



## ყურები

საარლანდის (გერმანიაძ უნივერსიტეტის პროფესორმა ვერნერ ნახტიგალმა და კვლევითი კომპანია Phonak-ის დირექტორმა სტეფან დაუნერმა შეისწავლეს რა ადამიანის ტვინისა და ყურის ურთიერთზემოქმედების პრინციპები, „ციფრული ბიონიკის“ საფუძველზე შექმნეს ხელოვნური ყური. მასში გამოყენებულია უახლესი წარმოების მინიატურული ჩიპები.

ათეულ წელზე მეტია სმენის აღდგენისათვის მეცნიერები იყენებენ ლოკოკინის იმპლატანტებს, სასმენი აპარატებისგან განსხვავებით, რომლებიც აძლიერებენ ხმას, იმპლატანტები ორი ნაწილისაგან შედგებიან — ერთი არეგულირებს ძგერას შიდა მიკროფონის საშუალებით, ხოლო შემდეგ გადასცემს მას კანქვეშ ჩამაგრებულ მეორე ნაწილს — იმპლატირებულ მიმღებს. იგი თავის მხრივ სტიმულაციას აძლევს სასმენ ნერვს.

***რამდენიმე თვეში დაგეგმილია ახალი კონფერენციის მოწვევა, რომელზეც მსოფლიო მეცნიერები ადამიანთა სხვა ხელოვნური ორგანოების შესახებ იმსჯელებენ. ასე რომ, სულ მალე ადამიანი-კიბორგები ქუჩებში ჩვენთან ერთად ისეირნებენ.***

## განცხადება

2006 წლის 7 სექტემბერს, დღის 11 საათზე საქართველოს უსინათლოთა კავშირის გამგეობის სააქტო დარბაზში (ბოჭორმის ქ. № 23, ტელ: 79-00-22ძ ჩატარდება საქართველოს უსინათლოთა კავშირის XX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატთა განცხადება და პროგრამა საორგანიზაციო კომიტეტში მიიღება ზემოთ ხსენებულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილიდან 21 ივლისის 16 საათამდე.

**ფრიდონ ლობჟანიძე,**
**ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.**

შპს „ზუკა“-სთან არსებული კერძო სკოლა „ერის იმედი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე ლოლობერიძის ქ. № 10. ტელ: 66-07-33.

*შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“ (ქ. თბილისი სპ. კედიას ქ. № 7 რეკვიზიტებიძ აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობის არსებულ ფართზე მესამე სართულზე, საერთო ფართი 33 კვ. მ-ის საიჯარო ფართის საწყისი ღირებულება განსაზღვრულია 2 — დოლარის ექვივალენტი ლარებში, კომუნალური გადასახადების გარეშე. აღნიშნული ფართის პრივატიზაციის შემთხვევაში იჯარა ჩაითვლება გაუქმებულად.*

*კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ შენობაში 2006 წლის 21 აპრილს 12 საათზე, ქ. თბილისი, კედიას ქ. № 7-ში, ოთახი № 34, ტელ: 34-80-47.*

## გახსენება



### მერაბ ცაგურია

ჩვენო მარად დაუვიწყარო, ჩვენო საყვარელო მამა, უკვე მიილია 40 ტკივილიანი დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალზე გვიჭირს იმის შეგუება, რომ აღარ დგახარ ჩვენი მოამაგე დედის გვერდით.

ჩვენ ხომ იმის იმედით ვიყავით შორეულ იაპონიაში წასულები, რომ აქ გვეგულებოდით შენ და დედა. გახარებდა ჩვენი თითოეული წინგადადგმული ნაბიჯი, წარმატება. სიხარულს ვერ მალავდი. ცდილობდი, ყველაფერი დაწვრილებით გაგვეგო ჩვენს შესახებ.

შენ ხომ მხოლოდ 54 წელი იცოცხლე ამ ქვეყანაზე. მრავალი გაჭირვება გადატანილები ხართ, შენ და ჩვენი საყვარელი დედა. სოხუმიდან იძულებით გამოგდებულები სვანეთის გზის გავლით ჩამოხვედით თბილისში. აქ ხელახლა შესძელით ცხოვრების თავიდან შექმნა. ცდილობდით ორივე ერთად, ყველაფერი გაგეკეთებინათ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონოდა ნათელი მომავალი.

ჩვენც ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არ ვაგრძნობინოთ უშენობა დედას. ვივლით სულ წინსვლით შორეულ იაპონიაში.

თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ შენს ახლობლებსა და ოჯახზე დათესილი სიკეთე და სიყვარული არ გაქრება, ეს იქნება შენი ხსოვნის საწინდარი.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ შენი წმინდა სულისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ჩვენმა მონატრებამ, სიყვარულმა და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში.

**შენი ოჯახი.**



გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „სახალხო განათლების“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი კოლეგისა და ყველასათვის გულღია მეგობრის, ფოტორეპორტიორ

რომან
კეჩხუაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



მეუღლე მადლენ, შვილები პაატა, ბესიკ, დები ირა, გუგული, სიძე კოტე გველესიანი, შვილიშვილები გიორგი, მარიამი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოგა) პავლეს ძე მგელაძე

პანაშვიდი 7, 8 IV, 16 სთ. გამოსვენება 9 IV, 14 სთ. პასტერის ქ. № 1 ა.



მეუღლე თინათინ გუბელიძე, შვილები ანა, ირაკლი, და ქეთინო, ძმა ანტონ ინგოროყვები, დისწულები ვასიკო, ლევან კალანდარიშვილები, ძმისწულები ლადო, დათო, გიორგი ინგოროყვები, რძლები ფერიდე ხიდეშელი, თამარ სკამკოჩაიშვილი, სიძეები ნუგზარ კალანდარიშვილი, ლევან გომელაური, სიდედრი იზოლდა, სიმამრი რევაზ, ცოლისძმა ილია გუბელიძეები, მძახლები ლალი ჭანტურია, ნოდარ გომელაური, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ია (მერაბძ ვლადიმერის ძე ინგოროყვა

პანაშვიდი 6, 7 IV 16 სთ. მის: საბურთალო, გაგარინის ქ. №14. გამოსვენება 8 IV 15 სთ. ვაკის სამების ტაძრიდან.

დალი, პეტრე ბერაიები შვილებით — ნანა და შალვა გულისტკივილით უთანაგრძნობენ ანტონ ინგოროყვას და ოჯახს

ია ინგოროყვას

გარდაცვალების გამო.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წევრი, შრომის ვეტერანი, დამსახურებული და გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, უმაღლესი საბჭოს ყოფილი საორგანიზაციო განყოფილების გამგე

ბორის ირაკლის ძე სიჭინავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ ნავაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ომარ და ზაქრო ქუცნაშვილებს მამის და ბაბუის

ვიქტორ ქუცნაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის თანამშრომლის დავით ხიდეშელის დედის

გიული სოლომონის ასულ ქოჩიჩაშვილი — ხიდეშელის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში პროექტის — UNDP Georgia, პროექტის „სტატისტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ჩატარებისათვის“ ფარგლებში, აცხადებს ტენდერს სტატისტიკის დეპარტამენტში ასტერისკ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული შიდა სატელეფონო სისტემის შექმნის შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდი: www.undp.org.ge

# მკითხველთა და გამავრცელებელთა საყურადღებოდ

## აპრილიდან „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა გაიაფდა

2006 წლის მეორე კვარტალიდან (1 აპრილიდან) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერის ფასი გაიაფდა. თუ აქამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 13 ლარი ღირდა, აპრილიდან ეს თანხა 11 ლარს შეადგენს (შესაბამისად, სამი თვით – 33 ლარს, ექვსი თვით – 66 ლარს).

საცალო ქსელში გაზეთი კვლავ 50 თეთრი ეღირება.

შეგახსენებთ იმ უწყებებს, სადაც დაუბრკოლებლად შეგეძლებათ ჩვენი გაზეთის გამოწერა: „საქპრესა“ (ტელ: 35-51-40), „მაცნე“ (37-47-49), „უწყებანი“ (93-64-72), „პრეს-ექსპრესი“ (96-23-11), „პლანეტა-ფორტე (93-38-73), „ინფოსერვისი“ (34-09-35), „ელვასერვისი“ (36-35-75).

რაიონებსა და ქალაქებში მიმართეთ „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც – კოსტავას ქ. № 14, ტელ: 98-96-32; 899- 797679.

„სრ“ გამომცემელი შპს „თანადგომა-1“



### მილოცვა

ურთიერთნათესაობის შემმეცნებელი ერის ქვაკუთხედის, საყოველთაო მშვიდობის და თითოეული ადამიანის სამუდამო ხსოვნის დატოვების წესის აღმდგენს, შალვა კაჭარავას ვულოცავ დაბადების დღეს.

იდღეგრძელე, ხარების მადლით ნიჭებულო.

ალეკო ბრეგვაძე

## ანეკდოტები

– ორსულად ვარ, მალე ბავშვიც მეყოლება.

– კი, მაგრამ შენ ხომ ისედაც ოთხი შვილი გყავს. მეხუთეს ვისგან ელოდები?



– როგორც დანარჩენი ოთხი, მეხუთეც კოლიასგან მეყოლება.

– თუ ასეა, რად არ გაჰყვები მას ცოლად?

– არ მომწონს.

* * *

განცხადება: სილამაზის სალონი დიეტური შიმშილით დაგეხმარებათ ფიგურის კორექციაში.

პრეისკურანტი: ერთი საათი დიეტისთვის 100 ლარი.

* * *

სირცხვილია, თუ ხედავს ის, ვინც არ უნდა ხედავდეს. ხოლო თუ ვერ ხედავს ის, ვინც უნდა ხედავდეს, ეს უკვე საწყენიც არის.

* * *

მართლაც საწყენია მხოლოდ ერთი – ძალიან ბევრი მიზეზია დანაღვლიანებისთვის.

* * *

ორი მამაკაცი ჯანმრთელობაზე საუბრობს.

– არც ერთი დღე არ მიავადმყოფია, – ამბობს ერთი. და ეს იმიტომ, რომ უბრალოდ და ზომიერად ვცხოვრობდი. ოციდან ორმოც წლამდე ასაკის პერიოდში ყოველდღე 9 საათზე ვწვებოდი დასაძინებლად და დილის ექვსზე ვიღვიძებდი. რვიდან ხუთამდე ვმუშაობდი, ვსადილობდი, სხვათა შორის, უკალორიო საკვებით, მერე ერთ საათს ვვარჯიშობდი...

– მაპატიეთ, – აწყვეტინებს მეორე, – რისთვის იჯექით?

## ლარის კურსი

### 7 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1518 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8270 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2010 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0658 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0099 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6107 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3578 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1982 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3847 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8656 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6067 ლარი. |

# NON-STOP

## ხმა მეომჩისა უდაბნოსა შინა



პალესტინის პარლამენტის ამასწინანდელ არჩევნებში გაიმარჯვა ისლამურმა რადიკალურმა მოძრაობამ „ჰამასმა“, რომელსაც ისრაელი, აშშ და ევროკავშირი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ.

## ციფრების ენით




სამორინეებისა და სხვა აზარტული თამაშის ავტომატების არნახულმა ზრდამ ძალაუნებურად მოითხოვა ასეთი გამოკითხვის მოწყობა. აი, რა უპასუხეს გამოკითხულებმა კითხვაზე „რა დამოკიდებულება გაქვთ აზარტულ თამაშებთან?“

## კრეაციონიზმი




კანზასი პირველი შტატი გახდა ამერიკაში, სადაც ამიერიდან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კრეაციონიზმი ისწავლეს. ეს „იზმი“ ბიოლოგიაში ის მიმართულებაა, რომელსაც მიაჩნია, რომ სამყაროს, დედამიწას, სიცოცხლის წარმოშობა, ორგანული სამყაროს ფორმების მრავალფეროვნება ღვთის შემოქმედების შედეგია. სხვა სიტყვებით, ეს არის დარვინის ევოლუციური თეორიის უარყოფა.

## ინფორმაცია

### სარფში ცოლ-ქმარი დააკავეს

შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ სარფის ტერიტორიაზე, ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ცოლ-ქმარი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, საბაჟო გამშვები პუნქტის გადმოკვეთისას დააკავეს 25 წლის დავით მჟავანაძე და 24 წლის ანჟელა დუმბაძე.

ჩხრეკისას ანჟელა დუმბაძეს 100 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ აღმოაჩნდა. დავით მჟავანაძე კი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებულებმა აღიარეს, რომ ნარკოტიკები თურქეთის რესპუბლიკიდან ადრეც შემოუტანიათ.

ანჟელა დუმბაძე და დავით მჟავანაძე ნარკოტიკების უკანონო შეძენა-გადმოტანასა და მოხმარება-რეალიზაციაში არიან ეჭვმიტანილები.

### მეათეკლასელმა მეგობარი დაჭრა!

საირმის ქუჩაზე მდებარე თბილისის №1 ექსპერიმენტულ სკოლაში მეათე კლასის მოსწავლემ თანაკლასელი დანით დაჭრა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროში განუცხადეს, ურთიერთშელაპარაკება მეგობრებს, მეათეკლასელებს შორის მოხდა. მათი ვინაობა არ კონკრეტდება.

სამინისტროს ინფორმაციით, ერთ-ერთი მოსწავლე დანით ბარძაყში დაიჭრა, იგი მაშინვე სასწრაფო დახმარების ავტომანქანით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჭრილობა მსუბუქი იყო, ამიტომ მოზარდს სტაციონარული წესით მკურნალობა არ დასჭირდა. იგი რამდენიმე წუთში საავადმყოფოდან სახლში გადაიყვანეს.

– თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი ზაზა გრიგალაშვილი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში იმყოფებოდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ინციდენტის მონაწილე მოზარდები ახლო მეგობრები არიან და ისინი მომხდარ ფაქტს ძალიან განიცდიან, – განმარტავენ განათლების სამინისტროში.

### გამგებლის მოადგილე ნარკომანი აღმოჩნდა

შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა გუშინ თათბირზე დაბარებული კასპის რაიონის გამგეობის თანამშრომლები მოულოდნელად ნარკოლოგიურ დისპანსერში შემოწმებაზე წაიყვანა.

ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კასპის გამგებლის მოადგილე არჩილ ნონიკაშვილი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ნონიკაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიხეილ ქარელმა დისპანსერშივე მიიღო. სავარაუდოდ, სასამართლო მას ადმინისტრაციულ სასჯელს შეუფარდებს.

მას შემდეგ, რაც ლაბორატორიული შემოწმების შედეგები ცნობილი გახდა, შიდა ქართლის რწმუნებულმა პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცველები ნარკოლოგიურ დისპანსერში გამოძახებიდან 20 წუთის შემდეგ მივიდნენ და კასპის გამგებლის მოადგილე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.